ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ორშაბათი, 11 აპრილი, 2011 №85 (5466) ფასი: 30 თეთრი

„ახალი თაობა“ + „ფრანკო“ — 8 ლარი 4–დან 18 აპრილამდე




# ხელისუფლება ოპოზიციონერი ლიდერების დაკავებას აპირებს



გვ.2

რა კულუარულ გარიგებებზე მიდიან ნაციონალები



## რა თანხა გადაუხადა ეზუგბაიამ კეზერაშვილს



რკინიგზაში არსებულ კორუფციას ფარდას ავხდით გვ.3

## ჩინოვნიკების სასახლეებს სურათებს მაინც გადავუღებთ!

რატომ დააპატიმრეს ფოტოგრაფები



გვ.5

## ტულუშის დასკვნა ხელისუფლებისთვის მოულოდნელი იყო გვ.4

არ შეი ლება, ციხეებში 1 წლის განმავლობაში 149 ადამიანი იღუპებოდეს!





## მოსახლეობა ოპოზიციას აღარ ენდობა გვ.7

რატომ ყიდულობს რუსეთი საქართველოში ჰესებს

## რევოლუციის სუნი მცემს!



გვ.6

საქართველოს გადასარჩენად უნდა გავერთიანდეთ



## უგულავასა და ბოკერიას აღარავინ ენდობა გვ.9

3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

8 რითი უმკურნალეს ბალაფშს თურქეთში

12 თოჯინების თეატრი დაანგრიეს

8 სოზარ სუბარი ხელისუფლებას „ქართული პარტიის“ დევნაში ადანაშაულებს

14 საქართველო მომავალი მეტოქეების შესახებ ივლისის ბოლოს გაიგებს

# ხელისუფლება ოპოზიციონერი ლიდერების დაკავებას აპირებს

## რა კულუარულ გარიგებებზე მიდიან ნაციონალები

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ პარტია „თავისუფალი საქართველოს" თავმჯდომარე კახა კუკავასთან

***— ბატონო კახა, თქვენი პარტიაც ერთ-ერთი იმათგანია, ვისაც რადიკალებს უწოდებენ და ვინც რევოლუციის შესახებ საუბრობს ხმამაღლა. ამ ბოლო პერიოდში ბევრს საუბრობენ იმის შესახებ, რომ ხელისუფლება მშვიდობიან რევოლუციას არ დაუშვებს და აუცილებლად წავა პროვოკაციაზე და სისხლისღვრაზეო. რა ინფორმაციებს ფლობთ, რას გეგმავს და რისთვის ემზადება ხელისუფლება?***

— მთავარი მეთოდი, რომელსაც ხელისუფლება იყენებს — ეს არის ოპოზიციასთან კულუარული გარიგებების მიღწევა, რომ ძირითადი ოპოზიციური პარტიები ასე ვთქვათ ჩამოაცილოს საერთოდ პოლიტიკურ პროცესს და უნდა ითქვას, რომ ეს საკმაოდ კარგად გამოსდის ბოლო წლების მანძილზე. რეალურად ისეთი ვითარება შეიქმნა ქვეყანაში, როდესაც ერთის მხრივ არც მასობრივი საპროტესტო აქციები არ მიმდინარეობს ამჟამად ქვეყანაში და მეორეს მხრივ ის მოლაპარაკებები, რომელიც ვითომდა თავისუფალი არჩევნების ჩატარებას ისახავდა მიზნად, ასევე ჩიხშია შესული. თავისთავად ოპოზიციური პარტიები აღმოჩნდნენ ისეთ ვითარებაში, როდესაც მათ არა აქვთ ხელისუფლების წინააღმდეგ არანაირი ბერკეტი.

***— ფიქრობთ, რომ ასე დიდხანს გაგრძელდება?***

— ჩვენი პოლიტიკური პარტია თავისუფალი საქართველო ვფიქრობთ, რომ საერთოდ უნდა მოხდეს პოლიტიკური სპექტრის გადახალისება და რეალურად ის ოპოზიციური ძალები იქნებიან, ჯგუფები თუ ადამიანები, რომლებიც ვისახავთ ამ ხელისუფლების შეცვლას, ალბათ, ცალკე უნდა დავჯდეთ და ცალკე უნდა შევიმუშაოთ სამოქმედო სტრატეგია, ხოლო რაც შეეხება იმ პარტიებს, რომლებიც ცალკეულ საკითხებზე გააჩნიათ ხელისუფლებასთან განსხვავებული მოსაზრებები, მაგრამ ხელისუფლების შეცვლას არ ისახავენ მიზნად, ეს ალბათ აბსოლუტურად სხვა მიმართულება არის და უნდა გავმიჯნოთ ჩვენ და უნდა ვიცოდეთ, რომ შემდგომ არ დაგვრჩეს რაღაცა უკმაყოფილების გრძნობა. მაგალითად, მოლაპარაკებები საარჩევნო კოდექსის შეცვლასთან დაკავშირებით, ვერც ერთ შემთხვევაში ვერ გამოიღებს ხელისუფლების შეცვლას შედეგად. ეს გამოიღებს შედეგად იმას, რომ საარჩევნო კოდექსის შეიძლება ცალკეული ნორმა იქნეს გაუმჯობესებული.

***— თუმცა, ეს მოლაპარაკებებიც ჩიხშია შესული...***

— ეს არის ტაქტიკური ჩიხი, რომელიც გარკვეული პერიოდის შემდეგ იქნება დაძლეული და ამის შედეგადაც კიდევ ცალკე განცხადებები იქნება გაკეთებული და ცალკე ფიარი გაკეტებული, რომ ხელისუფლება როგორ წავიდა კიდევ ერთ დათმობაზე.

***— გაკეთდა ასეთი განცხადებებიც, რომ ხელისუფლება რვიანის დაშლას და მათთან ცალ-ცალკე მოლაპარაკებებს გეგმავსო...***

— არ ვიცი, შეიძლება ესეც იყოს გეგმაში, თუმცა, ამ ეტაპზე რომ გითხრათ, განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნიდეს რვიანი ხელისუფლებას, ასე ნამდვილად არ არის.

***— ისინიც ქუჩაში ხომ არ გადმოინაცვლებენ და თქვენ გვერდით დადგებიან?***

— ვერ გეტყვით, ეს უმჯობესია მათ ჰკითხოთ, თუმცა, ერთი რამ, რაც ნამდვილად შეიძლება ითქვას ის არის, რომ ბევრმა წარმომადგენელმა თვითონ ამ რვიანისა, არაერთხელ დააფიქსირა, რომ საპროტესტო აქციები მათი მხრიდან არის მარგინალიზებული და ამას უწოდეს ხან რევოლუცია და ხან სისხლი და ხან კიდევ, უფრო მძიმე ტერმინები, ამაში, რა თქმა უნდა, ჩანდა მათი დამოკიდებულება.

***— თქვენ როგორ ფიქრობთ, უნდა იყოს თუ არა დღეს ოპოზიცია ერთიანი იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ ეს ხელისუფლება შეცვალონ მშვიდობიანი გზით?***



— ერთიანი უნდა იყოს ოპოზიციის ის ნაწილი, ვინც ხელისუფლების შეცვლას ისახავს მიზნად. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩვენს პარტიას ბევრი პარტნიორი არცა ჰყავს ამ საქმეში, იმიტომ, რომ უმრავლესობა ე.წ. ოპოზიციური პარტიების მიზნად ისახავს არა ხელისუფლების შეცვლას, არამედ მათ გააჩნიათ პრეტენზიები ცალკეულ საკითხებზე, ხოლო ხელისუფლების შეცვლის არანაირი ხედვა, გეგმა და ამბიცია არ გააჩნიათ.

***— თუმცა, არის რამდენიმე პარტია, რადიკალებს რომ უწოდებენ, ვინც ხელისუფლების შეცვლაზე საუბრობს...***

— ზოგიერთი რადიკალური პარტია კიდევ უფრო ხელს უწყობს ამ ხელისუფლების გაძლიერებას, იმიტომ, რომ ნებისმიერი რადიკალური მოქმედება, რომელიც კონკრეტულ შედეგზე არ არის ორიენტირებული და მარტო ორთქლის გამოშვებას გამოიწვევს, ეს კიდევ უფრო აძლიერებს ხელისუფლებას, ვიდრე, დავუშვათ, ხელისუფლებასთან მოლაპარაკებები ცალკეულ საკითხებზე.

***— ამ შემთხვევაში ვინ გყავთ მხედველობაში?***

— არ არის არც ერთ და არც მეორე საკითხზე მხედველობაში ვინ მყავს მნიშვნელოვანი და საერთოდ მყავს თუ არა ვინმე მხედველობაში. თავისთავად ტექნოლოგია არის ასეთი, რომელსაც ხელისუფლება იყენებს და ვინ ჩაერთვება ამ ტექნოლოგიაში და ვინ უარს იტყვის ამაში ჩართვაზე, ეს უკვე ცალკეული პოლიტიკური პარტიის გადასაწყვეტია. მე გეუბნებით, რომ ხელისუფლების ხედვა არის ასეთი, მისთვის მისაღებია, როგორც საარჩევნო კოდექსზე მოლაპარაკებები, რომელიც მას საფრთხეს არ უქმნის, ასევე მისთვის მისაღებია, რომ ცალკეულმა ოპოზიციურმა ჯგუფებმა დაიწყონ საპროტესტო აქციები, რომლებიც არ ისახავენ მიზნად ამ ხელისუფლების შეცვლას. ეს არის აბსოლუტურად ხელისუფლების თამაშის წესებით თამაში.

***— თქვენი პარტია თუ აპირებს საპროტესტო აქციებს?***

— ჩვენ ვთქვით, რომ შევუერთდებით ნებისმიერ საპროტესტო აქციას, რომელიც წამოწყებული იქნება, თუმცა, ჩვენ უნდა ვთქვათ გულწრფელად, რომ ამ ეტაპზე, 2011 წლის გაზაფხულზე, ჩვენ პარტიას არ შესწევს ძალა, რომ მარტო ამ აქციების ორგანიზება გააკეთოს. თუმცა, იმ შემთხვევაში თუ ჩვენ დავინახავთ, რომ სხვა პარტიებს ამისი სურვილი არა აქვთ, ალბათ, სამომავლოდ ჩვენ უნდა ვემზადოთ იმისათვის, რომ დამოუკიდებლად შევძლოთ ასეთი აქციების ორგანიზება.

***— საუბარი იყო, რომ თითქოს ქართულ პარტიასთან ერთად აპირებდით აქციების დაწყებას...***

— თუკი ქართული პარტია დაიწყებს გაზაფხულზე მასობრივ საპროტესტო აქციებს, ჩვენ ბუნებრივია ვიქნებით ამ აქციების აქტიური მონაწილე.

***— რას ფიქრობთ ქართული პარტიის და სახალხო კრების დაპირისპირების შესახებ? ითქვა, რომ ეს ხელისუფლების მიერ შეგდებული ხრიკი იყოო...***

— მეც ვფიქრობ, რომ თავიდან, როდესაც ეს დაპირისპირება დაიწყო, ჯერ პრესის ფურცლებიდან და შემდეგ ხედავთ, რომ კიდევ უფრო მძიმე ფორმებით გაგრძელდა და ამის შესახებ თუ გახსოვთ, მე პირადად თავიდანვე ვაფრთხილებდი ამ დაპირისპირების ერთ-ერთ მხარეს და ვამბობდი, რომ ეს არის თავიდან ბოლომდე ხელისუფლების წისქვილზე წყლის დასხმა. მაგრამ სამწუხაროდ, სანამ ფიზიკურად არ შეეხო ეს პრობლემა ამ სკანდალის ზოგიერთ მონაწილეს, მანამდე არ მიიჩნევდა, რომ ეს ხელისუფლების დადგმული იყო. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ ხელისუფლებისთვის სასარგებლოა. რამდენად მოეგებიან გონს, მათი გადასაწყვეტია, ეს იმაზეა დამოკიდებული, ადამიანური, პირადი ამბიციები უფრო მაღლა იდგება ცალკეულ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ინტერესები.

***— თქვენ ღიად აცხადებთ, რომ აპრილის ბოლოდან თუ დაიწყო აქციები აუცილებლად შეუერთდებით?***

— თუ დაიწყება ეს აქციები, ჩვენ აუცილებლად ვიქნებით მათ გვერდით.

***— ასევე ხელისუფლების შიგნით მიმდინარე პროცესებზე მინდა რომ გკითხოთ, რა ხდება დღეს ნაცმოძრაობაში?***

— მე არ ვფიქრობ, რომ იქ რაიმე განსაკუთრებული ხდება. არის რაღაცა ჯგუფი, პატარა, თუ გინდათ უგულავა-ბოკერია დავარქვათ პირობითად ამას, ვინც ცდილობს, რომ ხელისუფლების კოსმეტიკური ცვლილება მოახდინოს, თუმცა, აქედან გამომდინარე იმ დასკვნის გაკეთება, რომ ხელისუფლების შიგნით სერიოზული შიდა დაპირისპირებაა, ეს არასწორია. არანაირი სერიოზული შიდა დაპირისპირება დღეს ხელისუფლებაში არ არის. მე ასე ვფიქრობ.

***— რაც შეეხებაა ჰააგის გადაწყვეტილებას ცნობილია, რომ ჰააგის სასამართლომ არ განიხილა საქართველოს სარჩელი, თუმცა, ქართული მხარე აცხადებს, რომ ისინი მოგებულები არიან, როგორ მოვიგეთ ეს სარჩელი, როგორც აგვისტოს ომი ისე?***

— მე ვფიქრობ, რომ როგორც ომი მოვიგეთ, ისე და ეს ნამდვილად სწორი ირონიაა, იმიტომ, რომ იმ პოლიტიკის შედეგად, რომელსაც დღეს ახორციელებს საქართველოს ხელისუფლება, საქართველო მოგებული ვერც ერთ შემთხვევაში ვერ იქნება. რუსეთთან დაპირისპირება — ეს არის საქართველოს ძალიან დიდი შეცდომა და ჩვენ უნდა შევძლოთ რუსეთთან დიალოგის განახლება. მხოლოდ და მხოლოდ ამ გზით იქნება შესაძლებელი, როგორც ტერიტორიული, ისე ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა. რუსეთთან დაპირისპირება იმ სასამართლოში, სადაც რუსეთს აქვს ვეტოს უფლება, ეს არის სრული კრეტინიზმი. ლევან ალექსიძე ნამდვილად არ არის ოპოზიციის რუპორი, მაგრამ მანაც მიუთითა ხელისუფლებას ამის შესახებ, რომ საწყის ეტაპზე დაშვებული იყო ძალიან უხეში შეცდომები ამ მიმართულებით.

***— საუბრის ბოლოს გკითხავთ, როდესაც საუბარია იმაზე, რომ ხელისუფლება აუცილებლად წავა პროვოკაციაზე, სისხლისღვრასაც ხომ არ უნდა ველოდეთ?***

— გამორიცხული არასდროს არ არის. არის ასეთი ქართული გამოთქმა — მგლის შიშით ცხვარი არავის გაუწყვეტიაო. იმის შიშით, რომ ხელისუფლება წავა პროვოკაციაზე, ოპოზიციამ შეწყვიტოს წინააღმდეგობა, ხელისუფლება ისედაც მიდის სისხლისღვრაზე. ყველა ვარიანტში ხელისუფლების შეცვლა დაჯდება ნაკლები სისხლი, ვიდრე ხელისუფლების შეუცვლელობა.

***— შესაძლოა ოპოზიციონერი ლიდერების დაკავება დაიწყოსო...***

— ჰოდა, ეს არის ფასი, რომელიც ჩვენ უნდა გადავიხადოთ და ყველას თავისი ფასი აქვს გადასახდელი ამ ქვეყანაში, თუკი გვინდა კონკრეტული შედეგების მიღწევა. რასაკვირველია, დაჭერებსაც ველით, ეს ნამდვილად მოსალოდნელია.

## „განსაცდელმა ადამიანი სასოწარკვეთილებაში არ უნდა ჩააგდოს"



სრულიად საქართველოს კათოლიკოს- პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარ ეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ გუშინ წმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში ქადაგებისას ადამიანის ცხოვრების ცვალებადობაზე ისაუბრა.

— ჩვენი ცხოვრება არის ურთულესი პროცესი, რომელიც იცვლება. დედამიწაზე ყველაფერი იცვლება ფერი, შინაარსი და ჩვენც ვიცვლებით. სწორედ ამიტომ თქვეს ძველმა რომაელებმა, დრონი იცვლებიან და ჩვენც ვიცვლებით მათთან ერთად, — ბრძანა უწმინდესმა.

მისი თქმით, როდესაც ადამიანი ცხოვრობს კეთილდღეობასა და მშვიდობაში და მას განსაცდელი დაატყდება თავს, ჩნდება „რატომ?" რატომ და უფალმა ინება ასე. ეს არის განგება და ნება ღვთისა.

ასე იყო საჭირო და ასე უნდა ყოფილიყო. უფალი ამაში ხედავს ადამიანის გადარჩენის ერთადერთ გზას.

უწმინდესის განმარტებით, როდესაც ადამიანს განსაცდელი მოევლინება, მას არ უნდა ეგონოს, რომ იგი ილუპება და არ უნდა ჩავარდეს სასოწარკვეთაში და არც სიკეთის დროს განცხრომაში. ჩვენ ყველაფერში უნდა ვიცოდეთ ზომიერება. როგორც ილია მეორემ ბრძანა, ზომიერება სასწორია, რომელთა ადამიანთა ცხოვრებას არეგულირებს.

— თუ შენ კეთილდღეობაში ხარ, მადლობა შესწირე უფალს და ჰკითხე, რატომ მომეცი? იმიტომ კი არ მოგცა უფალმა სიკეთე და და კეთილდღეობა, არამედ იმიტომ, რომ სხვასაც დაეხმარო, — ბრძანა უწმინდესმა.

სრულიად კათოლიკოს-პატრიარქის თქმით, უფალს განსაცდელისთვისაც და სიმშვიდისთვისაც უნდა ვმადლობდეთ.

მედიანიუსი

## გიორგი თარგამაძე სტრასბურგში გაემგზავრა

საქართველოს საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი გიორგი თარგამაძე სტრასბურგში, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე გაემგზავრა.

მისი განცხადებით, სტრასბურგში ასაბლეის მორიგ სესიაზე, ძირითადად ორ საკითხს განიხილავენ - რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები და საქართველოს მხრიდან აღებული ვალდებულებები ქვეყნის დემოკრატიული განვითარების მიმართულებით.

ინტერპრესნიუსი

## დონალდ ტრამპი ბარაქ ობამას პრეზიდენტობას არაკანონიერად თვლის

დონალდ ტრამპმა გადაწყვიტა დაამტკიცოს, რომ ბარაქ ობამა ამერიკის პრეზიდენტი არაკანონიერად გახდა.

რუსული მედიის ინფორმაციით, ამერიკელმა მილიარდელმა დონალდ ტრამპმა, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს ჩაერთოს 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, კერძოწდეტექტივები დაიქირავა, რათა გაარკვიოს, აშშ-ს ამჟამინდელი პრეზიდენტი, ბარაქ ობამა, რეალურად დაიბადა თუ არა ამერიკაში.

ტრამპმა ადრეც გამოთქვა თავისი ეჭვები ობამას ამერიკულ წარმომავლობასთან დაკავშირებით. ტრამპის განცხადებით, ის დოკუმენტი, რომელიც ობამას დაბადების მოწმობის სახით მედიაში ტრიალებს, არ არის სანდო.

—მასზე არ არის არც ხელმოწერა და არც სერიის ნომერი,— აღნიშნავს ტრამპი.

დონალდ ტრამპი მზადაა წინასაარჩევნო კამპანიაზე, რომელსაც ის ზაფხულში დაიწყებს, 600 მილიონი დოლარი დახარჯოს. შეგახსენებთ, რომ კონსტიტუციის თანახმად, ამერიკის პრეზიდენტი მხოლოდ აშშ-ს ტერიტორიაზე დაბადებული ადამიანი შეიძლება გახდეს.

მედიანიუსი

## რამაზ ნიკოლაიშვილმა წყალმომარაგების კომპანიას ექსკავატორები გადასცა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას ბრიტანული წარმოების 21 ერთეული ექსკავატორ-მტვირთავი და სხვადასხვა სახის წყლის სისტემის მაკონტროლებელი აღჭურვილობა გადასცა.

ბრიტანული აღჭურვილობის ამუშავებას დღეს რეგიონული განვითრებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი რამაზ ნიკოლაიშვილი დაესწრო.

აღსანიშნავია, რომ რეგიონული განვითარების სამინისტრომ წყლის კომპანიის რამდენიმე რეგიონალურ სერვისცენტრს მსგავსი ტიპის ტექნიკა ორი თვის წინაც გაუგზავნა.

მედიანიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# რკინიგზაში არსებულ კორუფციას ფარდას ავხდით

## რა თანხა გადაუხადა ეზუგბაიამ კეზერაშვილს

**„თავისუფალი საქართველოს“ პოლიტსაბჭოს წევრი, გია ყრუაშვილი შპს. „საქართველოს რკინიგზის“ წინააღმდეგ საქართველოს მთავარ პროკურატურაში განცხადების შეტანას აპირებს. ყრუაშვილი აღნიშნული განცხადების საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის გაგზავნასაც გეგმავს. ბატონი გია საქართველოს მთავარი პროკურატურისა და მთავარი პროკურორ მურთაზ ზოდელავასგან მის ხელთ არსებული დოკუმენტების, კერძოდ, ფინანსური პოლიციის მიერ შედგენილი იმ 15 აქტის, რომელშიც „საქართველოს რკინიგზის“ მიერ მილიონობით დოლარის დატაცებაა ასახული, გაცნობასა და მასზე რეაგირების მოხდენას ითხოვს. „ახალი თაობა“ ამ საკითხზე „თავისუფალი საქართველოს“ პოლიტსაბჭოს წევრ გია ყრუაშვილს ესაუბრა.**

ქეთი ხომერიკი

***— თქვენ საქართველოს მთავარ პროკურატურაში შპს „საქართველოს რკინიგზის“ წინააღმდეგ განცხადების შეტანას აპირებთ, რა ხდება, ბატონო გია, ამჯერად რაში ადანაშაულებთ რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელ ირაკლი ეზუგბაის და რას ითხოვთ საქართველოს მთავარი პროკურორისგან?***

— ჩვენ ოთხშაბათს უკვე მზად გვექნება განცხადება და ამ განცხადებას საქართველოს მთავარ პროკურატურაში ოთხშაბათსვე შევიტანთ. მე ხელთ მაქვს ფინანსური პოლიციის მიერ შედგენილი ის 15 აქტი, რომელშიც შპს „საქართველოს რკინიგზიდან“ მილიონი დოლარის დატაცებაა ასახული და საქართველოს მთავარი პროკურატურისგან ამ აქტებზე რეაგირების მოხდენას მოვითხოვ. მაშინ, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი ამაყად აცხადებს, რომ ქვეყანაში კორუფცია არ არის, მინდა გითხრათ, რომ იგი ქართველ ერს მწარედ ატყუებს, რადგან ქვეყანაში და კონკრეტულად შპს „საქართველოს რკინიგზაში“ კორუფცია არათუ არის, არამედ მძვინვარებს და მე რკინიგზის დეპარტამენტში არსებულ კორუფციულ ფაქტებზე თქვენი გაზეთის ფურცლებიდანაც არაერთხელ მისაუბრია და თუ პრეზიდენტმა ამის შესახებ არ იცოდა, რაც საეჭვოა, თქვენი გაზეთის მეშვეობით მაინც შეიტყობდა. „ახალი თაობის“ ფურცლებიდან მივმართავ მიხეილ სააკაშვილს და მოვითხოვ მისგან, რომ საქართველოს მთავარ პროკურორს მურთაზ ზოდელავას რკინიგზის დეპარტამენტში არსებულ კორუფციულ ფაქტებზე გამოძიება და რეაგირების მოხდენა დაევალოს. მე მიხეილ სააკაშვილს შემიძლია მივაწოდო ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ფინანსური პოლიციის რომელი გამომძიებლის კაბინეტშია გადამალული და საგანგებოდ ჩაკეტილი რკინიგზის დეპარტამენტში აღმოჩენილი ათეულობით მილიონი კორუფციული აქტი. იმისთვის, რომ ამ აქტების საფუძველზე დამნაშავე პირების დაკავება არ მომხდარიყო, რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ირაკლი ეზუგბაიამ და მისმა „ამალამ“ ფინანსური პოლიციის საგამოძიებო სამსახურის უფროსს, ვინმე გელოვანს დიდი ფული გადაუხადა. ჩემი ინფორმაციით, ეზუგბაიამ, ასე ვთქვათ, „დაკრიშვის“ და ფინანსური პოლიციის ხელმძღვანელობის ფულის აღებაზე დათანხმების მიზნით დავით კეზერაშვილს და გიორგი არველაძესაც საკმაოდ დიდი ფული ჩაახუტა. მაშინ, როდესაც 5 კგ ჯართის მოპარვის გამო აპატიმრებენ და სასჯელის სახით გაუბედურებულ და შიმშილის ზღვარზე მყოფ ახალგაზრდებს 10 წელს აძლევენ, რკინიგზის დეპარტამენტის მაღალჩინოსნები არათუ საპატიმროებში სხედან და ჩადენილი დანაშაულისთვის სასჯელს იხდიან, არამედ კვლავ „საქართველოს რკინიგზის“ კაბინეტებში არიან მოკალათებულნი, რკინიგზის ძარცვას ჩვეულად განაგრძობენ და ჯიბეებს ისქელებენ. ვიმეორებ, ის მაღალჩინოსნები, რომლებმაც სახელმწიფო თანხები დაიტაცეს და დაჭერას ელოდებოდნენ რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, ეზუგბაიას მიერ შავი ფულის გადახდის შემდეგ დაჭერას გადაურჩნენ, მეტიც, მათ თანამდებობებიც კი შეინარჩუნეს.

***— იქნებ ამ ყველაფრის შესახებ დეტალურად გვესაუბროთ, რა წერია ამ აქტებში, ბატონო გია?***

— მიუხედავად იმისა, რომ შპს „საქართველოს რკინიგზაში“ არსებული კორუფციული საქმიანობის შესახებ ჩემ მიერ არაერთხელ იქნა გახმაურებული პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით, შედეგი ნულის ტოლია. ფინანსური პოლიციის მიერ დოკუმენტურად არის დამტკიცებული საქართველოს რკინიგზის მაღალჩინოსნების მიერ სახელმწიფო თანხების დატაცების არაერთი ფაქტი. ფინანსური პოლიცია გარკვეული პერიოდი რკინიგზაში არსებულ დარღვევებს იძიებდა, თუმცა, საბოლოოდ არავინ დასჯილა და არანაირი გადაწყვეტილება, გარდა ერთისა, მიღებულ არ იქნა. ამ ერთ გადაწყვეტილებაში ფინანსური პოლიციის ხელმძღვანელობასა და რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელობას შორის შემდგარ გარიგებას ვგულისხმობ. დიახ, ისინი ერთმანეთს გაურიგდნენ. ფინანსური პოლიციის ხელმძღვანელებმა ეზუგბაიასგან დიდი ფული აიღეს და შედგენილი აქტები ვითომც არ ყოფილაო რა, რეაგირების გარეშე დატოვეს. არადა, რკინიგზის დეპარტამენტიდან საკმაოდ სოლიდური თანხებია დატაცებული. თანხებია დატაცებული რკინიგზის საქმიანობის თითქმის ყველა სფეროდან, დაწყებული სველი ტვირთების ტრანზიტით, მგზავრთა გადაყვანით, ტარიფების შემცირებით, გადამზიდავებთან კორუფციულ გარიგებაში შესვლით, ტენდერების გაყალბებით დამთავრებული. რკინიგზის ინფრასტრუქტურა, ავტოფარეხი და შენობა-ნაგებობები კაპიკებად იქნა გაყიდული. ფინანსური პოლიციის აქტებში აღნიშნულია დანაშაულებრივი ფაქტები. მოდით, ამ დანაშაულებრივი ფაქტებიდან გაგაცნობთ ერთ-ერთს. 2006 წლის თებერვალში შპს „საქართველოს რკინიგზაში“ ჩატარდა ტენდერი 19 სამგზავრო და ერთი ვაგონ-რესტორნის კაპიტალური აღდგენით-შეკეთება მოდერნიზაციაზე. ტენდერში მონაწილეობდა ორი ორგანიზაცია. თბილისის სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა“ და ქ. დნეპროპეტროვსკის ვაგონშემკეთებელი ქარხანა. თბილისის „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა“ ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების, ანუ ოცი ვაგონის მოდერნიზაციისთვის ითხოვდა შპს. „საქართველოს რკინიგზისგან“ 5.554,7 ათ.აშშ დოლარს, დამატებული ღირებულების 847 ათ.აშშ დოლარის ჩათვლით. ამ შემთხვევაში 847 ათ.აშშ დოლარს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნიდან“ ქვეყნის ბიუჯეტი მიიღებდა დღგ-ს სახით, ხოლო შპს „საქართველოს რკინიგზას“ კი ბიუჯეტიდან იგივე თანხის ჩათვლა, ანუ ვაგონების რემონტი დაუჯდებოდა 4.707,7 ათ.აშშ დოლარი. ტენდერში რატომღაც გამარჯვებულად იქნა მიჩნეული ქ. დნეპროპეტროვსკის „ვაგონშემკეთებელი ქარხანა“ და ხელშეკრულება 20 ვაგონის გარემონტებაზე მასთან გაფორმდა, თანხით 6.300,0 ათ.აშშ. დოლარად, ანუ ზემოხსენებულ ორგანიზაციასთან შედარებით 1592,3 ათ.აშშ დოლარით ძვირად. ამ არასახელმწიფოებრივი და არამეურნეობრივი გადაწყვეტილების შედეგად „საქართველოს რკინიგზამ“ დაკარგა ერთი მილიონ 600 ათას აშშ დოლარი. სს „ელექტროვაგონშემკეთებელმა ქარხანამ“ კი, რომელიც ანალოგიურ სამუშაოებს აზერბაიჯანის, ყაზახეთის და სხვა ქვეყნების რკინიგზებისთვის ასრულებდა, გაუგებარი მიზეზების გამო საქართველოს რკინიგზისგან დაკვეთა ვერ მიიღო. არ დაიტვირთა ქარხნის სიმძლავრეები, ასობით მუშა და ტექპერსონალი დარჩა სამუშაოს გარეშე. ქვეყნის ბიუჯეტმა კი ვერ მიიღო გადასახადები ( დღგ, სოც.გადასახადი, მოგება და სხვა) 2 მილიონ ლარზე მეტი. ქვეყნიდან 6,3 მილიონი დოლარი ვალუტის გადინება მოხდა. ვიმეორებ, აი, ამ კორუფციული გარიგებით ქვეყნიდან გავიდა მილიონობით დოლარი მყარი ვალუტა. უფრო მეტიც, ხელშეკრულების მიხედვით ქ. დნეპროპეტროვსკში 2006 წლის 7 მარტსვე გარკვეული თანხა ( 700 ათასი დოლარი) გადაირიცხა. 8 მარტს კი ქ. დნეპროპეტროვსკში ირაკლი ეზუგბაია, შესყიდვების სააგენტოს უფროსის მოადგილე, შეთეკაური და მგზავრთა გადაყვანის დირექტორი, თემურ ბულია გაფრინდნენ. და თუ რატომ ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს ხომ?

***— ანუ ფიქრობთ, რომ ეზუგბაია, შეთეკაური და ბულია ქ. დნეპროპეტროვსკში ზემოთ ხსენებული კორუფციული გარიგების შედეგად მიღებული ფულის ნაწილის ჩამოსატანად ჩავიდნენ?***

— ცხადია, სხვათა შორის, მაშინ „საქართველოს რკინიგზას“ ფინანსური პოლიციის რევიზორებიდან უძლიერესი, პროფესიონალი რევიზორები ამოწმებდნენ. მათ შორის ერთ-ერთი მიხეილ სააკაშვილის მეზობელი გახლდათ, რომელიც ღირსეული ადამიანია და გმირულად მოიქცა. ამ კაცმა თავისი პროფესიონალიზმი დაამტკიცა და თავისი ერთგულების სანაცვლოდ რკინიგზის ხელმძღვანელთან გარიგებაში არ შევიდა, მიუხედავად იმისა, რომ დიდ თანხას სთავაზობდნენ. დიახ, რკინიგზის ხელმძღვანელობა ემუდარებოდა მას, რომ ეს ფაქტები დარღვევებში არ გადაეტანა და ამაში დიდ ფულს სთავაზობდნენ. ამის მიუხედავად მან ეს აქტები მაინც დადო. სწორედ მის მიერ დადებული აქტების საფუძველზე „აახიეს“ ეზუგბაიას დიდი ფული. ეს კაცი კი პროტესტის ნიშნად სამსახურიდან წამოვიდა. ამ პატიოსან ადამიანს ეგონა, რომ კორუფციას ებრძვოდა და ამ დროს კი მისი აქტებით ვილაცვილაცებმა ფული არ იშოვეს.

***— თქვენ თქვით, რომ ეს ადამიანი პრეზიდენტის მეზობელი იყო, კი მაგრამ, მან ამ ყველაფრის შესახებ პრეზიდენტს რატომ არ გააგებინა?***

— აი, აქ დავით კეზერაშვილმა და გიორგი არველაძემ ივაჟკაცეს. მათ მშვენივრად იცოდნენ, რომ იგი სააკაშვილს ყველაფერს მოუყვებოდა და სწორედ ამიტომ დაასწრეს მას. ანუ, კეზერაშვილმა და არველაძემ პრეზიდენტი მასზე ადრე ნახეს. ისინი ამ საკითხის მოსაგვარებლად პრეზიდენტს ეახლენ და როგორც ჩანს, უთხრეს მას, რომ შპს „საქართველოს რკინიგზაზე“ დიდი ფულის ახევა შეიძლება და ხომ არ ავახიოთო. ჩემი ინფორმაციით, სააკაშვილმა მათ, ასე ვთქვათ, „დაბრო“ მისცა და აახიეს კიდევაც რკინიგზის ხელმძღვანელ, ეზუგბაიას სოლიდური თანხა.

***— ეს საკმაოდ სერიოზული ბრალდებაა, დარწმუნებული ხართ, რომ პრეზიდენტმა მათ ნებართვა მისცა, ბატონო გია?***

— კი ბატონო, სწორედ სააკაშვილმა მისცა მათ იმის ნებართვა, რომ „საქართველოს რკინიგზისათვის“ და მის ხელმძღვანელ ირაკლი ეზუგბაიასთვის დიდი ფული „აეხიათ“. ბუნებრივია, სააკაშვილის თანხმობის გარეშე ეს ვერ მოხდებოდა. იცით, როდესაც ფინანსური პოლიციის აქტები დაიწერა და სანამ ფინანსური პოლიციიის ხელმძღვანელობასა და ეზუგბაიას შორის გარიგება შედგებოდა, ეზუგბაიამ ფინანსური პოლიციის გამომძიებლებს უთხრა, ძალიან ცუდად ვარ და როდის უნდა დამიჭიროთ, მეტის ატანა აღარ შემიძლიაო. ყოველ წამს დაჭერას ელოდებოდა და ცუდად იყო ბატონი. აი, ამას აკეთებს კაცი, რომლის ხელფასიც 18 ათასი ლარია. კაცი, რომლის მხრიდანაც „საქართველოს რკინიგზის“ „გაფარჩაკება“ ფაქტობრივად, მიზანმიმართულად ხდება. რა ბედიც ეწია თბილისის წყალს და თელასს, რომელიც რუსეთის საკუთრება გახდა, იგივე ბედი ეწევა შპს „საქართველოს რკინიგზასაც“, გააცამტვერებენ და შემდეგ ვინმეს კაპიკებში გადასცემენ კიდეც ეს ნაძირლები.

***— და თქვენ ვინ მოგაწოდათ ფინანსური პოლიციის მიერ შედგენილი ეს 15 აქტი, ბატონო გია?***



— ბუნებრივია, ეს აქტები ისეთმა პიროვნებამ მომაწოდა, რომელსაც მათზე ხელი მიუწვდებოდა. სამწუხაროდ, მის ვინაობას მისივე თხოვნით ვერ დაგისახელებთ. მოკლედ, ირაკლი ეზუგბაიამ თავისუფლების სანაცვლოდ ფინანსური პოლიციის ხელმძღვანელებს და კეზერაშვილ-არველაძის დუეტს დიდი ფული ჩაახუტა, კვლავ „საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელია და რკინიგზის მიზანმიმართულად განადგურებას ჩვეულად განაგრძობს.

* * *

„ახალი თაობა“ ამ საკითხზე სასაუბროდ შპს „საქართველოს რკინიგზის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელ, **ირმა სტეფნაძეს** დაუკავშირდა.

***— „თავისუფალი საქართველოს“ პოლიტსაბჭოს წევრი გია ყრუაშვილი შპს. „საქართველოს რკინიგზის“ წინააღმდეგ საქართველოს მთავარ პროკურატურაში განცხადების შეტანას აპირებს, იგი კორუფციულ გარიგებებზე საუბრობს, კერძოდ 2006 წელს „საქართველოს რკინიგზაში“ ჩატარებული ტენდერის კორუფციულ სქემაზე, ასევე მას ხელთ აქვს ფინანსური პოლიციის მიერ შედგენილი ის 15 აქტი, რომელშიც ასახულია რკინიგზის დეპარატემენტის მიერ მილიონობით დოლარის დატაცება, ამაზე რას იტყვით?***

— თუ აქვს რაიმე დოკუმენტაცია შეუძლია, საქართველოს მთავარ პროკურატურაში შეიტანოს კიდეც. ჩვენთვისაც საინტერესოა, თუ რა დოკუმენტაცია აქვს მას ხელთ, შეიტანოს პროკურატურაში და ჩვენც გავიგებთ იმას, თუ რა წერია ფინანსური პოლიციის მიერ შედგენილ იმ 15 აქტში.

***— ბატონი გიას თქმით, იმ 15 აქტში, ასახულია „საქართველოს რკინიგზის“ მიერ მილიონობით დოლარის მიტაცება, თქვენ აღნიშნული დარღვევების შესახებ საქმის კურსში არ ხართ?***

— მე არ ვიცი, რა დოკუმენტაცია აქვს მას და ამ საკითხზე მეტს ვერაფერს გეტყვით. შეიტანოს ეს დოკუმენტაცია საქართველოს მთავარ პროკურატურაში და უკვე, ამის შემდეგ შეგვეძლება, რომ ამ საკითხზე დეტალურად ვისაუბროთ.

## სახალხო კრება სოფელ დიღომში აქციას გამართავს

სახალხო წარმომადგენლობითი კრების ახალგაზრდული ფრთა, მოძრაობა „არა!“ და სახალხო კრების პროექტ „სამართალი მოდის“ — წარმომადგენლები, დღეს, სოფელ დიღომში, გამგეობის შენობასთან “მამხილებელ-საპროტესტო აქციას“ გამართავენ.

კრების ინფორმაციით, საპროტესტო აქცია ერთ-ერთი ადგილობრივი ჩინოსნის წინააღმდეგაა მიმართული, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის განცხადებით, დედაქალაქის მერის გიგი უგულავას მფარველობით სარგებლობს და ადგილობრივი მოსახლეობის საკუთრების უფლებებს უხეშად არღვევს.

საპროტესტო აქცია სოფელ დიღმის გამგეობასთან 15.00 საათზე დაიწყება.

ინტერპრესნიუსი

## დღეს ახმეტაში „ქართული პარტიის“ რაიონული ორგანიზაცია დაფუძნდება

დღეს ახმეტაში „ქართული პარტიის“ ახმეტის რაიონული ორგანიზაციის ოფისი გაიხსნება.

ღონისძიებას „ქართული პარტიის„ თავმჯდომარე სოზარ სუბარი დაესწრება. იგი ოფისის გახსნაზე მისულ მხარდამჭერებს და აქტივისტებს ქართული პარტიის„ სამოქმედო გეგმასა და მომავლის ამოცანებს გააცნობს.

ახმეტაში „ქართულ პარტიაში„ გაწევრიანების მსურველთა აღრიცხვა და რეგისტრაციაც დიწყება.

გარდა ამისა, შეიქმნება საინიციატივო ჯგუფი, რომელიც ქართული პარტიის„ ახმეტის რაიონული ორგანიზაციის დამფუძნებელ კონფერენციას მოამზადებს.

მოგვიანებით, კონფერენციის დელეგატები რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს აირჩევენ.

მედიანიუსი

## მაღალი დონის კორუფცია საქართველოში კვლავ პრობლემად რჩება

— მაღალი დონის კორუფცია საქართველოში კვლავ პრობლემად რჩება, — ამის შესახებ ნათქვამია აშშ ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ 8 აპრილს გამოქვეყნებულ ყოველწლიურ ანგარიშში ადამიანის უფლებების შესახებ.

ანგარიშის თანახმად, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი მიიჩნევს, რომ წვრილმანი კორუფციის დონე საქართველოში 2003 წლის, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ შემცირდა, თუმცა კვლავ არსებობს ელიტური კორუფცია.

აშშ-ს დეპარტამენტის დამკვირვებლების აზრით, საქართველოში ოფიციალური ანტიკორუფციული კამპანია სისხლის სამართლებრივი დევნისკენ უფროა მიმართული, ვიდრე პრევენციისკენ და ის უფრო არასტრუქტურირებულ ხასიათს ატარებს, ვიდრე სისტემურსა და ყოვლისმომცველს. დამკვირვებლების შეშფოთების საგანს ასევე წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის დონე სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში, საკუთრების უფლებები და ელიტური კორუფცია.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა ასევე გამოხატეს შეშფოთება ბიზნესთან მთავრობის კავშირების, კერძოდ კორუფციული გარიგებების გამო.

ცნობისთვის: 2009 წლის პერიოდის ანგარიშის მსგავსად, 2010 წლის ანგარიშშიც ნათქვამია, რომ საქართველოში არსებობს სარწმუნო ცნობები იმის თაობაზე, რომ ხელისუფლებამ სიტყვისა და პრესის თავისუფლებას შეზღუდა.

მედიანიუსი

## პატრიარქი ყოველ ორშაბათს ახალგაზრდებს დალოცავს

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ყოველ ორშაბათს ახალგაზრდებს დალოცავს, — ამის შესახებ უწმინდესმა სამების საკათედრო ტაძარში საკვირაო ქადაგებისას განაცხადა.

— მინდა აღვადგინო ძველი ტრადიცია და ყოველ ორშაბათს იქნება ბავშვებისა და ახალგაზრდების დალოცვა. შესრულდება პარაკლისი და დავლოცავ ჩვენს ახალგაზრდობას. მათ სჭირდებათ დღეს ძალა და მადლი, რათა არ გადაუხვიონ, არ შეცდნენ, არ დაეცნენ, არამედ იარონ ჭეშმარიტების გზით, — განაცხადა პატრიარქმა.

ახალგაზრდების დალოცვა სამების საკათედრო ტაძარში ყოველ ორშაბათს, საღამოს 19:00 საათზე შედგება.

ინტერპრესნიუსი

# ტუღუშის დასკვნა ხელისუფლებისთვის მოულოდნელი იყო

შორენა კოწოწაშვილი

**უფლებადამცველი, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი, ლია მუხაშავრია, დარწმუნებულია, რომ ხელისუფლება სახალხო დამცველისგან ასეთ ანგარიშს არ ელოდა. მისი თქმით, საზოგადოება ცვლილებებისთვის მზად არის და ეს ცვლილებები მალე მოხდება.**

— თუ გვინდა, რომ ამ ქვეყანაში რეალური დემოკრატიული ცვლილებები განხორციელდეს, პირველ რიგში მედიის თავისუფლებასა და ინფორმაციის საჯაროობაზე უნდა ვიზრუნოთ. არა მარტო კონსტიტუციური ბერკეტები უნდა გამოვაცალოთ მათ ხელიდან, არამედ სწორედ ყველაზე უფრო დემოკრატიული გზით — საარჩევნო გზით უნდა გამოვაცალოთ ხელისუფლება, — აცხადებს ლია მუხაშავრია.

**რა ნაბიჯები უნდა გადადგას ქართველმა ხალხმა და გადაჭრის თუ არა კალმახელიძის მოხსნა პატიმრების პრობლემებს? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ადვოკატ ლია მუხაშავრიასთან.**

***— ქალბატონო ლია, ფაქტია, საქართველოს ხელისუფლება აპელირებს, რომ განვითარებული დემოკრატიული კურსი აირჩია. რეალურად საით მიდის ქვეყანა და რამდენად არის თანხვედრაში ეროვნული კანონმდებლობა საერთაშორისო ნორმებთან?***

— ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ დროში, როდესაც ძალიან თვალშისაცემია ტყუილის ის ატმოსფერო, რომელიც იყო კომუნიტების დროს, მაგრამ მაშინ მასშტაბები სხვა იყო და ინფორმაციური ტექნოლოგიებიც სხვა იყო. ტყუილს რომ მოკლე ფეხები აქვს ან სულაც რომ უფეხოდ დარჩა 21-ე საუკუნეში, ეს ძალიან თვალშისაცემია. მეორეც, საბჭოთა კავშირს დღევანდელი საქართველო იმიტომ მაგონებს, რომ, მაგალითად, უცხოეთში ჩვენი წარმომადგენლები ამბობდნენ, ჩვენ გვაქვს საუკეთესო კონსტიტუცია, ყველაზე დემოკრატიული კანონები, განვითარებული ცხოვრების დონეო. მაგრამ აქ არავის უშვებდნენ, რათა არ გაეგოთ, სინამდვილეში რა იყო. აქაურ მოსახლეობას კი ეუბნებოდნენ, თქვენ ყველაზე კარგად ცხოვრობთო. დღეს დაახლოებით ასეთი სიტუაციაა. ჩვენი ხელისუფლება ვერ ახერხებს, მთლიანად დაახშოს საინფორმაციო საშუალებები. გვაქვს მისაწვდომობა ალტერნატიულ საინფორმაციო საშუალებებთან. საიდანაც სიმართლეს ვიგებთ. ეს ვითარება, სატირალი რომ არ იყოს, კომიკურია, იმიტომ რომ კომედია-ტრაგედიის საკითხი არ იდგა ტრაგედიის დროს. ეს იყო ჩვენი რეალური ცხოვრება, რომლის შეცვლის ბერკეტები ოპტიმისტებს ძალიან შორეულ მომავალში ეგულებოდათ. დღეს, როცა საზოგადოებამ იცის, რომ დემოკრატიული არჩევნების გზით შეუძლია შეცვალოს ხელისუფლება, ხელისუფლების ცვლას მოჰყვება რეალურად სიტუაციის შეცვლა რადიკალურად. ასეთ ვითარებაში ამგვარ ტყუილებს, რომ საქართველოში დემოკრატიული განვითარება მიმდინარეობს და ერთი ტრამპის ტაუერებიღა გვაკლია, თორემ სხვა მხრივ ისე კარგად ვცხოვრობთ, რომ არ ვიცი. ეს მოკლეფეხება ტყუილიც აღარ არის, ეს პროცესი „მეფე შიშველიას" ჰგავს, ანუ სრულიად არის გაკოტერებული. ხელისუფლების ეს დეკლარირებული დემოკრატიული ვითარება, მეორე მხრივ, მედიასაშუალებები ძალიან სერიოზულ როლს თამაშობს და, ვფიქრობ, ამით არის გამოწვეული ენ-დი-აის გამოკვლევის შედეგები, რომ თბილისში მმართველ პარტიას ორჯერ ნაკლები მხარდამჭერი ჰყავს, ვიდრე რეგიონებში. რეგიონებში თუნდაც ნახევრად კონტროლირებადი მედია მისაწვდომი არ არის. ჩემი აზრით, თუ გვინდა, რომ ამ ქვეყანაში რეალური დემოკრატიული ცვლილებები განხორციელდეს, პირველ რიგში მედიის თავისუფლებასა და ინფორმაციის საჯაროობაზე უნდა ვიზრუნოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფაქტობრივად, წარმოუდგენელი იყო, რომ აფრიკული და აღმოსავლური სამყარო დაიწყებდა ევროპული, დასავლური ფასეულობების ნიადაგზე დამოუკიდებლობისა და დემოკრატიისთვის ბრძოლას. ის, რაც მათ ისტორიულად არასოდეს უქნიათ, ახლა გააკეთეს. საქართველოში, სადაც ჩვენი რეგიონისთვის ატიპური ცხოვრების წესი გვაქვს და ძალიან მკვირცხლად და სწრაფად ვახერხებთ ცვლილებებს, გვინდა უკეთესი ცხოვრება, ცხადია, ჩვენ ვერ შევეგუებით იმას, რომ აქ დამკვიდრდეს აზიური ტიპის მმართველობა. ამიტომ, ვფიქრობ, ახლა საჭიროა გონიერი ადამიანების ერთობლივი ფიქრი იმისკენ, რომ ეს ცვლილებები გამოვიწვიოთ რაც შეიძლება უმტკივნეულოდ, ნაკლები დანაკარგებითა და დიდი გადატრიალებებისა და კატაკლიზმების გარეშე, თორემ, ეს რომ აუცილებლად მოხდება და ძალიან სწრაფადაც, ეჭვი არ მეპარება.

***— სწრაფად მოხდენაში სახელისუფლებო ცვლილებებს გულისხმობთ?***

— სასიკეთო ცვლილებებს ვგულისხმობ, იმიტომ რომ, თუ, მაგალითად, დასავლეთში კრიზისს ზომავენ ფინანსურ და ეკონომიკურ საზომებში, იქ თვლადია ეს, ჩვენთან, ვინაიდან არც ეკონომიკა არსებობს და მით უფრო — არც საბაზრო, ამიტომ თვლადი არ გამოდის ეს მაჩვენებლები. მაგრამ ვითარება უკიდურესად გაუარესდა და ძალიან ღრმა კრიზისში ვართ, ფაქტობრივად — მძიმე ავადმყოფობის კრიზისში, რადგან ჩვენ თვითონ სხვების დახმარების გარეშე ამ ავადმყოფობის გამკლავება აღარ შეგვიძლია.

***— თუმცა, ექსპერტების ნაწილი მიანიშნებს, რომ ქვეყანაში არ არის ისეთი ვითარება, რომ აქ რაიმე ცვლილებები მოხდეს, თუნდაც რევოლუციური პროცესი აგორდეს და ხალხმა მასობრივად მოითხოვოს ცვლილებები.***

— არა. ხალხმა მასობრივად რომ მოითხოვოს ცვლილებები, ჩემთვის ეს არამცდაარამც რევოლუციურ და მეამბოხე ვითარებას არ ნიშნავს. ჩემთვის რევოლუციური ცვლილება და ხალხმა მასობრივად მოითხოვოს, ნიშნავს იმას, რომ როგორც კი გამოცხადდება არჩევნები, ყველა მიბრძანდება საარჩევნო ყუთთან და გააკეთებს დაფიქრებულ, მოზომილ და აწონილ არჩევანს, ანუ არავინ გააფუჭებს თავის ბიულეტენს და არავის მისცემს უფლებას, მისი ხმით მანიპულაცია მოახდინოს. გარდა იმისა, რომ მივა, ძალიან კარგად გაახელს თვალს და ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ სხვამ არ გაბედოს ის, რაც არ არის დასაშვები.

***— რაზე მიანიშნებთ, სააკაშვილს ხალხმა არ უნდა მისცეს იმის საშუალება, რომ ის კონსტიტუცია აამოქმედოს, რომელიც მიიღო?***

— რა თქმა უნდა. არა მარტო კონსტიტუციური ბერკეტები უნდა გამოვაცალოთ მათ ხელიდან, არამედ სწორედ ყველაზე უფრო დემოკრატიული გზით — საარჩევნო გზით უნდა გამოვაცალოთ ხელისუფლება. ეს მოხერხდება მხოლოდ საარჩევნო გზით. ამიტომ, ვფიქრობ, ახლა საზოგადოების გარინდება არ შეიძლება. მე, მაგალითად, ვეთანხმები კახა კაციტაძის მოსაზრებას. მან თქვა, ახლა საზოგადოება იმიტომ არის გაყუჩებული და გარინდებული, რომ როცა ჩვენ დამოუკიდებლობისთვის ვიბრძოდით, ყოველთვის ვიცოდით, რომ ჩვენი მჩაგვრელი და ჩვენი თავისუფლების მოწინააღმდეგე იყო უცხო ქვეყანა. ახლა, როდესაც დავინახეთ, რომ დიქტატორულ რეჟიმში გვაცხოვრებს ჩვენივე თვისტომი ხელისუფლება, იმდენად მძიმე და ერთი შეხედვით დაუჯერებელიც კია, რომ საზოგადოებას დრო სჭირდება, რათა ამაში ნამდვილად დარწმუნდეს და ამის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყოსო. მე ვფიქრობ, სწორედ ეს სიტუაციაა. ჩემი და უფროსი თაობის საზოგადოებას ნამდვილად გულში არ შეუძლია დარწმუნდეს, რომ ჩარეცხილები უბრალოდ კი არ უწოდეს, მათ დაიწყეს და ძალიან წარმატებით დაასრულეს მცდელობა, საზოგადოების ეს ნაწილი ჩარეცხონ სადღაც ჯანდაბაში; ახალგაზრდებს გამოულაყონ ტვინი, რომ მათ გართობისა და დროსტარების მეტი არაფერი აინტერესებთ. ის, ვისაც თავში რაღაც უყრია, აიძულონ, ქვეყანას თავი გაარიდოს და სამუშაო უცხოეთში ეძებოს. ის პროცესი, რაც ახლა მიმდინარეობს, ვფიქრობ, ამის ნათელი გამოხატულებაა.

***— ქალბატონო ლია, თქვენ კი ხართ დარწმუნებული, რომ აქ ცვლილებები მოხდება, მაგრამ, ოპოზიციის დიდი ნაწილი დარწმუნებულია, რომ თუ ქვეყნის ფარგლებს გარეთ არ მომწიფდა აზრი, რომ სააკაშვილი უნდა წავიდეს, აქ ცვლილებები ვერ მოხდება. სააკაშვილის წასვლას იგივე დასავლეთი ხელს შეუწყობს?***

— დარწმუნებული ვარ, ვინც პირადად შეხვდა სააკაშვილს საერთაშორისო არენაზე, მას ბევრი დრო არ სჭირდებოდა იმისათვის, რომ დარწმუნებულიყო, სააკაშვილი სრულიად შემთხვევით არის პრეზიდენტის პოსტზე. მას ძალიან დიდხანს გაუგრძელდა ამ პოსტზე ყოფნა. მათ, უბრალოდ, მართლა აოცებდათ და დღემდე აოცებთ ის ამბავი, რომ სააკაშვილი კვლავ მანიპულირებს იმით, რომ საზოგადოებრივი მხარდაჭერა გააჩნია. ჩემი უცხოელი მეგობარი, რომელიც აგვისტოს ომის დროს აქ იყო, მეუბნებოდა: როგორც მივხვდი, სააკაშვილი გადადგომას არ აპირებსო. მე ვუთხარი: გადადგომას კი არა, გვარწმუნებს, ომი ჩვენ მოვიგეთო. მან ჩათვალა, რომ ეს ჩემი მხრიდან წმინდა ბრიტანული ხუმრობა იყო, ანუ ევროპელისთვის, დასავლელი მოქალაქისთვის სრულიად წარმოუდგენელია, რომ ჩვენ სააკაშვილს ვაძლევთ მანდატს მას შემდეგაც კი, რაც ომის მერე დაგვემართა და ის წარმატებით ახერხებს პრეზიდენტის პოსტზე ყოფნას. ვიდრე ისინი არ დაინახავენ, რომ საზოგადოება ნამდვილად არის განწყობილი ისე, როგორც არის რეალურად ანუ პრობლემა ისაა, რომ კონტროლდება ინფორმაცია, რომელიც უცხოეთში გადის და იქ იქმნება ფონი, თითქოს არასამთავრობო ორგანიზაციები წერენ საქართველოში, რა დემოკრატიული პროცესი მიდის და რა წარმატებული რეფორმები მიმდინარეობს; ვიდრე ჩვენ ნამდვილად ვართ სამოქალაქო საზოგადოება და დამოუკიდებელი ჟურნალისტები არ გავიტანთ იმ ინფორმაციას, რომელიც საქართველოში შექმნილ რეალობას ეხება, მანამდე იმათ ძალიან გაუჭირდებათ. თუმცა, მე ვფიქრობ, ეს ინფორმაცია უკვე დიდი ხანია გასულია და სააკაშვილს დასავლური მხარდაჭერა ნამდვილად არა აქვს. მაგალითად, სააკაშვილის ბოლო ორი მოგზაურობა შტატებში შემოიფარგლა მხოლოდ ტრამპთან შეხვედრით, ისიც, ძალიან საეჭვო, ძალიან არაპრეზიდენტული და ამ დონის შეხვედრით. მე ვფიქრობ, რომ ვაშინგტონშიც, ბრიუსელშიც და სტრასბურგშიც დიდი ხანია სააკაშვილს აღარავინ ხვდება. უბრალოდ, ჩვენ უნდა დავიჯეროთ, რომ ეს კაცი არც იმათთვის არის მისაღები და ჩვენთვის მით უფრო აღარ არის მოსაღები. ამიტომ რეალურად უნდა განვახორციელოთ ის, რომ ხელისუფლება შევცვალოთ. ამას ჩვენ მაგივრად არავინ გააკეთებს.

***— თქვენი აზრით, ხელისუფლების შეცვლა მხოლოდ არჩევნების გზით უნდა მოხდეს თუ მხარს უჭერთ მანამდე მასობრივი საპროტესტო ტალღის აგორებასა და სიტუაციის ვადამდელ არჩევნებამდე მიყვანას?***

— მე საპროტესტო მოძრაობას წარმოვიდგენდი სრულიად მშვიდობიანი გზით. ჩვენ რომ მოვახერხოთ, 200 000 ხელმოწერა შევაგროვოთ და საკანონმდებლო ინიციატივით დავსვათ საკითხი ვადამდელი არჩევნების დანიშვნის შესახებ, ეს გაცილებით ეფექტური, კონსტიტუციური და მწიფე საზოგადოების პროტესტი იქნებოდა, ვიდრე 200 000 კაცი ფეხად რომ დადგეს რუსთაველზე. ვიდრე არ ვისწავლით სწორი ფორმების მოძებნასა და სწორი მოქმედებების განხორციელებას, ჩვენი მცდელობები შეიძლება არ იყოს ისეთი შედეგიანი, როგორიც სასურველია.

***— ბოლოს ვისაუბროთ სახალხო დამცველის ანგარიშზე, რომელმაც ხელისუფლებაც დააფიქრა და მისი ანალიზისთვის ერთი თვის ვადა აიღო. რას ნიშნავს სააკაშვილის გუნდისთვის ომბუდსმენის დასკვნა, მართლა აინტერესებს ხელისუფლებას, რა ხდება ციხეებში?***

— მე ვფიქრობ, ტუღუში თავის ამპლუაში სრულად შევიდა. მან დაიწყო თავისი საქმიანობის განხორციელება სრული უფლებამოსილების მანდატით, ანუ მან არაფერი არც გადაამლაშა, არც გადაამეტა. ომბუდსმენმა ადამიანის უფლებების მდგომარეობა აღწერა ობიექტურად და დადო შთამბეჭდავი 527-გვერდიანი დოკუმენტი. ეს თავად ხელისუფლებისთვის იმდენად მოულოდნელი იყო, რომ მათ გადაწყვიტეს, დრო აეღოთ. მე არ ვფიქრობ, რომ ეს დრო მათ მართლაც იმისთვის სჭირდებათ, რომ მართლა წაიკითხონ სახალხო დამცველის ანგარიში და დარწმუნდნენ, რაც იქ არის აღწერილი, მართლაც საყურადღებოა. ვფიქრობ, ისინი სერიოზულ საგონებელში ჩავარდნენ, იმიტომ რომ სახალხო დამცველისგან ასეთ საფუძვლიან ანგარიშს არ მოელოდნენ. ხელისუფლება, რა თქმა უნდა, შეეცდება, თავდაცვის პოზიციაში მოიფიქროს რამე. თუმცა, სრულიად ვიზიარებ იმ აზრს, რომ ძალიან დიდი მხარდაჭერა უნდა გამოვუცხადოთ სახალხო დამცველს როგორც სამოქალაქო საზოგადოებამ, ისე საერთოდ საზოგადოებამ და განსაკუთრებით — მედიამ. წინასწარ უნდა ვუთხრათ პარლამენტს და ძალიან მკაფიოდ ვაგრძნობინოთ, ბატონებო, ემანდ ავად არც ენა მოაბრუნოთ ამ ანგარიშისა და სახალხო დამცველის წინააღმდეგ, არც მისი რეკომენდაციების წინააღმდეგ, თორემ თქვენ ვერ ასცდებით სახალხო, საზოგადოებრივი აზრის მრისხანებას, იმიტომ რომ სახალხო დამცველმა გააკეთა თავისი საქმე. ახლა ჯერი ჩვენზეა — მედიასა და საზოგადოებაზე, რომ პარლამენტს შეცდომა არ მოუვიდეს. მე ვფიქრობ, ისინიც ამ ერთ თვეს იმისთვის გამოიყენებენ, იქნებ მანიპულაცია გამოუვიდეთ.

***— თქვენი აზრით, ხელისუფლება ხათუნა კალმახელიძის მინისტრის პოსტიდან მოხსნით შეეცდება გამოსავლის მოძებნას?***

— არა მხოლოდ. მე ვფიქრობ, ომბუდსმენის ანგარიშში დაყენებული საკითხები მოითხოვს მყისიერ და კანონით გათვალისწინებულ რეაგირებას, ანუ ვილაცები პასუხისგებაში უნდა მიეცნენ. ვილაცების მიმართ უნდა დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა და ა.შ. ეს არ არის უბრალოდ ანგარიში, ფაქტების ჩამონათვალი და მხოლოდ რეკომენდაციები. ამ რეკომენდაციებს ადეკვატური ზომები და ღონისძიებები უნდა მოჰყვეს.

***— რატომ ფიქრობთ, რომ ხელისუფლება მსგავს დასკვნას არ ელოდა ტუღუშის მხრიდან და რამდენად სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოჩნდა? ფაქტია, ხელისუფლება აპიარებდა, რომ პენიტენციალური სისტემა ევროდონის გახდა და მუდმივად რეფორმების ქვეშ იყო.***

— რეფორმის ქვეშ ყოფნა არ ნიშნავს იმას, რომ იმ სტანდარტს მიაღწიოს კანონმდებლობამ, რომელსაც მოითხოვს ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნის კანონმდებლობა. სხვათა შორის, ის, რაც პენიტენციალურ სისტემაში ხდება, მაგალითად, წინა კანონს ჰქონდა 62 ცვლილება, რაც, სულ საუკეთესო კანონიც რომ იყოს, ელემენტარული მოთხოვნა, რაც კანონს წაეყენება, რომ იყოს მარეგულირებელი ურთიერთობის, სტაბილურობისა და სამართლიანობის გარანტი, ვერ აკმაყოფილებს, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ 62 ცვლილება განიცადა. ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ გარემო არის არასტაბილური, ურთიერთობები ვერ რეგულირდება. სამართლიანობაზე ლაპარაკი ზედმეტია. ეს იყო წინა კანონი. ახლა მოქმედებაში ახალი კოდექსი შემოვიდა, რომელსაც ასევე აქვს ძალიან ბევრი ნაკლი. ამიტომ უახლოეს მომავალში მასშიც ბევრი ცვლილება განხორციელდება. მესმის, რომ ხელისუფლება რაღაცებს აკეთებს, ოღონდ, არა იმის გამო, რომ კეთილი ნება აქვს და პატიმრებზე ზრუნავს, არამედ, იმის გამო, რომ ეშინია, ევროსასამართლოში საქმეები ისევ არ წააგოს. ყველა ცვლილება, „სასიკეთო" და რეფორმატორული, ჩემი ღრმა რწმენით, გამოწვეულია იმით, რომ სახელმწიფომ ძალიან ბევრი და მნიშვნელოვანი საქმე წააგო სტრასბურგში პატიმრების უფლებებთან დაკავშირებით. ამიტომ, მათი ეს კეთილი ნება, რეფორმატორული განწყობა სულაც არ არის მათი პოლიტიკური ნების პოზიტიური მხარე. ის ვითარება, რომ მართლაც არ შეიძლება გაჩუმება, ტუღუშმა გამოხატა და ანგარიშში ასახა ის, რაც მოხდა. 140 კაცი რომ მოგიკვდეს ციხეში 1 წელიწადში ქვეყანაში, სადაც სიკვდილით დასჯა არა გაქვს, ეს კატასტროფაა და ამაზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს ყველას, ვისი დანაშაულიც გამოძიებითა და სასამართლოთი დადგინდება. მე ვფიქრობ, ტუღუშისთვის არ იყო ეს მოულოდნელი, ხელისუფლებისთვის იყო მოულოდნელი. მათ არ ეგონათ, რომ ტუღუში ასე გაბედულად იმოქმედებდა.



**არ შეი ლება ციხეებში, 1 წლის განმავლობაში 149 ადამიანი იღუპებოდეს!**

## დღეს სანდრო ბრეგაძის სასამართლო პროცესი გაიმართება



დღეს თბილისის საქალაქო სასამართლოში ყოფილ პარლამენტარ სანდრო ბრეგაძის საქმის არსებითი განხილვა დაიწყება.

როგორც ბრეგაძის ადვოკატმა დალი იმნაიშვილმა მედიანიუსს„ განუცხადა, მისი დაცვის ქვეშ მყოფი ჩადენილ დანაშაულს აღიარებს და პროკურატურას საპროცესო შეთანხმების გაფორმებას სთავაზობს.

მისი თქმით, პროკურატურაში ბრეგაძის შესაბამისი განცხადება 24 თებერვალს შევიდა, თუმცა ამას რეაგირება დღემდე არ მოჰყოლია.

შეგახსენებთ, რომ ბრეგაძეს თბილისის საქალაქო სასამართლომ წინასწარი პატიმრობა 21 თებერვალს შეუფარდა და მისი ადვოკატები პროკურატურასთან საპროცესო შეთანხმების გაფორმებას ცდილობენ.

როგორც ცნობილია, ყოფილ პარლამენტარს ბრალი იარაღის გამოყენებით ხულიგნობაში ედება. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში კი შვიდ წლამდე პატიმრობა ემუქრება.

გავრცელებული ინფორმაციით, 17 თებერვალს თბილისში, „ვისოლის" ერთ-ერთ ბენზინგასამართ სადგურზე ბრეგაძესა და სადგურის თანამშრომელს შორის ინციდენტი მოხდა, რაც ფიზიკურ შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა. ბრეგაძემ იარაღი ამოიღო, თუმცა არ გამოუყენებია. როგორც ცნობილია, სანდრო ბრეგაძე ყოფილი პარლამენტარია და მას იარაღის ტარების უფლება აქვს.

**მედიანიუსი**

## თავისუფალი დემოკრატები ალასანიას გამოესარჩლნენ

„თავისუფალი დემოკრატები" ტელეკომპანია „იმედის" ეთერში ირაკლი ალასანიაზე გასულ სიუჟეტს ეხმაურებიან და პარტიის ლიდერის წინააღმდეგ შავი პიარის დაკვეთაში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ადანაშაულებენ.

პარტიაში ასევე პასუხობენ პრეზიდენტის გამოსვლას, რომელმაც აღნიშნული სიუჟეტის გასვლის შემდეგ, „თავისუფალი დემოკრატების" ლიდერი და მისი გუნდი, იგივე ტელეკომპანიის ეთერით მკაცრად გააკრიტიკა.

როგორც „ინტერპრესნიუსს" ალასანიას პრესსპიკერმა, ვაკო ავალიანმა განუცხადა, 9 აპრილს, „იმედში" გასული სიუჟეტი შესრულებული იყო „მოდელირებული ქრონიკის" ტრადიციების სრული დაცვით, მთავარი დამკვეთის - მიხეილ სააკაშვილის მითითებების გათვალისწინებით.

ავალიანი სასაცილოს უწოდებს იმას, რომ სააკაშვილი ქვეყნის იმიჯის შელახვას სხვას აბრალებს. მისი თქმით, ეს ხდება იმ ფონზე, როდესაც „სწორედ პრეზიდენტის უგუნური პოლიტიკის შედეგად საქართველომ დაკარგა საკუთარი ტერიტორიების 20% და არაადეკვატური ქმედებების გამო, ქვეყნის იმიჯი ყოველდღიურად ილახება".

ალასანიას პრესსპიკერის განცხადებით, პირველი პირის გუშინდელი გამოსვლა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სააკაშვილს ეშინია გარდაუვალი ცვლილებების და უჭირს შეგუება იმ აზრთან, რომ „თავისუფალი დემოკრატების" ლიდერი, მისგან განსხვავებით, მომავლის პოლიტიკოსია.

„ქრონიკაში" გასული სიუჟეტის თანახმად, ირაკლი ალსანიამ ბრიტანეთში, „ჩჰატჰამ ჰოუსსჰი"-ში სიტყვით გამოსვლისას, გაოცება გამოთქვა „სტრატეგიულად უმნიშვნელო საქართველოს" მიმართ დიდი ინტერესის გამო. სწორედ ამ ფრაზას გამოეხმაურა მოგვიანებით მიხეილ სააკაშვილი, ავლაბრის რეზიდენციაში სტუდენტებთან შეხვედრისას.

**ინტერპრესნიუსი**

# ჩინოვნიკების სასახლეებს სურათებს მაინც გადავუღებთ!

## რატომ დააპატიმრეს ფოტოგრაფები

**ყველას კარგად გვახსოვს, იუსტიციის მინისტრობის ჟამს მიხეილ სააკაშვილმა რა წიოკი დაატრიალა მთავრობის სხდომაზე. მან ვანო ჩხარტიშვილის სახლის სურათები ააფრიალა და ის კორუმპირებულ ჩინოვნიკად მოიხსენია. ვარდების რევოლუციის შემდეგ უკვე გაპრეზიდენტებული სააკაშვილი მაჟორიტარებს შეხვდა. იმ შეხვედრაზე პრეზიდენტმა მაჟორიტარებს უთხრა, ჩხარტიშვილს უნდა მიბა ოთო.**

**დღეს ჩხარტიშვილი საქართველოდან გაქცეულია. რევოლუციის შემდეგ ხელისუფლებაში მოსული პირები კი ისეთ სასახლეებში ცხოვრობენ, ჩხარტიშვილს რომ არც დაესიზმრებოდა. ამ სასახლეებს პრეზიდენტი რატომღაც ვერ ამჩნევს. ის არც საკუთარ სასახლეებზე გვიამბობს რამეს. არადა, გვპირდებოდა, ნაქირავებში უნდა ვიცხოვროთო.**

**ჩინოვნიკების სასახლეების დაფიქსირებას არასამთავრობო ორგანიზაციები და ოპოზიციური პარტიები ცდილობენ. მათი წყალობით რამდენიმე არაჩვეულებრივი გამოფენის მომსწრენი გავხდით. ასეთი გამოფენის მოწყობას აპირებდა მო რაობა „თეთრებიც". თუმცა, მათი ფოტოგრაფები ჩინოვნიკების სასახლეების გადაღების დროს დააკავეს.**

**რატომ დააკავეს ეს ფოტოგრაფები, რა ჯდება სააკაშვილის დაცვა, როგორ აწყობს ხელისუფლება მოსახლეობის გენოციდს, ამის შესახებ მო რაობა „თეთრების" ლიდერი თემურ შაშიაშვილი „ახალ თაობას" ესაუბრება.**



**თეა მარხვაი ე**

### თემურ შაშიაშვილი:

— დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 20 წლის თავზე შეუძლებელია საჯარო მოხელის სახლს გადაუღო სურათი. ისევე როგორც მთელს მსოფლიოში, საქართველოშიც ქვეყნის პატრონი არის ხალხი. ეს საქართველოს კონსტიტუციითაც ასეა. ხალხმა იმისთვის დაიქირავა ხელისუფლება, რომ ის ემსახუროს ხალხს. მოსახლეობას ბუნებრივია აინტერესებს, როგორ ცხოვრობს მისი ხელისუფლება, როგორც ხალხისგან დაქირავებული თუ ის ხალხს თავზე დააჯდა და ყვლეფს ადამიანებს. საქართველოში ხელისუფლება ხალხს კისერზე აზის და სისხლს სწოვს. და ხალხის მიერ დაქირავებული ხელისუფლება დამქირავებელზე უკეთესად ცხოვრობს. იმან, ვინც უნდა იყოს ხალხის მსახური, ხალხი გაიხადა მსახურად. სააკაშვილი პრეზიდენტი რომ გახდა, გაიძახოდა, არც სახლს ავიშენებ და არც კერძო თვითმფრინავით ვიფრენო. ეს ადამიანი ყველაფერს საპირისპიროდ აკეთებს. მას უამრავი სახლი აქვს. ეს ის სააკაშვილია, რომელსაც, როგორც თავად ამბობდა, ნაქირავებში უნდა ეცხოვრა. ბევრმა არ იცის, რომ ვარდების რევოლუციის შემდეგ სააკაშვილმა ვერაზე ერთ ძალიან პრესტიჟულ სახლში შეიძინა მთელი სართული. ზემოდან დააშენა მეორე სართული. ამერიკაში ნებისმიერ პიროვნებას შეუძლია დღის განმავლობაში ნახოს, როგორ ცხოვრობს მისი ქვეყნის პრეზიდენტი. მისი საცხოვრებელი სახლის სურათის გადაღებაც არ წარმოადგენს პრობლემას. აქ ამასაც უშლიან.

***— ამის მიუხედავად ოპოზიცია და არასამთავრობოები მაინც ახერხებენ ამ სახლებისთვის სურათების გადაღებას.***

— ამას ისინი დიდი რისკის ქვეშ აკეთებენ. ჩვენმა ფოტოგრაფებმა გადაიღეს სურათები. ეს ადამიანები დააპატიმრეს, დაკითხეს, გადაღებული მასალა წაუშალეს და უკან ისე გამოუშვეს.

***— ვინ დააპატიმრა ეს ადამიანები?***

— დაცვამ. 6-7 კაცი იცავს ერთ სახლს. რა აქვს ამ სააკაშვილს ასეთი დასაცავი? დედამისს დაცვა ჰყავს სახლთან. თან რომ დაჰყვებიან, სხვა არის. ბებიამისს დაცვა ჰყავს სახლთან, ისევე როგორც მამამისს. მის ოჯახს, რომელიც ვერაზეა, დაცვა ჰყავს. წარმოიდგინეთ, რა ჯდება მარტო ამ დაცვის შენახვა. ასეთი რამე არსად არ ხდება.

***— სახელმწიფოს მეთაურის სახლებს ყველა ქვეყანაში ჰყავს დაცვა.***

— ჰყავს, მაგრამ ასე არავინ არ იქცევა. ინგლისში პიროვნება, რომელსაც პრემიერად აირჩევენ, გადადის სპეციალურ შენობაში საცხოვრებლად. ხალხმა იცის, როგორ ცხოვრობს მისი ქვეყნის მეთაური. იმას არა აქვს უფლება, 10 და 15 სახლი იყიდოს. ასევე არიან სხვა სახელმწიფო მოხელეები. საქართველოს პრეზიდენტს კი უამრავი სასახლე აქვს. ამ სასახლეებს იცავს სახელმწიფო დაცვა. ისევე როგორც მისი ოჯახის წევრების სახლებს. მათი შენახვა დიდი ფული უჯდება ქვეყანას. 9 აპრილს საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 20 წელი გავიდა. ჩვენ ვითომ დემოკრატიულ ქვეყანას ვაშენებთ. ამ დროს კი იმის უფლებაც არა გაქვს, რომ საჯარო მოხელის სახლს სურათი გადავუღოთ. შიმშილი, შიში და დეპრესია აზანზარებს დღეს ქვეყანას, რომლის სათავეშიც ქვეყნის გარედან მართული ხელისუფლება დგას. დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 20 წლის თავზე ყალბი ეროვნული პათოსით ცხოვრობს ხელისუფლება. თამაშობს პატრიოტიზმს. სოციალური დემაგოგიაა ქვეყანაში. ხალხის ცნობიერებას ანგრევენ. ცოტა ხნის წინ დაარიგეს 30-ლარიანი სასურსათო ვაუჩერი. ეს თანხა შეგნებულად იქნა შერჩეული.

***— რატომ გგონიათ, რომ შეგნებულად შეარჩიეს 30 ლარი?***

— რამდენ ვერცხლად გაყიდა იუდამ მაცხოვარი? 30 ვერცხლად. ამათაც ამიტომ შეარჩიეს 30-ლარიანი ვაუჩერი. უნდათ, რომ ხალხი იუდებად აქციონ. მე არა ვარ ბიბლიის სპეციალისტი. სამაგიეროდ ვიცი, რა დასკვნებს აკეთებენ ამ საქმის სპეციალისტები. მათ ძალიან მძიმე დასკვნები აქვთ იმასთან დაკავშირებით, რასაც ეს ხელისუფლება აკეთებს. არ აინტერესებს საზოგადოებას სააკაშვილი სიხარულის ქუჩაზე მაინცდამაინც 5 ნომერში რატომ ცხოვრობს? 5 არის ნაციონალების პარტიის ნომერი.ესენი ერთსა და იმავე ციფრს უდებენ ხალხს თავში. მათ უნდათ, რომ ყველაფერში ხუთიანი ფიგურირებდეს. თეთრი მოძრაობა ძალიან სერიოზულ ანალიზს აკეთებს იმასთან დაკავშირებით, უწყობს თუ არა ხელისუფლება გენოციდს საკუთარ მოსახლეობას. ამ თემაზე ძალიან სერიოზული სპეციალისტები მუშაობენ. ისინი ამბობენ, რომ რასაც ხელისუფლება აკეთებს, არის გენოციდი. ამ გენოციდში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სახელისუფლებო ტელევიზიები.

***— ისინი რაღა შუაში არიან?***

— ისინი ხალხის გონების დაბნელებას ემსახურებიან. ტელევიზია იმისთვის არის საჭირო, რომ საჯარო მოხელეები ხელის გულზე გყავდეს. ჩვენი ფოტოგრაფები გაოგნებულები დარჩნენ სახლებისთვის სურათების გადაღების დროს. მათ ვერც კი დაიჯერეს, რომ ეს ადამიანები ასეთ სასახლეებში ცხოვრობენ. თუკი ეს მოსახლეობამ არ იცის, მაშინ რა საჭიროა ქვეყანაში ამდენი ტელევიზია. არადა, იცით, რამდენი მასალაა გამოსააშკარავებელი? მარტო თბილისში კოდუების, სიჭინავას, ფიფიების და შარანგიების ქონება რომ გადავიღოთ და გამოვაქვეყნოთ ამას 40-გვერდიანი გაზეთიც კი არ ეყოფა. სიჭინავა, ფიფიები და შარანგიები არიან რუსეთიდან ჩამოსულები. ყველა მათგანს აქვს რუსული ფული. რამდენიმე თვის წინ მე თქვენს გაზეთს მივეცი ინტერვიუ, სადაც ვთქვი, რომ ხელისუფლება რუსული ფულით არსებობს. ამ ინფორმაციამ მოწამლა ხელისუფლება. გადაწყვიტეს ჩვენთვისაც დაებრალებინათ რაღაცა. ჯერ მოიგონეს, რომ ვითომ ებრალიძე გვაფინანსებდა. ეს არის წარმოუდგენელი რამე. რა უნდა იმ პოლიტიკოსს საქართველოში, ვინც ებრალიძის ფულს აიღებს. არც ის უნდა გავაჩეროთ ქვეყანაში, ვინც იგორ გიორგაძის ფულს აიღებს. ებრალიძისგან ფულის მოცემა რომ ვერ დაადასტურეს, მერე მოიგონეს, რომ ვითომ ლიტვაში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენი მაფინანსებდა.

***— ვალერი გელაშვილია ეს ლიტვაში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენი?***

— დიახ, ვალერი გელაშვილია, რომელსაც მე კარგად არ ვიცნობ. გელაშვილის შემდეგ გოჩა ძასოხოვზე დაიწყეს საუბარი.

***— გოჩა ძასოხოვს ხომ იცნობთ, შარშან ვლადიკავკაზშიც ხომ მისი მიწვევით ჩახვედით.***

— გოჩას ვიცნობ. ის არის ძალიან კარგი პიროვნება. ის აკეთებს ქართულ საქმეს. ვერ გამიგია, რატომ არის მისი ფული რუსული.

***— რუსეთშია და იმიტომ არის მისი ფული რუსული?***

— მას ბიზნესი ძალიან ბევრ ქვეყანაში აქვს. ასე რომ, მისი ფული მარტო რუსული ვერ იქნება. რუსულიც რომ იყოს მისი ფული, ის სუფთა ქართულ საქმეს აკეთებს. მე მისგან ფული არ ამიღია. ის ადამიანი ფულს საქართველოს საკეთილდღეოდ დებს. რაც შეეხება რუსულ ფულს, რუსეთიდან საქართველოში 2 მილიარდი შემოდის ყოველ წელს. ჩვენთან ლამის ოჯახი არ არის, რომელსაც ნათესავები რუსეთიდან ფულს არ უგზავნიან. მე მართლა ვერ გავიგე, რატომ არის ძასოხოვის ფული რუსული და შარანგიასი — არა. ადრეც ვთქვი და კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ეს ხელისუფლება რუსული ფულით ცხოვრობს. ვიტყვი იმასაც, რომ ხელისუფლება რუსულ ფულს ათეთრებს.9 აპრილის წინა დღეებში „ხრამი 1" და „ხრამი 2" მიჰყიდეს „რაოესს". ეს კომპანია არის რუსული სახელმწიფო კომპანია. ენგური უკვე რუსებისაა. ბიზნესი, რაც კი ენერგეტიკასთან არის დაკავშირებული, სულ რუსების ხელშია. იგივე ითქმის საბადოებზეც. ამ საბადოების უკან რუსები და ალასანიაა.

***— რომელი ალასანია, ამ შემთხვევაში ირაკლი ალასანია არ უნდა გყავდეთ მხედველობაში.***

— პრეზიდენტის ბიძა ალასანიაზე მოგახსენებთ. ყველაფერი რუსების ხელშია. რუსულ ფულს ათეთრებენ, რუსეთის ხელისუფლებასთან დაახლოებული პირები ჩამოჰყავთ და კიდევ სხვას აბრალებენ რაღაცებს. რუსეთიდან ჩამოსულ ფიფიას დაანგრევინეს რესტორანი.

***— რომელი რესტორანი?***

— „არაგვი", რომელიც თბილისელებისთვის ძალიან ახლობელი და საყვარელი ადგილი იყო. არ არის გამორიცხული, რომ მალე ფიფიებს გადასცენ იუსტიციის სამინისტროს ძველი შენობა. სიჭინავა, შარანგიები, ფიფიები — ეს არის ხალხი, რომელმაც რუსეთში იშოვა ფული. ყველაფერს ამათ უგდებენ ხელში. ყველაფრის უკან ესენი არიან.

***— რა დამსახურებისთვის უგდებს ყველაფერს ხელისუფლება ამათ ხელში?***

— ვიღაცამ ძალიან ეშმაკური რჩევა მისცა სააკაშვილს. ურჩიეს, ისე მოაწყვე საქმე, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლების დახმარებით საქართველოში მცხოვრებმა აზერბაიჯანელებმა შენ მოგცემენ ხმა. იგივე რჩევა მისცეს სომხებთან დაკავშირებითაც. სამეგრელო საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი რეგიონია. აქ ბევრი ხალხი ცხოვრობს. მათი მხარდაჭერა ნებისმიერი ხელისუფლებისთვის მნიშვნელოვანია. ამიტომაც ურჩიეს სააკაშვილს, რომ ისე გააკეთე, სამეგრელომაც შენ დაგიჭიროს მხარიო. ამიტომ ცდილობს ხელისუფლება, სამეგრელოსთან დაკავშირებული ადამიანები წინ წამოსწიოს. თავად ამ კუთხისთვის კი არაფერს აკეთებენ. ხალხი შიმშილით იტანჯება, ესენი კი მდიდრულ სასახლეებში ცხოვრობენ. ამ სახლებს ჩვენ აუცილებლად ვაჩვენებთ საზოგადოებას.

***— კიდევ აპირებთ ამ სახლების გადასაღებად წასვლას?***

— რა თქმა უნდა. დავასახელებთ დღეს, როცა გადასაღებად წავალთ. ამის შესახებ ყველა საინფორმაციო საშუალებას შევატყობინებთ. გავაფრთხილებთ საელჩოებსაც. ჩვენ არ მივდივართ პროვოკაციისთვის. ჩვენ გვინდა გადავიღოთ საჯარო მოხელეების სახლები. ჩვენ გვინდა გავიგოთ თუ რამდენი დაცვა იცავს სააკაშვილს და მის ახლობლებს. ასეთ ღარიბ ქვეყანაში არ შეიძლება ასეთი მდიდარი ხელისუფლება იყოს. ეს აღმაშფოთებელია. ისევე როგორც ქართველი პოლიტიკოსების დამოკიდებულება ენიდიაის მიმართ. მე მათ მაგივრად მრცხვენია. მრცხვენია იმიტომ, რომ ამ ადამიანებს ეშინიათ ამ ორგანიზაციის.

***— რატომ უნდა ეშინოდეთ?***

— იმიტომ, რომ ამერიკულია. ამათი აზროვნება ასეთია, როგორ შეიძლება ამერიკული გააკრიტიკო. ადრე ასეთი დამოკიდებულება იყო რუსულის მიმართ. ერთიც უბედურებაა და მეორეც. კიდევ უფრო მეტი უბედურებაა ჩვენი მონური დამოკიდებულება. თურმე როგორ შეიძლება ენდიაის ჩატარებულ კვლევას არ ვენდოთ. მე ვამბობ, რომ არ უნდა ვენდოთ ამ კვლევას.

***— მიზეზი დაასახელეთ, რატომ არ უნდა ვენდოთ?***

— მათ თქვეს ქვეყნის სათავეში უნდა დარჩნენ ნაციონალები. სააკაშვილი ვერ დარჩება ვერც პრეზიდენტად და ვერც პრემიერად. იმიტომ, რომ გამოკითხულთა ნახევარიც კი არ უჭერს მხარს. ყველამ იცის, რომ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი რევოლუციურად არის განწყობილი. ამ გამოკითხვის თანახმად კი მოსახლეობას თითქოს არც კი აინტერესებს რადიკალური ოპოზიცია. მთავარი სათქმელი ამ კვლევაში მაინც სხვა რამე იყო. ამ კვლევებმა დაადგინა, რომ საქართველოს სათავეში ისე აბაშიძე და შევარდნაძე არიან.

***— როგორ არიან ისინი ისევ ხელისუფლების სათავეში?***

— როგორ და მათი შვილები მართავენ ქვეყანას.

***— პოლიტიკურ შვილებზე საუბრობთ, ალბათ?***

— რა თქმა უნდა. ქვეყნის სათავეში დღეს ყოფილი მოქკავშირლები და ამღორძინებლები არიან. საშინელ დღეშია ეს ქვეყანა. ჯერ რუსულმა ტანკებმა გადაგვიარეს. ახლა კი ცნობიერებას გვინადგურებენ. ამას აკეთებს ამერიკა.ჩემნაირი ხალხი ამერიკელებს სძულს. მე მიყვარს ამერიკა. სამწუხარო ისაა, რომ ამერიკას ის ხალხი უყვარს, ვისაც ის სჭირდება. სააკაშვილს და ნაციონალებს ამერიკა სწორედაც რომ სჭირდებათ.

***— თქვენ არ გჭირდებათ ამერიკა?***

— მე ამერიკა არ მჭირდება. მე ის მიყვარს. ის მე მიყვარს თავისი დემოკრატიით და ეკონომიკური გამოცდილებით. მინდა, რომ აქაც ასეთი დემოკრატია იყოს. ამასთანავე, მძულს ამერიკა, რომელსაც უნდა, რომ საქართველოში თავისი კაცი დასვას. მე ისეთი რუსეთიც მძულს, რომელიც თბილისში თავისი კაცის დასმას შეეცდება. საქართველოს ერთმაც და მეორემაც თავი უნდა დაანებოს. საქართველომ თავად უნდა აირჩიოს თავისი ხელისუფალი. არ შეიძლება დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 20 წლის თავზე ქვეყანა ასეთ დღეში იყოს.

# რევოლუციის სუნი მცემს!

## საქართველოს გადასარჩენად უნდა გავერთიანდეთ



### ინტერვიუ შალვა ხაჭაპურიძესთან

ნონა ცაბა ე

***— ბატონო შალვა, გასული კვირის ბოლოს ენდიაიმ პოლიტიკური პარტიების რეიტინგები გამოაქვეყნა, თქვენ რამდენად სერიოზულად მიიღეთ ეს კვლევები?***

— რა თქმა უნდა, არ მივიღე სერიოზულად, თუნდაც იმიტომ არ მივიღე სერიოზულად, რომ გახსოვთ თქვენ, ალბათ, ერთ-ერთმა გაზეთმა ჩაატარა გამოკითხვები, თუ რომელი პოლიტიკური ფიგურა სარგებლობს დიდი ნდობით და ამ გამოკითხვის მიხედვით პირველ ადგილზე იყო შალვა ნათელაშვილი და მეორე ადგილზე ვიყავი მე. ეს გაზეთი მე დღესაც მაქვს. ახლა ენდიაი თუ ატარებს ასეთ კვლევებს, ბუნებრივია, ელემენტარულად მე და კიდევ რამდენიმე პოლიტიკური ფიგურა უნდა მოვხვედრილიყავით ამ კვლევებში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩვენმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ ჰააგაში შეიტანა სარჩელი, რომელსაც ჟურნალისტებმა უწოდეს სააკაშვილის რეჟიმის ანატომია. ანუ თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენ მოხვედრილები არა ვართ ამ კვლევებში, ეს არის ძალიან ტენდეციური. ენდიაი მთელი წლების განმავლობაში არაობიექტურობით არის ცნობილი და გეტყვით, რომ ეს კვლევები ხელისუფლების მიერ არის შეკვეთილი. ნაციონალურ მოძრაობას რომ მოსახლეობის 52% არ უჭერს მხარს, ეს ელემენტარულად ჭკუათმყოფელმა ადამიანმა არ უნდა დაწეროს.

***— მეორე ადგილზე ალასანიას პარტია გავიდა, ეს თქვენ რას გეუბნებათ?***

— რატომ? პირველზე არ გავიდა, კი ბატონო, პირველზე გასულიყო. რას მეუბნება, არაფერსაც არ მეუბნება. ეს არის შეკვეთილი და ხელისუფლების თამაშია. მე არ ვამბობ, რომ ეს ალასანიასთან შეთანხმებული იყო, მაგრამ ალასანიას გარკვეული დიპლომატიური კურსი ხელისუფლების მიმართ და ამით ხელისუფლებამ აჩვენა ამერიკელებს, რომ აი, ნახეთ, ვინც ჩვენთან მოლაპარაკებების გზით აპირებს ურთიერთობის გარკვევას, იმ პარტიებს რეიტინგი აქვთ, ხოლო იმ პარტიებს, რომლებიც ამ გზას არ მიჰყვებიან, არანაირი რეიტინგი არ აქვთ და კვლევებშიც კი ვერ მოხვდნენო. ანუ ორი გზის ჭიდილი იყო აქ და ხელისუფლებამ აქ წინა პლანზე წამოსწია ის პარტიები, რომლებიც მასთან მოლაპარაკებებს აწარმოებენ. სააკაშვილს მინდა ვუთხრა, რომ ძალიან ცდება, თუ ის დათმობაზე არ წავიდა, ნუ ჰგონია, რომ ეს პარტიები თავზე ხელს გადაუსვამენ და საპროტესტო აქციებში მონაწილეობას არ მიიღებენ. ვთქვათ, 52% აქვს სააკაშვილს, მაგრამ ამით რას ეუბნება საერთაშორისო ორგანიზაციებს, ან იმ ორგანიზაციას, ვინც ეს კვლევები ჩაატარა და თუნდაც საზოგადოებას, რა 74% რომ უმუშევარია ქვეყანაში, ეს კარგია? ან თუ 74%-ია ქვეყანაში უმუშევარი 52% როგორ უჭერს მხარს?!

***— საზოგადოება კიდევ ერთხელ შეჰყავთ შეცდომაში?***

— რასაკვირველია, შეჰყავთ. მე არაერთხელ მითქვამს, როგორც თქვენი, ისე სხვა გაზეთების საშუალებით, რომ დიდ მადლობას ვუხდი ამერიკის პრეზიდენტს ბარაკ ობამას, მიმაჩნია, რომ ეს არის ერთ-ერთი სერიოზული პოლიტიკური ფიგურა ბოლო წლების პოლიტიკურ ისტორიაში. ეს კაცი ყოველდღიურად თავისი ქმედებით ადასტურებს ამ პოზიციას. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა დღეს გაავრცელა ინფორმაცია — 2010 წლის მდგომარეობა საქართველოში, ცალსახად განაცხადეს, რომ ქვეყანაში არ არის დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა, რომ სასამართლო ხელისუფლებაზე ხდება ზეწოლა. აღნიშნეს, რომ ხდება ადამიანების პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრება, ხდება პირადი ანგარიშსწორებები და ადამიანის დაპატიმრებები, ადამიანის უფლებების ყოველდღიური დარღვევები, რომ ადგილი აქვს ელიტურ კორუფციას, რომ ქვეყანაში არ არის დემოკრატია. მეტი რაღა უნდა გააკეთოს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა. შემდეგ იგივე განცხადება გააკეთა და თავისი კომენტარებიც დაუთმო ამერიკის ელჩმა საქართველოში ჯონ ბასმა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი, საინტერესო და რევოლუციური დასკვნაა. დღეს ქართულ ოპოზიციას ამ განცხადების შემდეგ მიეცა საშუალება, რომ იმოქმედოს უკვე გადამწყვეტად და გადადგას მნიშვნელოვანი და სერიოზული ნაბიჯები ქვეყნის გადარჩენისთვის და რაც მთავარია, ამ რეჟიმის დემონტაჟისთვის. ამაზე მეტი რა უნდა გააკეთონ, ბარაკ ობამა არ ჩამოვა საქართველოში და საპროტესტო აქციებს არ ჩაუდგება სათავეში. ეს არის ფაქტიურად მწვანე შუქი ოპოზიციისთვის, ხოლო წითელი შუქი სააკაშვილისთვის. ამითი ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკას წერტილი დაუსვა. რამდენად და ვინ გამოიყენებს ამას, ეს უკვე ოპოზიციის საქმეა. თუ ეს შანსიც იქნა ხელიდან გაშვებული, მაშინ დავდგები მეც და დავიძახებ — მიშა მაგარია-მეთქი და მერე ამერიკელებიც იტყვიან, რომ მიშა მაგარია. გარდა ამისა, ამ განცხადებით ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ამერიკის შეერთებულმა დეპარტამენტმა ის პოლიტიკური პარტიები, ვინც რუსული ორიენტაციის პარტიები არიან. ამ განცხადებით ყველაფერი თავის ადგილზე დადგა და ახლა ჯერი ქართულ ოპოზიციაზე და საქართველოს მოსახლეობაზეა. თუ ეს მომენტი იქნა ხელიდან გაშვებული, რასაც პირადად მე არ ვაპირებ.

***— თქვენ რას აპირებთ?***

— მე დღეს ან ხვალ გავაკეთებ საგანგებო განცხადებას ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის დასკვნასთან დაკავშირებით. გარკვეულ კონსულტაციებსაც გავმართავ ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებთან. თუ ოპოზიციური პარტიების გარკვეულწილად გაერთიანება და თანადგომა იქნება, მაშინ ჩვენ მზათა ვართ ერთობლივად ვიმოქმედოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში პარტია, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად აიღებს ინიციატივას, ქვეყანაში დაამყაროს კონსტიტუციური წესრიგი, რის უფლებასაც ჩვენ გვაძლევს პირველ რიგში, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, რის უფლებასაც ჩვენ გვაძლევს სახელმწიფო დეპარტამენტის ეს დასკვნა და რაც ყველაზე მთავარია, ქართველი ხალხის უფლებები. პირადად მე დიდხანს ლოდინს აღარ ვაპირებ.

***— ალბათ, დამეთანხმებით, რომ დღეს სააკაშვილი ჩვენს ხელისუფლებას ერთ დიდ ტყუილში აცხოვრებს. ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს გასულ კვირას სახხერიდან როგორი ზარზეიმით გვახარა, რომ მუხრან მაჭავარიანის ბოლო ოცნება შევასრულე და მის სოფელს წყალი აქვსო, თუმცა, აღმოჩნდა, რომ იმ დღეს იქ წყალი სახანძრო მანქანებით ჩაუტანიათ...***

— სხვათა შორის, ამ სოფელს მეც კარგად ვიცნობ და იქ ჩემი რამდენიმე მეგობარი ცხოვრობს, სააკაშვილი წამოსულიც არ იყო იმ სოფლიდან, როდესაც მე დამირეკეს და მითხრეს, რომ ეს ყველაფერი ტყუილია, არანაირი წყალი არ გადაუყვანიათ და ასე შემდეგ. სააკაშვილმა ამ დღეს მორიგი სპექტაკლი დაგვიდგა. მე ერთი ძალიან საინტერესო ფაქტი მინდა გავიხსენო, სააკაშვილი როდესაც ოპოზიციაში იმყოფებოდა და იყო იუსტიციის მინისტრი, ჩამოვიდა თერჯოლის სასამართლოში. თერჯოლის სასამართლოს შენობა არ მოხვედრილა მსოფლიო ბანკის რეაბილიტაციის პროექტში. სააკაშვილი ადგა და თქვა, რადგანაც ეს სასამართლო ამ პროექტში ვერ მოხვდა, მე ჩემი ძალებით უნდა გავარემონტოო. ჩამოვიდა, გაზეთის ქუდი დაიხურა თავზე, მაშინაც რუსთავი ორი ახლდა თან და დაიწყო ვითომდა მისი შეღებვა. იმ პერიოდში მე იმერეთის რეგიონის მმართველი მოსამართლე გახლდით და როდესაც ამ სასამართლოს ვესტუმრე, იმდენად დანგრეული იყო, რომ იატაკში ფეხი ჩამივარდა და დღემდე ამნაირ მდგომარეობაშია. ანუ ამ კაცის ცხოვრება მთლიანად აგებული იყო პიარზე. უფრო მეტიც, თქვენ შეგიძლიათ ნახოთ ის შენობები, რომლებიც სააკაშვილის პერიოდში იქნა აშენებული, განსაკუთრებით სახელმწიფოს დაფინანსებით. მორღვეულია კარები, ფანჯრები აღარ იკეტება, ძირითადად ეს შენობები კეთდება იაფფასიანი მასალით. მას ყველაფერი აგებული აქვს პიარზე. ამ ორიოდე დღის წინ გვამცნო კიდევ ტელეკომპანია „იმედმა“, რომ ხობში 9 თვით ადრე გაიხსნა საავადმყოფოს შენობა. ეს შენობები ყოველდღიურად ინგრევა, იმიტომ, რომ აწყობილია მთლიანად პიარზე. მშენებლები სიცილით კვდებიან, შეიძლება ერთი თვით, ან თვე-ნახევრით ადრე დაამთავრო, როგორ შეიძლება შენობის 9 თვით ადრე დამთავრება. თუ დამთავრებული იყო ეს საავადმყოფო, რატომ არ გვაჩვენეს მთლიანად, მხოლოდ ერთი ოთახი რომ გვაჩვენეს. ასევე არ გახსნა ქუთაისის საოლქო სასამართლო ნახევრად დაუმთავრებელი და შემდეგ კიდევ 5 წელი დასჭირდა მის დამთავრებას. აქ ახალი არაფერია, ეს კაცი ასე სიცრუით ცხოვრობს და ჩვენც ვირტუალურ სამყაროში გვაცხოვრებს. დღეს საიტებზე მისი ციტატაა დადებული, მე რომ არ ვყოფილიყავი პრეზიდენტი, არქიტექტორი გავხდებოდიო. გადაშალეთ ჰიტლერის მიერ დადებული მაინკაფის 37-ე გვერდის მეხუთე აბზაცი და ზუსტად წაიკითხავთ ჰიტლერის სიტყვებს — მე რომ არ ვყოფილიყავი გერმანიის კანცლერი, მე აუცილებლად არქიტექტორი გავხდებოდი. სააკაშვილი ჩამოყალიბებული დიქტატორია, კიდევ კარგი, რომ ქუჩაში არ გვხოცავს. მას საერთაშორისო საზოგადოება არ აძლევს ამის საშუალებას, თორემ კარგა ხნის წინ გაზის კამერებში ვეყოლებოდით გაგუდული ის ხალხი, ვინც მის რეჟიმს ვეწინააღმდეგებით.

***— რას ელით ამ გაზაფხულზე, ბატონო შალვა?***

— მე ამ გაზაფხულზე ველი ერთ რამეს, რაც ქართველ ხალხს უნდა, მოხდება ის. თუ ქართველი ხალხი მიიჩნევს, რომ სააკაშვილის რეჟიმი არის გასასტუმრებელი, ამის მწვანე შუქი უკვე ანთებულია ამერიკის შეერთებული შტატებიდან. პირდაპირ გვეუბნებიან, გაუშვით ეს კაციო. ევროპაში კი აცხადებენ, რომ თქვენთან რა მდგომარეობაცაა, ის მდგომარეობა იყო ეგვიპტეში და თქვენც იბრძოლეთ თქვენი უფლებებისთვისო.

***— გამოდის, რომ რევოლუციის სუნი გცემთ?***

— რევოლუციის სუნი მცემს, ეს ერთია და ეს რვა პარტიაც რომ ესაუბრება ხელისუფლებას, კარგად ხედავენ, რომ არანაირ დათმობაზე წასვლას არ აპირებენ. მეტიც, ბაქრაძე რომ ზის, პარლამენტის თავმჯდომარე რომ ჰქვია, ბაქრაძეს ჩემს ოფისში ალბათ კლერკად დავნიშნავდი. გამოდის ბაქრაძე და აცხადებს, იცით რა, ჩვენ დავიბარებთ შესაბამის მინისტრებს და რადგან ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა თქვა, ციხეებში უფლებები ირღვევაო და შესაბამის კომიტეტებში მოხდება ამ საკითხის განხილვაო. ამ ორი დღის წინ რომ გამოდიოდა ხალხი და იძახდა, პატიმრების უფლებები ირღვევაო, დღეს კაპეზეში არიან და ოც-ოცი დღე აქვთ მისჯილი. ადა მარშანიას მოყკიდეს ხელი და დააპატიმრეს ამ უნამუსოებმა. გამოდის ეს მანქურთი ბაქრაძე, ეს ხომ ქართველი არ არის, გამოდის და აკეთებს უნამუსოდ განცხადებას, რომ თურმე კომიტეტებში მოხდება ამ საკითხის განხილვა. სწორედ ეს უნდათ, რომ ეს საკითხები კომიტეტებში გადაიტანონ, ქუჩაში კი არა. ქუჩაში თუ გამოვიდა ეს ხალხი, ძალიან მძიმედ დამთავრდება ყველაფერი ამათთვის.

***— მართლაც რომ უმძიმესი და შოკისმომგვრელი იყო სახალხო დამცველის მოხსენება...***

— მე მადლობა მინდა ვუთხრა ამ ადამიანს, რომ ასეთი თამამი ნაბიჯი გადადგა. თუმცა, ჩვენ აქ არ უნდა შევცდეთ ერთ რამეში, ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ, თუ ეს პროცესი გადავიდა კომიტეტებში, გადავიდა კაბინეტებში, ჩვენ რეალურ შედეგებს ვერ მივიღებთ, რადგან ჩვენ საქმე გვაქვს დანაშაულებრივი ბუნების მქონე ხელისუფლებასთან. ამ ხელისუფლებას არაფერი ესმის საერთოდ. ყველაფერი უკან მიდის, ოცი წლის წინ უფრო კარგი სასტარტო მდგომარეობა იყო, ვიდრე დღეს არის. ვერანაირად წინ ვერ წავედით, კიდევ უკან წავედით. დღეს რეალური მოქმედებების და ცვლილებების დრო მოვიდა, სხვანაირად წარმოუდგენელია, სტაგნაცია ხდება, მივდივართ უკან და უკან. საზოგადოება უკიდურესად გაჭირვებულია.

***— თქვენი პოზიციაა, რომ პროცესები უნდა წარიმართოს ქუჩაში?***

— მე პირადად ეს განწყობა მაქვს და ვემზადები ამისთვის. დღეს შეკრებილები ვართ და ვფიქრობთ, რომელი დღე შევარჩიოთ პროცესების დასაწყებად, რომელსაც ვუწოდებთ რისხვის დღეს. მე პირადად ამ გადაწყვეტილებამდე ვარ მისული. ნებისმიერ ძალასთან დავდგები, გავერთიანდები, ვინც რეალურად აპირებს ქვეყანაში სიტუაციის შეცვლას და ვინც სამშობლოს პატრიოტია.

---

## ცოტნე გამსახურდიას ადვოკატები მოსამართლე ზვიად ესებუას იუსტიციის უმაღლეს საბჭოში უჩივიან



ცოტნე გამსახურდიას ადვოკატები თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ზვიად ესებუას, რომელმაც მათ მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში გამსახურდიას სასამართლო პროცესის სხდომის ოქმის გასაჩივრება უსაფუძვლოდ მიიჩნია და განხილვაზე უარი თქვა, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში უჩივიან.

როგორც „მედიანიუსს“ გამსახურდიას ადვოკატმა ქეთი ბექაურმა განუცხადა, ცოტა ხნის წინ მათ თბილისის საქალაქო სამასართლოსგან მიიღეს უწყება, სადაც ნათქვამია, რომ მოსამართლე ზვიად ესებუამ მათ მიერ სხდომის ოქმის გაყალბებასთან დაკავშირებით შეტანილი სარჩელის განხილვაზე უარი განაცხადა.

— უახლოეს დღეებში ჩვენ ზვიად ესებუას იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ვუჩივლებთ, რათა მის მიმართ დისციპლინარული დევნა დაიწყოს, — განაცხადა ბექაურმა.

ცნობისთვის: ცოტნე გამსახურდიას ადვოკატის მტკიცებით, სასამართლო სხდომის ოქმი, რომლის საფუძველზეც ბრალდებულის სასჯელს ცოტა ხნის წინ კიდევ ხუთი წელი დაუმატეს, გაყალბებულია.

როგორც „მედიანიუსს“ ცოტნე გამსახურდიას ერთ-ერთმა ადვოკატმა მანანა კობახიძემ განუცხადა, სხდომის ოქმში საერთოდ არ არის დაფიქსირებული დაცვის მხარის მიერ შუამდგომლობით წარდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც მოსამართლემ დააკმაყოფილა.

— შეუძლებელია, ეს ტექნიკური ხარვეზი იყოს. ოქმი ვიღაცამ მიზანმიმართულად გააყალბა, რაც სისხლის სამართლის კოდექსით ისჯება. ოქმში ჩვენ მიერ წარდგენილ მტკიცებულებები საერთოდ არ არის ნახსენები მაშინ, როცა მოსამართლემ გამოგვიცხადა, რომ ჩვენი შუამდგომლობები დააკმაყოფილა, — განაცხადა კობახიძემ.

როგორც ცნობილია, გამსახურდიას ადვოკატებს სხდომის ოქმთან ერთად თავად განაჩენიც გასაჩივრებული აქვთ, თუმცა სააპელაციო სასამართლოში მისი განხილვა ჯერ არ დაწყებულა.

შეგახსენებთ, რომ ცოტნე გამსახურდიას 13 წლით, ორი თვით და 5 დღით თავისუფლების აღკვეთა აქვს მისჯილი. გამსახურდიას წინა ბრალდების შესაბამისად, 8 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა დარჩენილი და თბილისის საქალაქო სასამართლომ კიდევ 5 წელი დაუმატა.

ცნობისათვის: სასამართლო განიხილავდა ცოტნე გამსახურდიასთვის წაყენებულ ახალ, ქრთამის მიცემის ბრალდებას, რომელსაც ითვალისწინებს სისხლის სამართლის კოდექსის 339 მუხლის II ნაწილი.

დაცვის მხარის ინფორმაციით, ცოტნე გამსახურდიამ, რომელიც მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში იმყოფება, თითქოს ამავე დაწესებულების თანამშრომელს კორესპონდენციიის გატანის სანაცვლოდ, 500 ლარის ოდენობის ქრთამი შესთავაზა.

ცოტნე გამსახურდია 2009 წლის 27 ოქტომბერს დააკავეს. დაკავების მოტივი იარაღის უკანონოდ შეძენა, შენახვა, ტარება და განზრახ მკვლელობის მცდელობა იყო. მაშინ მას 9,6 წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

**მედიანიუსი**

---

## წერეთელმა აშშ-ს დასკვნა დაუწუნა

საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერის გიგი წერთლის განცხადებით, ის ვერ დაეთანხმება აშშ-ს დეპარტამენტის ანგარიშში მოყვანილ შენიშვნას, თითქოს საქართველოში ხელისუფლების მომხრეებისა და ოპოზიციის წარმომადგენლების მიმართ შერჩევითი სამართალი მოქმედებს.

როგორც „მედიანიუსთან“ საუბრისას წერეთელმა აღნიშნა, ეს ანგარიში ეფუძნება ადგილორბივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტისთვის მიწოდებულ ცნობებს და ეს დოკუმენტში ხაზგასმულია.

მისი თქმით, ანგარიშში ნათლად არის ნათქვამი, რომ ასე არასამთვარობო ორგანიზაციები ფიქრობენ.

— აქედან გამომდინარე, ეს არ არის აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის დასკვნა. საქართველოში შერჩევითი სამართალი ნამდვილად არ მოქმედებს და არაერთი მაგალითი არსებობს იმისა, კანონის გადაცდომისთვის, თუ როგორ დაისაჯნენ მაღალი თანამდებობის

პირები, რომლებიც მმართველი გუნდის წარმომადგენლები იყვნენ, ასევე ხელისუფლების მომხრეები. მგონი, საზოგადოება ხედავს სიმართლეს, რომ კანონის დარღვევისთვის საქართველოში ყველა ერთნაირად აგებს პასუხს. აშშ-ს მიერ გამოქვეყნებული დასკვნა არის ზოგადი. თუ ფაქტობრივი მასალა არ იქნა დადებული შერჩევითი სამართლის შესახებ და კონკრეტული მაგალითები არ დასახელდა, არ შეგვიძლია დავეთანხმოთ. ასევე შემიძლია ვთქვა სხვა საკითხებთან დაკავშირებითაც. ამ ანგარიშში ძირითადად საუბარია პენიტენციარულ სისტემაზე და სამართლის სფეროში არსებულ სიტუაცია და გასათვალისწინებელია ისიც, რომ სწორედ ამ სფეროებში მიღწეულ წარმატებებზეც არის გამახვილებული ყურადღება, — განუცხადა „მედიანიუსს“ გიგი წერეთელმა და დასძინა, რომ ანგარიში მაინც საფუძვლიანად უნდა შეისწავლონ, რადგან შესაძლოა, რიგი საკითხები მართლაც გასათვალისწინებელი იყოს.

**მედიანიუსი**

# მოსახლეობა ოპოზიციას აღარ ენდობა



**პარლამენტის ვიცე-სპიკერ პაატა დავითაიას აზრით, ოპოზიციაში ყველას ჯეკპოტი უნდა და არავის არ უნდა პოლიტიკური ნაბიჯების ეტაპობრივად გადადგმა. პაატა დავითაიას თქმით, ყველას დღეს უნდა ყველაფერი, ამ დროს კი ვერაფერს ღებულობ.**

**რაც შეეხება საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით ხელისუფლებასა და „რვიანს“ შორის არსებულ ვითარებას, პაატა დავითაია ამბობს, რომ გარკვეულ საკითხებში არც ხელისუფლების პოზიციას იზიარებს და არც „რვიანის“. დავითაია ამბობს, რომ თავიდანვე მას თავისი პოზიცია ჰქონდა, რომელიც უფრო რადიკალური იყო, ვიდრე „რვიანის“ პოზიცია.**

**რატომ „გაიჭედა“ ხელისუფლებასა და „რვიანს“ შორის დაწყებული მოლაპარაკება, რა რადიკალური მოთხოვნები ჰქონდა დავითაიას და რატომ ტოვებდა თავიდანვე ამ პროცესს?**

**„ახალი თაობა“ პაატა დავითაიას ესაუბრა:**

## რატომ ყიდულობს რუსეთი საქართველოში ჰესებს

ნანა მიშელაშვილი

***— მაისში რადიკალური ოპოზიცია ქუჩის აქციების დაწყებას გეგმავს. რას მოიტანს ეს აქციები და რა პროცესებს ექნება ადგილი?***

— გარკვეული პოლიტიკური ძალები ფიქრობენ, რომ ხელისუფლებაზე პოლიტიკური ზეწოლა საჭიროა და აქედან გამომდინარე გეგმავენ ქუჩის აქციებს. ჩემთვის უცნობია, კონკრეტულად რა იგეგმება, ის ვიცი, რაც მედიის საშუალებით შუქდება. აქციების გზით ხელისუფლებაზე ზეწოლის განხორციელება შეიძლება, ამის არაერთი მაგალითი იყო თუნდაც 2007 წელს. მაშინ აქციებმა ის გამოიწვია, რომ ვადამდელი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა.

***— 2007 წელს სხვა ვითარება და სიტუაცია იყო...***

— ეს სხვა საკითხია, ვინ მოიგო და ვინ წააგო, მაგრამ ვადამდელი არჩევნები რომ გამოიწვია, ფაქტია. ქუჩის აქციები, თუ ორგანიზებული და კონსოლიდირებული იქნება, რაღაც დივიდენდების მიღება შეიძლება. მე არა ვარ ამ აქციების ორგანიზატორი, ამიტომ მიზანი არ ვიცი, მაგრამ ოპოზიციის კონსოლიდაციას შედეგის მიღწევა შეუძლია.

***— რა შედეგის მიღწევა შეუძლია?***

— ხელისუფლების ცვლილება მხოლოდ და მხოლოდ არჩევნების გზით. ვადამდელი არჩევნების მოთხოვნა და არჩევნებში გამარჯვება. ამ გზაზე ვსაუბრობ. სამწუხაროდ, რასაც ვხედავთ, ოპოზიციაში დღეს მიმდინარეობს ერთმანეთის შეურაცხყოფა და ლანძღვა. ასეთი მიდგომები ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს. თუ ეს ურთიერთლანძღვისა და შეურაცხყოფის რეჟიმი გაგრძელდა, მაშინ, ქუჩის აქციები ვერ იქნება ორგანიზებული და შედეგის მომტანი. საზოგადოებაში უფრო მეტ ნიჰილიზმს დაბადებს.

***— ოპოზიცია მოსახლეობაში საპროტესტო მუხტს ასწევს, შემდეგ კი იმედგაცრუებას იწვევს. ასე არ არის?***

— საბოლოო ჯამში ასე ჩანს. დღეს, როდესაც ოპოზიცია ურთიერთთავდასხმის რეჟიმშია, ეს ცუდ შედეგს გამოიწვევს. როდესაც ურთიერთთავდასხმის რეჟიმში ხარ, თან ამ მომენტში აქციებს იწყებ და იძახი, რომ რაღაცას შეცვლი, ვერ შეცვლი.

***— ერთმანეთთან დაპირისპირებული ოპოზიციონერი ლიდერები შეძლებენ იმას, რომ ძველი წყენა დაივიწყონ და ერთმანეთის გვერდით დადგნენ?***

— გამორიცხული არაფერია. ერთი რამ უნდა ვთქვა, როდესაც ოპოზიციის გაყოფა ხდება რადიკალებად და არარადიკალებად, შედეგი არ დგება. დღის წესრიგთან დაკავშირებით მთელი ოპოზიციური სპექტრის შეთანხმება უნდა მოხდეს. 9 აპრილმა და 26 მაისმა აჩვენა, რომ მიხეილ სააკაშვილი შეძახილზე არ მიდის. ასეთი გზა წინასწარ განწირულია. სხვა ლოზუნგები უნდა იყოს.

***— მაგალითად, რა?***

— პრობლემები არის საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით, სისტემური მიდგომა უნდა იყოს. მოთხოვნა უნდა იყოს ჩამოყალიბებული. როდესაც ურთიერთგინების რეჟიმია და ერთი ლიდერი ერთ თარიღს ნიშნავს, მეორე — მეორეს, მესამე ელოდება ორივე როგორ „ჩაისვრის“, რათა შემდეგ თქვას, რომ მართალი იყო, ამ დროს, ერთადერთი ძალა, რომელიც ძლიერდება, ხელისუფლებაა.

***— აქამდე სულ დაანონსებული თარიღები ისმოდა, რომ ამ დღეს დამთავრდება ხელისუფლება, ამან შედეგი არ მოიტანა. იგივე ხომ არ მოხდება ახლაც?***

— დაანონსებულ თარიღებს მანამდე თან რა სდევს? ურთიერთგინება და ლანძღვა. ამის შემდეგ რამდენიც გინდა, დააანონსე ეს თარიღები...

***— არსებობს ასეთი ინფორმაცია, რომ მაისში აქციებს ნინო ბურჯანაძე დაიწყებს. შეუერთდება თუ არა მას სხვა პოლიტიკური ძალები?***

— არ ვიცი, მე არა ვარ ამ პროცესში ჩართული. პოლიტიკური ძალები ვერაფერს ვერ წყვეტენ, ხალხია გადამწვეტი. ხალხი როდესაც უყურებს, რომ პოლიტიკური ძალები ერთმანეთს აგინებენ, ეს ადამიანები არ მივლენ ამ პოლიტიკური ძალების მიერ დანიშნულ აქციაზე. სანამ პოლიტიკური კულტურა არ ჩამოყალიბდება და ოპოზიციაში ერთმანეთთან დიალოგი არ დაიწყება, მანამ ეს სიტუაცია ხელისუფლებას აწყობს.

***— რატომ უჭირთ ოპოზიციონერ ლიდერებს ერთმანეთთან დიალოგი?***

— ეს პოლიტიკური კულტურის ამბავია.

***— მარტო პოლიტიკური კულტურის თუ ამბციების?***

— ამ სიტყვაში მოვიაზრებ ამბიციებსაც. ჩვენ ყველა ქართველები ვართ, ერთმანეთთან საუბარი უნდა შეგვეძლოს. ყველას თავის ხედვა აქვს, მაგრამ სახელმწიფოებრივი მიდგომები თუ გვაქვს, ერთმანეთთან დიალოგი უნდა შევძლოთ.

***— მწვავედ დაპირისპირებულმა ძალებმა შეიძლება, რომ საერთო ენა იპოვონ და ხელისუფლებაში მოსვლის სურვილმა ისინი გააერთიანოს?***

— შესაძლოა ეს მოხდეს, მაგრამ ეს დროებითი იქნება. პოლიტიკური ბრძოლაში სულ გამარჯვებული ვერ იქნები, ხან წაგებული ხარ, ხან რაღაც შეცდომებს უშვებ. უბედურება, იცით, რაშია, ვითომ გაერთიანება ხდება, როგორც კი პატარა დაბრკოლება ჩნდება, ამ დაბრკოლების ვერგადალახვის შემთხვევაში ერთმანეთს აგინებენ და ამით მთავრდება ყველაფერი. ეს მიუღებელია.

***— ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი ამბობს, რომ ის რადიკალური ძალები, რომლებიც გააქტიურდებიან, შესაძლოა რუსეთიდან იყვნენ მართული. ამაზე რას იტყვით?***

— ყველაზე მარტივია, მტერი რუსეთში მონახო. არ დაგვავიწყდეს, რაც საქართველოში ხდება, ქვეყანაში უმუშევრობის დიდი პრობლემაა, სოციალური საკითხებია მოსაგვარებელი. ესეც რუსეთიდან არის მართვადი? თუ ვინმე რუსეთიდან ფულს ღებულობს, ხელისუფლებამ უნდა გამოიტანოს ფაქტები და საზოგადოებამ უნდა იცოდეს, ამაზე პასუხისმგებლობაა. თუ ასე არ არის, მაშინ ამის დაბრალება არ შეიძლება. მე არ გამაჩნია ფაქტები, ამიტომ ვერ ვისაუბრებ.

***— თქვენი აზრით, რუსეთს ოპოზიციაში დასაყრდენი არა ჰყავს?***

— როგორ არა ჰყავს? რუსეთი მეზობელი ქვეყანაა, რომელმაც საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია მოახდინა და ქართულ სახელმწიფოებრიობას ყველანაირად ებრძვის, როგორ გგონიათ, მათ დასაყრდენი ფარულად ან ღიად არა ჰყავს? რა თქმა უნდა, ჰყავს. არის პოლიტიკური ძალები, რომლებიც რუსეთში დადიან, ეს მათი პოლიტიკური ხედვაა. ზოგს ჰგონია, რომ რუსეთში ვინც დადის, საქართველო არ უყვარს, მათაც უყვართ საქართველო, ოღონდ თავისებურად, თავისი მიდგომები აქვთ. ამას გადაწყვეტს შემდეგ ამომრჩეველი, ვის აირჩევს და ვის არა. როდესაც ვსაუბრობთ ვინმეს რუსეთში სიარულზე, ამ დროს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო ჰესებს ყიდის რუსეთის კომპანიაზე, რაც ყოვლად მიუღებელია. ჩვენ უკვე გავაკეთეთ ამის თაობაზე პოლიტიკური განცხადება. რა განსხვავებაა ენერგეტიკის სამინისტროს, რომელიც რუსულ კომპანიაზე ჰესებს ყიდის და რუსეთში მოსიარულე პოლიტიკოსს შორის? მე ამაში ვერანაირ განსხვავებას ვერ ვხედავ.

***— მოსახლეობა ოპოზიციას ენდობა?***

— არ გვენდობა არც მე და არც სხვებს. ხშირად მოსახლეობა ოპოზიციური სპექტრის მიმართ ცუდად არის განწყობილი, ეს ჩვენი ბრალია. ეს გამოიწვია ურთიერთბრალდებებმა და ურთიერთშეუთანხმებლობამ. ოპოზიცია ძლიერი იყო, როდესაც ეროვნული საბჭო იყო. არჩევნებიდან დაწყებული, დამთავრებული შემდგომი მოქმედებებით, ოპოზიცია ძლიერი მხოლოდ მაშინ იყო. ყველას უნდა ჯეკპოტი. არავის არ უნდა პოლიტიკური ნაბიჯების ეტაპობრივად გადადგმა. ყველას ყველაფერი დღეს უნდა. როდესაც ყველაფერი დღეს გინდა, ვერაფერს ვერ ღებულობ. 9 აპრილის და 26 მაისის აქციების დროს ხელისუფლების გაყოფის ძალიან სერიოზული ალბათობა იყო. პრეზიდენტი ამბობდა, რომ ოპოზიციას სთავაზობდა გარკვეულ პოსტებს. სწორი მიდგომით ყველაფერი კარგად იქნებოდა. მე ოპოზიციონერი ვიცე-სპიკერი ვარ, ის ბერკეტი, რაც გამაჩნია, არაერთხელ გამოვიყენე გარკვეული საკითხების გადაწყვეტაში. ჩემ მიერ დაყენებული ბევრი საკითხი არ გავიდა, მაგრამ ამის გამო ფეხი ფეხზე არ უნდა გადაიდო და მშვიდად არ უნდა დაჯდე. მთელი ოპოზიცია გამოდის და მინისტრ კობა სუბელიანის წინააღმდეგ აქციებს აწყობს. ევროსაბჭოს მონიტორინგის კომიტეტის სხდომაზე ის ბერკეტი გამოვიყენე, რაც გამაჩნია და დევნილებთან დაკავშირებული საკითხი დავაყენე. ახლა რეზოლუცია მზადდება და მთელი საქართველო დაინახავს, თუ როგორ ჩაიწერება დევნილთა სამინისტროს მიმართ კრიტიკა ევროსაბჭოს რეზოლუციაში. თუ ბერკეტის გამოყენება გინდა, გამოიყენებ, თუ ჯეკპოტი და ყველაფერი ერთად გინდა, ასე არაფერი გამოვა.

***— რომელი უფრო მომგებიანი ბერკეტია — ქუჩის აქციები თუ არჩევნების გზა?***

— სახელმწიფოსთვის მომგებიანი არჩევნების გზაა. ამას ალტერნატივა არ გააჩნია! როდესაც ყველა პოლიტიკური ძალა ამას გაითავისებს, ქვეყანა წინ წავა.

***— არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლა ოპოზიციას შეუძლია?***

— შეუძლია.

***— ოპოზიციას აქვს იმის რესურსი, რომ ხელისუფლება ჩაანაცვლოს?***

— კი, შეუძლია არჩევნების გზით ხელისუფლება ჩაანაცვლოს. ამას სჭირდება კონსოლიდაცია. ოპოზიციას არჩევნების გზით შეუძლია ხელისუფლება ან შეცვალალოს, ან ხელისუფლება გაყოს.

***— ხელისუფლება საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით დათმობებზე წამოვა? ამჟამად ასე ჩანს, რომ ხელისუფლება და ოპოზიცია ერთმანეთთან გაბუტულ მდგომარეობაშია?***

— მე ამ პროცესში ვმონაწილეობ და ახლა ერთი მიზეზის გამო თავს შევიკავებ კონკრეტული განცხადებების გაკეთებისაგან. როდესაც ეს პროცესი დაიწყო, მე კონსენსუსის წესის მიღების მომხრე ვიყავი. გარკვეულმა პოლიტიკურმა ძალებმა, რომლებიც „რვიანში“ შედიოდნენ, თქვეს, რომ არ უნდათ კონსენსუსი. დღეს გაჭედილია პროცესები, მე არ ვიზიარებ გარკვეულ საკითხებში არც ხელისუფლების პოზიციას და არც „რვიანის“ პოზიციას. მე მაქვს ჩემი პოზიცია, რომელიც თავის დროზე უფრო რადიკალური იყო, ვიდრე „რვიანის“ პოზიცია. ამ სიტუაციაში თავს შევიკავებ, იმიტომ, რომ ეს პროცესი ჯერ მიმდინარეობს. მზად ვარ დიალოგის პროცესში ვიყო, თუმცა, სიარულს არავის ჭკუაზე არ ვაპირებ, არც ხელისუფლების და არც „რვიანის“. მე მაქვს ჩემი ხედვა საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით. კონსულტაციების ინდივიდუალური რეჟიმი ჯერ დაწყებული არ არის, მზად ვარ ამ რეჟიმში ვისაუბრო.

***— ხელისუფლებაზე და „რვიანზე“ გაბრაზებული ხომ არა ხართ?***

— არავისზე გაბრაზებული არა ვარ. მე იმ ქმედებებზე ვსაუბრობ, რაც არის. მე არავისზე არ ვბრაზდები. „რვიანის“ გამარჯვება გამიხარდება, მაგრამ ასეთი მიდგომებით, რაც ახლა არის, ვერ გაიმარჯვებს, ამას ხელისუფლების პოზიციიდან გამომდინარე ვამბობ, რადგან არაფერს არ თმობენ. როდესაც დრო მოვა, ყველაფერს ვიტყვი. პარტიების პირველი შეკრება როდესაც იყო, მაშინ დავაფიქსირე, რომ ყველაფერი სწორედ ასე დამთავრდებოდა. იმ სხდომაზე მე ამ გაერთიანებას ვტოვებდი.

***— რომელ სხდომაზე საუბრობთ?***

— იმ შეხვედრაზე, რომელიც პარლამენტის თავმჯდომარესთან გაიმართა და 15 პარტია ესწრებოდა. მაშინ ჩემი მკვეთრი პოზიცია მქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მხარი არ დამიჭირეს. ეს ყველაფერი კონსენსუსის წესს ეხებოდა. ვიცოდი, რომ ყველაფერი აქამდე მივიდოდა. გარკვეულმა ჯგუფებმა თქვეს, რომ მოდით, რასაც ხელისუფლებას მოველაპარაკებით, მოველაპარაკოთ, რადგან ხელისუფლება წყვეტს. ახლა ხელისუფლებასთან ვერ მოილაპარკეს. ის, რაც მოხდებოდა, წინასწარ ვიცოდი და ვთქვი, ამიტომ, სხვის თამაშში მე არ შევალ.

***— რაც შეეხება პარლამენტის წევრების არჩევის სისტემას, როგორი უნდა იყოს: 100 პროპორციული წესით არჩეული და 50 — მაჟორიტარული, თუ დეპუტატთა რაოდენობა უნდა გაიზარდოს?***

— ამაზე ჩვენს პარტიას საკუთარი ხედვა აქვს, მაგრამ, ახლა ამის დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ, რადგან ინდივიდუალური მოლაპარკების რეჟიმია. არ მინდა, მოვლენებს წინ გავუსწრო. ნებისმიერ საკითხზე კონსენსუსის მიღწევა შეიძლება.

---

## აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში რეალურ სიტუაციას ასახავს

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში ერთ-ერთი ყველაზე ობიექტური დასკვნაა, რომელიც რეალურ სიტუაციას ასახავს, - ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ აბაშიძემ განუცხადა.

— რეალურად, რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ, დაუსჯელობის სინდრომზე, ელიტარულ კორუფციაზე — დასკვნაში ეს თემები არის ხაზგასგასმული, — აღნიშნა ზურაბ აბაშიძემ.

მისი თქმით, ანგარიში ადასტურებს, რომ ქვეყანაში სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების ჩატარება აუცილებელია.

**ინტერპრესნიუსი**

---

## „დემოკრატიის შუქურაში“ დემოკრატიის სერიოზული პრობლემებია“

**„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველო“ მიესალმება იმ ფაქტს, რომ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის დასკვნაში ობიექტურად აისახა საქართველოში ადამიანის უფლებათა კუთხით არსებული მდგომარეობა.**

როგორც ნინო ბურჯანაძის პარტიის განცხადებაშია ნათქვამი, დასკვნაში ხაზგასმულია ყველა ის უკანონობა, რომელსაც საქართველოს მოქმედი ხელისუფლება სჩადის, მათ შორის, პოლიტიკური ოპონენტების დევნა, შერჩევითი სამართალი, ელიტარული კორუფცია და დაუსჯელობის სინდრომი, მედიაზე ზეწოლა, ბიზნესის ტერორი, დევნილთა უფლებების დარღვევა, პატიმრების მიმართ სასტიკი, არაჰუმანური მოპყრობა, ზეწოლა ადგილობრივი არჩევნების დროს..

სახელმწიფო დეპარტამენტის დასკვნაში ჩამოთვლილი ყველა ფაქტი, არადიპლომატიურ ენაზე, ერთმნიშვნელოვნად ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ საქართველოში ტოტალიტარული სისტემა და ავტორიტარული რეჟიმია.

„დემოკრატიული მოძრაობა“ და „სახალხო კრება“ სააკაშვილის რეჟიმისთვის რეალურად ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს და, შესაბამისად, ხელისუფლება ყველა უკანონო, სამარცხვინო, ამორალური მეთოდს მთელი სისრულით სწორედ ჩვენს წინააღმდეგ იყენებს. რეჟიმის მიერ კონტროლირებადი მედიასაშუალებები შეგნებულად ამახინჯებენ, უმეტეს შემთხვევაში კი, აბსოლუტურ იგნორირებას უკეთებენ ჩვენს აქტივობებს, არ აშუქებენ „სახალხო კრების“ რამდენიმეათასიან შეკრებებს და უმნიშვნელოვანეს ბრიფინგებს.

სააკაშვილის ხელისუფლებას ავიწყდება, რომ ხალხის წინააღმდეგ ბრძოლა უშედეგოა და რომ ძალა ნამდვილად ხალხშია!

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მიმართვაში მოყვანილია პრეზიდენტ ობამას სიტყვები, რომელიც აცხადებს - ამერიკა, ისევე როგორც ეგვიპტესა და ტუნისში, ყველგან მხარს უჭერს სამოქალაქო საზოგადოებას, ადამიანებს, რომლებიც საკუთარ ქვეყანაში ჭეშმარიტი დემოკრატიისთვის იბრძვიან, ხოლო ძალადობას საკუთარი ხალხის წინააღმდეგ არასოდეს მხარს არ დაუჭერს.

ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ ჩვენი მომავალი სწორედ საქართველოს მოსახლეობის ხელშია. ხალხი აღარ შეეგუება ქვეყანაში გამეფებულ უკანონობასა და ძალადობას. „სახალხო კრება„ ხალხთან ერთად, შეუპოვარი ბრძოლით მალე მივაღწევთ დღევანდელი რეჟიმის დამარცხებას და საქართველოში ჭეშმარიტად დემოკრატიული, სამართლიანი არჩევნების ჩატარებას, — აცხადებენ ნინო ბურჯანაძის პარტიაში.

**მედიანიუსი**

# რითი უმკურნალეს ბაღაფშს თურქეთში

თეა მარხვაი ე

**2005 წლიდან მოყოლებული, სერგეი ბაღაფში აქტიურად ცდილობდა თურქეთში ჩასვლას. პირველი ვადით პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ბაღაფშმა საგანგებოდ მიმართა თურქეთში მცხოვრებ აფხაზებს და ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებისკენ მოუწოდა.**

**თურქეთში დღეისათვის, როგორც ამბობენ, 500 ათასამდე აფხაზთა ჩამომავალი ცხოვრობს. ბაღაფშის ინიციატივას ისინი დიდი ენთუზიაზმით არ გამოხმაურებიან. აფხაზეთში მხოლოდ რამდენიმე მათგანი ჩავიდა და, როგორც ჩვენი ხელისუფლება ამტკიცებს, ისინი უკანვე გაიქცნენ.**



აფხაზურ დიასპორასთან პირდაპირ შეხვედრა ბაღაფშმა რამდენჯერმე სცადა. ამ მიზნით ის პირადად აპირებდა თურქეთში ჩასვლას. ამასთან დაკავშირებით მან რამდენჯერმე მიმართა თურქეთის ხელისუფლებას. ოფიციალური ანკარა ბაღაფშს ყოველთვის უარით ისტუმრებდა.

ეს გასაკვირი არ არის. ანკარას თბილისთან ურთიერთობის გაფუჭება არ სურდა, თანაც იმ პერიოდში რუსეთს აფხაზეთი ჯერ კიდევ არ ჰყავდა აღიარებული. მას შემდეგ ბევრი რამე შეიცვალა. ბაღაფში საფრანგეთშიც იყო, ვენესუელასა და ნიკარაგუაშიც. საწვავის ასაღებად კუბაშიც კი გაფრინდა.

ჰოდა, ბოლოს თურქებმაც იფიქრეს, რაღა ჩვენ გადაგვეკიდება თბილისიო და ბაღაფშს ნება დართეს, თუმცა, მხოლოდ არაოფიციალური ვიზის ნება მისცეს პრეზიდენტს.

ამის შესახებ ინფორმაცია „აპსნი პრესმა“ გაავრცელა. სააგენტოს ინფორმაციით, ბაღაფშმა მრავალრიცხოვანი ამალა წაასხა. ამალაში რამდენიმე მინისტრი და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი დენის ცარგუში შედიოდნენ. ეს უკანასკნელი რუსეთის სახელით ასპარეზობს.

ამ ვიზიტის გამო საქართველოს ხელისუფლებას თავი ჯერ საგანგებოდ არ გაუნერვიულებია. ნერვიულობას ამ დღეებში ექნება ადგილი. შეიძლება, ჩვენებურები მსუბუქი შეშფოთებით შემოიფარგლონ. ვიზიტთან დაკავშირებით თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უკვე გააკეთა განმარტებები.

ქართველი ექსპერტების აზრით, შემთხვევითი არ არის, რომ თურქეთი ახლა დათანხმდა ბაღაფშის შეშვებას. ბოლო დროს ანკარამ მოსკოვთან ძალიან მჭიდრო კავშირი დაამყარა.

რაც შეეხება თურქეთის საგარეო უწყების განმარტებას, ანკარის ოფიციალური განცხადების თანახმად, ბაღაფში თურქეთში სამკურნალო მიზნით, სამოქალაქო საზოგადოების ასოციაციების მიწვევით იმყოფება.

ისე, თუ სამკურნალოდ წავიდა კაცი, ვერ გააპროტესტებ. თუმცა, ეს ცოტა ძნელი დასაჯერებელია. ბაღაფში ლამის მოსკოვშია ჩასახლებული. იქ კი კარგი კლინიკები და ექიმები არიან. არ არის გამორიცხული, მას სწორედ მოსკოვში ურჩიეს თურქეთში სამკურნალოდ წასვლა. შესაძლოა, ისეთი რამე აწუხებს, რომ მხოლოდ თურქი ექიმის შემოლაწუნებამ უშველოს.

საინტერესო ის არის, ამხელა ამალა რატომ წაჰყვა. ცუდად მყოფს თან კი მიჰყვებიან ხოლმე, მაგრამ ამდენის გაყოლა იქნებოდა? შამბა, ეტყობა, იმიტომ ვერ გაჰყვა, რომ ხელის მოსაკიდებელი ადგილი აღარ იყო.

ამ ვიზიტის შედეგებს მოგვიანებით ისევ „აპსნი პრესი“ გაგვაგებინებს. ვიზიტი დღეს უკვე დასრულებული იქნება. ვიზიტის მიმდინარეობისას კი „ამერიკის ხმის“ ქართულმა რედაქციამ ამასთან დაკავშირებით საინტერესო ინტერვიუ ჩამოართვა თურქ ექსპერტ მიტატ ჩელიკპალას.

თურქულ გაზეთ „თუდეის ზამანში“ 5 აპრილს გამოქვეყნებული სტატიის თანახმად, სერგეი ბაღაფში თურქეთში აფხაზური ასოციაციების ფედერაცია აფჰაზფედმა და კავკასიური ასოციაციების ფედერაცია კაფედმა მიიწვიეს.

— კაფედი და აფჰაზფედი თურქეთში მცხოვრები ჩრდილოკავკასიელი ან კავკასიელი ხალხების ფედერაციები გახლავთ. ამ ორგანიზაციებს შორის კაფედი ყველაზე გავლენიანად ითვლება. აქვე უნდა აღვნიშნო ისიც, რომ სულ თურქეთში ჩრდილოკავკასიელთა 110 ასოციაცია მოქმედებს. ამ 110-დან დაახლოებით 60-65 ასოციაცია სწორედ კაფედშია გაერთიანებული. თუმცა, აფჰაზფედი შედარებით ახალი ორგანიზაცია გახლავთ, რადგან ის გასულ ზაფხულს დაარსდა. აფჰაზფედში გაერთიანებულია ხუთი ასოციაცია, რომლებიც ძირითადად მხოლოდ აფხაზებისგან შედგება, ხოლო კაფედის ფედერაცია ძირითადად ადიღეურ-ჩერქეზულ ასოციაციებს აერთიანებს. აქ ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი ის არის, რომ კაფედი დიდი ხნის წინ დაარსდა. ეს ორგანიზაცია ბევრ ჩრდილოკავკასიურ სათვისტომოსა თუ ასოციაციას აკონტროლებს. კაფედის ხელმძღვანელობის წარმომადგენლები თურქულ ინტელიგენციასა და ბიზნესწრეებში შედიან. მაშასადამე, მათ მთავრობასთან, ისევე, როგორც თურქეთში მცხოვრებ ჩერქეზ და სხვა ჩრდილოკავკასიურ სათვისტომოებთან, მჭიდრო კავშირები აქვთ.

7 აპრილს ბაღაფშის ვიზიტთან დაკავშირებით თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ოფიციალური განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობის ლიდერი თურქეთში სამკურნალოდ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მიწვევით ჩავიდა და რომ მისი ვიზიტი მხოლოდ არაოფიციალურ ხასიათს ატარებს, — აცხადებს თურქი ექსპერტი.

მიტატ ჩელიკპალამ ბაღაფშის ვიზიტთან დაკავშირებით თურქეთის მთავრობის პოზიცია შემდეგნაირად დაახასიათა:

— ანკარის პოზიციაში აფხაზების მიმართ გაკრვეული ცვლილება შეინიშნება. გასულ წელს თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ბაღაფშის ვიზიტი გადადო თურქეთსა და კავკასიის რეგიონში იმ დროისთვის შექმნილი მდგომარეობის გამო. მაშინ ისეთი პოლიტიკური ატმოსფერო იყო, რომელშიც თურქეთის მთავრობა რუსეთისა და საქართველოს ინტერესების დაბალანსებას ცდილობდა. ახლა ანკარის პოზიცია აშკარად იცვლება. ამჯერად, ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ან მოადგილის თანაშემწე ბაღაფშს ანკარაში შეხვდება, რაც, ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია. ეტყობა, თურქეთის საგარეო უწყებაში გადაიფიქრეს და აფხაზეთის ხელისუფლებასთან ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების განვითარება სურთ. თუმცა, თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო და ოფიციალური პირები ბაღაფშის ვიზიტის ზედმეტ აფიშირებას ერიდებიან. სწორედ ამის გამო მათ ვიზიტის ორგანიზება ამ სათვისტომო ფედერაციებს დაუთმეს. ვიზიტის ფარგლებში ფედერაციები ბაღაფშს დიასპორის წარმომადგენლებთან შეხვედრებს მოუწყობენ ანკარაში, სტამბოლსა და ადაპაზერეში. ნიშანდობლივია, რომ ქალაქი ადაპაზერე თურქეთში აფხაზებით დასახლებული რეგიონის ცენტრი გახლავთ.

თურქმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ ბაღაფში თურქეთში ვიზიტს გასული ხუთი წლის მანძილზე ცდილობდა და თვით ის ფაქტი, რომ თურქეთის მთავრობამ ახლა ბაღაფში ქვეყანაში შემოუშვა, ბევრისმთქმელია. თურქული ბიზნესწრეების წარმომადგენლები ბაღაფშის ვიზიტის ლობირებას აქტიურად ახორციელებდნენ, რადგან სოჭის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მოახლოების ფონზე თურქი ბიზნესმენები აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთში“ მომგებიანი კომერციული გარიგებების გაფორმებით არიან დაინტერესებულნი.

მიტატ ჩელიკპალას თქმით, ბაღაფშის ვიზიტის ორგანიზებაში აფხაზურ და ჩრდილოკავკასიურ ფედერაციებს გარკვეული დახმარება გაუწია თურქეთის მთავრობამ. ამასთან დაკავშირებით თურქმა ექსპერტმა აღნიშნა:

— თურქი ოფიციალური პირები ფედერაციებთან უფრო მჭიდროდ თანამშრომლობენ. მათ ვიზიტის დროს ბაღაფშს პირადი დაცვა გამოუყვეს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ამით მათ ფაქტობრივად საქართველოს წინააღმდეგობა და შესაძლო ზეწოლა უგულებელყვეს. მაშასადამე, მართალია, ბაღაფში თურქეთში სათვისტომოს ფედერაციებმა დაპატიჟეს, თვით ის ფაქტი, რომ მთავრობამ ფედერაციებს ხელი არ შეუშალა, ბევრისმთქმელია.

ინტერვიუს დასასრულს მიტატ ჩელიკპალამ თურქეთში ბაღაფშის ვიზიტის მნიშვნელობა ამგვარად შეაფასა:

— ეს დაბალი პროფილის ვიზიტი გახლავთ, მაგრამ, იმავდროულად, შემიძლია აღვნიშნო, ეს იმის მანიშნებელია, რომ თურქეთის პოლიტიკა აფხაზეთის მიმართ იცვლება, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, თურქეთის მხარეს აფხაზეთის ოფიციალურ წარმომადგენლებთან კავშირების დამყარება სურს, ხოლო ბაღაფში თურქეთში მცხოვრებ აფხაზურ დიასპორასთან ურთიერთობის განვითარებას აფხაზეთში რუსეთის გავლენის დაბალანსების მიზნით იყენებს. თუ აფხაზური დიასპორა და თურქი ბიზნესწრეების წარმომადგენლები აფხაზეთში ინვესტიციების დაბანდებას დაიწყებენ, მაშინ ისინი რუსეთის გავლენის დაბალანსებას შეძლებენ. დარწმუნებული ვარ, ბაღაფშსა და მის მომხრეებს სურთ, თურქეთი დასავლეთთან კავშირების დამყარების მიზნით გამოიყენონ.

## საქართველომ ტრინიდადი და ტობაგოსთან დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა

საქართველომ და ტრინიდადი და ტობაგომ ხელი მოაწერეს კომიუნიკეს დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ.

ხელმოწერილი კოპმიუნიკეს თანახმად, ერთმანეთთან ურთიერთობებში სახელმწიფოები იხელმძღვანელებენ მეგობრული ურთიერთობების, ეროვნული სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და სახელმწიფო საზღვრების ურღვეობის პრინციპებით.

ტრინიდადი და ტობაგოს მხრიდან კომიოუნიკეს ხელი მოაწერა ამ სახელმწიფოს მუდმივმა წარმომადგენელმა გაეროსთან, საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა როდნი ჩარლზმა, საქართველოს მხრიდან - საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა გაეროსთან, საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, ალექსანდრე ლომაიამ.

ხელმოწერის ცერემონიალი ნიუიორკში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან საქართველოს მუდმივ წარმომადგენლობაში გაიმართა. დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ მხარეებმა აცნობეს გაეროს გენერალურ მდივანს, ბან კი მუნს.

2011 წელს საქართველომ დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა კიდევ 10 სახელმწიფოსთან, კერძოდ ანტიგუა და ბარბუდასთან, გვინეა-ბისაუსთან, კონგოსთან, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, მაურიტიუსთან, რუანდასთან, სოლომონის კუნძულებთან, სომალისთან, ტუვალუსთან და ჰონდურასთან.

გაეროს 191 წევრი სახელმწიფოდან საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობები აკავშირებს 156 - თან.

**მედიანიუსი**

## ცაგარეიშვილი „ოტსტუპნიკებზე“ ზრუნავს

„თავისუფალი დემოკრატების“ წევრი, დეპუტატი გიორგი ცაგარეიშვილი პარლამენტს ხვალ ე.წ. ოტსტუპნიკებისთვის ბინების დაცლის ვადის 2015 წლის 10 იანვრამდე გადაწევასთან დაკავშირებით, საკანონმდებლო ინიციატივას წარუდგენს.

საკანონმდებლო წინადადება ვადის გადაწევასთან ერთად სახელმწიფო კომისიის შექმნასაც ითვალისწინებს. მოქმედი კანონმდებლობით, ე.წ. ასტუპნიკებმა ბინების მესაკუთრეებთან შეუთანხმებლობის შემთხვევაში წლის ბოლოს ბინები უნდა დაცალონ.

კანონის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია “ოტსტუპნიკს“ გადაუხადოს საცხოვრებლის საბაზრო ღირებულების 90% ან 75% და დაეუფლოს თავის საკუთრებას, ხოლო თუ მესაკუთრე უარს აცხადებს კომპენსაციის გადახდაზე, “ოტსტუპნიკს“ შეუძლია გადაუხადოს მესაკუთრეს საბაზრო ღირებულების 10% ან 25% და მიიღოს ქონება საკუთრებაში. ამავე კანონის თანახმად, თუ “ოტსტუპნიკი“ ამ უფლებას არ განახორციელებს 2012 წლის პირველ იანვრამდე, მესაკუთრეს უფლება ეძლევა, უპირობოდ მოსთხოვოს მას საცხოვრებლის დატოვება.

როგორც „თაისუფალი დემოკრატები“ აცხადებენ, კანონით დადგენილი პირობები უმრავლეს შემთხვევაში ვერ სრულდება სიტუაციების კომპლექსურობის ან უკიდურესი სოციალური გაჭირვების გამო, შედეგად კი ათეულ ათასობით “ოტსტუპნიკს“ პირველ იანვარს უსახლკარობა ემუქრებათ.



მათივე შეფასებით, თითოეული ოჯახის მდგომარეობა ინდივიდუალურია Зდა ინდივიდუალურ მიდგომებს საჭიროებს. შესაბამისად, “თავისუფალ დემოკრატებს“ მიაჩიათ, რომ საკითხის ინდივიდუალურ დონეზე შესწავლა სახელმწიფო კომისიის მიერ უნდა მოხდეს.

**ინტერპრესნიუსი**

## სოზარ სუბარი ხელისუფლებას „ქართული პარტიის“ დევნაში ადანაშაულებს

„ქართული პარტიის“ ლიდერი სოზარ სუბარი ხელისუფლებას პარტიის დევნაში ადანაშაულებს.

პარტიის ბათუმის ოფისში გამართულ ბრიფინგზე სუბარმა განაცხადა, რომ ხელვაჩაურში დაქირავებული ოფისის ფართის დაცლა მეპატრონემ ხელისუფლების ზეწოლის შედეგად მოსთხოვა.

მისი თქმით, „ქართულმა პარტიამ“ ორი კვირის წინ ხელვაჩაურში, ყოფილი უნივერმაღის შენობაში, ზეპირი შეთანხმების საფუძველზე იქირავა ფართი ოფისის გასახსნელად. ეს ფართი გარემონტდა და 8 აპრილს ოფისი ოფიციალურად გაიხსნა. თუმცა იმავე დღეს, ფართის მფლობელმა დავით გრიგორიანმა და მისმა წარმომადგენელმა ვინმე კახამ ( პიროვნება საკუთარ გვარს არ ასახელებს), ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული ზეწოლის შემდეგ, კატეგორიულად მოითხოვა ოფისის დაცლა.



სახელმწიფო მინისტრი ევროინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძე ბევრს ლაპარაკობს მოდელირებული არეულობის სცენარებზე. ამას სჯობს ხელისუფლებამ დემოკრატიული ნორმების დაცვაზე იზრუნოს და პოლიტიკურ ოპონენტებს ნორმალური მუშაობის პირობები შეუქმნას, — აღნიშნა სოზარ სუბარმა.

მისი თქმით „ქართულ პარტიას“ შეუძლია ხელვაჩაურში საოფისედ სხვა ფართი იქირაოს, მაგრამ ამის გაკეთებას და უკვე ოფიციალურად გახსნილი ოფისის დაცლას არ აპირებს.

გამოიძახონ პოლიცია და ისე დაგვატოვებინონ ოფისი, რათა ყველამ დაინახოს რა ტიპის ხელისუფლებასთან გვაქვს საქმე„, -აღნიშნა ქართული პარტიის„ თავმჯდომარემ.

**ინტერპრესნიუსი**

## გალში მომხდარ ინციდენტს რუსი სამხედრო მოსამსახურე და ორი ქართველი ემსხვერპლნენ

გალში 8 აპრილს მომხდარ სროლას, რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის სასაზღვრო ძალების ერთი სამხედრო თანამშრომელი ემსხვერპლა.

რუსული მედიის მტკიცებით, სოფელ ჭუბურხინჯში რუს მესაზღვრეებს პატრულირების დროს „ქართველი დივერსანტები“ დაესხნენ თავს.

ოკუპირებული აფხაზეთის მარიონეტული მთავრობის განცხადებით, სროლის დროს მოკლულია ორი ქართველი, ლაშა სიჭინავა და მალხაზ ხარჩილავა. აფხაზური მხარის მტკიცებით, ორივე მოკლული საქართველოს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტთან თანამშრომლობდა, ამასთან, ორივე მამაკაცი სოხუმის მიერ იძებნებოდა დივერსიებისა და მკვლელობების განხორციელების გამო.

ქართულმა მხარემ კატეგორიულად უარყო გალში 8 აპრილს მომხდარ სროლასთან რაიმე კავშირი და ინციდენტს “შეიარაღებული კრიმინალური გარჩევა„ უწოდა.

საგრეო უწყების ცნობით, სროლის დროს მოკლული ერთ ერთი პიროვნება მართლაც ლაშა სიჭინავა იყო, თუმცა მას არანაირი კავშირი არ ჰქონდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან.

როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, სიჭინავა 2002 წლიდან იძებნებოდა ქართველი სამართალდამცავების მიერ ყაჩაღობის, ქურდობისა და მძევლად ხელში ჩაგდებისათვის და მას დაუსწრებლად მისჯილი ჰქონდა 19 წლით თავისუფლების აღკვეთა.

— ოკუპირებულ ტერიტორიებზე მუდმივად ხდება კრიმინალური “გარჩევები“ - გავლენის სფეროებისა და ფულის გადანაწილების მიზნით - რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო ძალებს, რუსეთის ფედერაციის მიერ შექმნილი საოკუპაციო რეჟიმების წარმომადგენლებსა და კრიმინალებს შორის, — ნათქვამია საგარეო უწყების განცხადებაში.

— აღნიშნული კრიმინალური ინციდენტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს განუყოფელი ნაწილები - აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი გადაქცეულია კრიმინალურ „შავ ხვრელებად, — აცხადებენ საგარეო უწყებაში.

**მედიანიუსი**

# უგულავასა და ბოკერიას აღარავინ ენდობა

ნათია ხურცილავა

**ინტერვიუ პოლიტოლოგ-კონფლიქტოლოგ პაატა ზაქარეიშვილთან**



***— ბატონო პაატა, ჯეიმს აპატურაის ვიზიტზე რას იტყვით?***

— დადებითად ვაფასებ, უნდა მივესალმოთ ასეთ მოვლენებს. ნატო დაინტერესებულია, რომ მეზობელ ქვეყნებთან კარგი ურთიერთობები ჰქონდეს. საქართველო, ნატოს ერთ-ერთი სერიოზული მეზობელია. თურქეთი ნატოს წამყვანი სახელმწიფოა. ნატოს და რუსეთს შორის საქართველო სერიოზული ფაქტორია, მით უმეტეს, საქართველო, ქართველი ხალხის და ხელისუფლება არ მალავს ნატოში გაწევრიანების სურვილს, რაც დიდ ხანს, სულ ცოტა 10 წელი არ იქნება, ამიტომ ხელისუფლებას არ უნდა მოვატყუებინოთ თავი. სააკაშვილს რომ ვკითხოთ, 2008 წელს ნატოში უნდა ვყოფილიყავით. საქართველო იმ კალათის წევრია, რომელსაც ნატო ჯერ გაწევრიანების კუთხით არ უყურებს. არც კავკასიას და არც ცენტრალურ აზიას ნატო არ აღიქვამს გაწევრიანების კონტექსტში. ლისაბონის სამიტის დოკუმენტებში საქართველო უკრაინასთან ერთად არის მოხსენიებული. ჩვენთვის კარგად არის ცნობილი, რომ უკრაინა უარს ამბობს ნატოში გაწევრიანებაზე. შესაბამისად ამ ფონზე საქართველო აშკარად, გნებავთ, უკრაინასთან მიბმით, გნებავთ, ცენტრალურ აზიაზე თუ კავკასიაზე, საქართველო ნატოსთვის არის სახელმწიფო, რომლის გაწევრიანებაზეც საუბარი არ არის. გაწევრიანებაზე საუბარი რომ იყოს, მაშინ ბალკანეთის კალათში ჩაგვსვამდნენ. ბალკანეთის ჯგუფი ცალკეა, რომლებსაც, ადრე თუ გვიან, მიიღებენ. საუბარია ბოსნია-ჰერცეგოვინაზე, სერბიაზე, კოსოვოზე, ჩვენ ამ ჯგუფში არ ვართ და შესაბამისად თავს ნუ ვიტყუებთ. აპატურაის ვიზიტი არ იყო ნატოს მიმართ ინსტიტუციონალური დაახლოების გამომხატველი. აპატურაი ჩამოვიდა, რომ ენახა, რა ხდება საქართველოში. ასეთივე ჩასვლა აქვს მას სხვა ქვეყნებში.

***— მისი ვიზიტის დროს მაპის გარეშე საქართველოს გაწევრიანებაზე იქნებოდა ხელისუფლების წარმომადგენლებთან საუბარი?***

— გამორიცხულია, საქართველოს გაწევრიანებაზე საუბარი არ იქნებოდა. საუბარი იქნებოდა საქართველოს დემოკრატიზაციაზე. ასევე საუბარი შეეხებოდა საქართველოში ნატოს პროექტების განხორციელებას. ისეთი პროექტების განხორციელებაზე, რომელიც ხორციელდება ნატოს არაწევრ ქვეყნებთან სომხეთში, აზეირბაიჯანში, თუმცა, ეს ქვეყნები არც კი ფიქრობენ ნატოში გაწევრიანებას. ნატო ჩვენ აღგვიქვამს სომხეთის და აზეირბაიჯანის კონტექსტში, ჩვენ კი მას განსაკუთრებულ კონტექსტში აღვიქვამთ. ასევე საუბარი იქნებოდა ავღანეთში ქართველი სამხედროების მონაწილეობაზე, რადგან ნატოს პროექტია. მაპის მოცემაზეც კი არ იქნებოდა საუბარი, არათუ მაპის გარეშე გაწევრიანებაზე.

***— საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე აპატურაიმ ცალსახად განაცხადა: თუ საქართველოს სურვილი იქნება ნატოში გაწევრიანება, სტანდარტები უნდა დააკმაყოფილოს. თქვენ განაცხადეთ, დემოკრატიაზე იქნებოდა საუბარიო, რა კუთხით იქნებოდა რჩევები?***

— რჩევები არ იქნებოდა, ყველასთვის მნიშვნელოვანია ქართველი ხალხის ნება. ერთადერთი, რაც შეიძლება ურჩიონ, ეს არის დემოკრატიის ინსტიტუტების შექმნისკენ ნაბიჯების გადადგმა, რათა ქართველი ხალხის ნება გამოჩნდეს ანუ არჩევნები. დარწმუნებული ვარ, რომ დაახლოებით ასეთი ლაპარაკი იქნებოდა: ჩვენთვის მნიშვნელოვანია, როგორ ჩატარდება შემდეგი არჩევნები, როგორ მოხდება ქართველი ხალხის ნების გამოხატვა და ამის შემდეგ გაფორმება, მაგრამ სააკაშვილს ან რომელიმეს ოპოზიციიდან არ ეტყოდა, რომ მხარს დაგიჭერთ, ეს გამორიცხულია და არ შეიძლება.

***— ოპოზიციასთან შეხვედრა რა მესიჯი იყო?***

— ყველა ოპოზიციურ ძალას ხომ არ შეხვედრია, ის შეხვდა მხოლოდ ოპოზიციის „რვიანს“. მკაფიოდ გამოკვეთილ იმ პოლიტიკურ ძალებს, რომლებსაც ერთი ამოცანა აქვთ დასახული, რომ გააუმჯობესონ საარჩევნო სისტემა და არჩევნების გზით შეცვალონ ხელისუფლება. „რვიანში“ გაერთიანებული პოლიტიკური პარტიები უაღრესად ჭრელია, როგორც წარსულით, ისე აწმყოთი, მომავლით, ღირებულებებით, იდეოლოგიებით, ყველანაირად, მაგრამ მათ ჩათვალეს, რომ ქვეყნის გადარჩენა დღეს საარჩევნო გარემოს ცვლილებაშია. აშკარად ჩანს, რომ აპატურაი შევხდა რა „რვიანის“ წარმომადგენლებს, ამით შეხვდა დემოკრატიის ინსტიტუტების მშენებლობისკენ მიმართულ ოპოზიციას.

***— ეს იყო ერთგვარი მხარდაჭერა?***

— რა თქმა უნდა. მხარდაჭერა იყო სწორედ დემოკრატიული გზით ქვეყნის ცვლილებებისა და არა რევოლუციური გზით.

***— ბატონო პაატა, შეგიძლიათ თქვათ, რომ ნატო მხარს უჭერს რვიანს და არა რევოლუციის მომხრეებს?***

— დიახ, ასე ვფიქრობ.

***— მოლაპარაკებებზე რომ ვისაუბროთ, ეს პროცესი ჩიხშია...***

— კრიზიშია, უნდა გადალახო.

***— გადალახავენ?***

— უნდა გადალახონ. ბევრი რამე დამოკიდებულია ბერლინში ნატო-საქართველოს კომისიის მუშაობაზე, როგორ ჩაივლის იქ მოლაპარაკებები. ამ შემთხვევაში ნატო გარკვეულ პირობებს დაუყენებს საქართველოს მთავრობას. ნატოსთვის მნიშვნელოვანია, როგორ მოხვდება ქვეყანაში ხელისუფლების ცვლილებები — დემოკრატიის გზით თუ მუბარაქის გზით. ჯერჯერობით კადაფის გზაზე ლაპარაკიც არ ღირს. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ოპოზიციის უდიდეს ნაწილს სურს რევოლუციის გარეშე მიიღოს ის, რისი მიღებაც მერე ალბათ რევოლუციით მოუწევს. თუ ხელისუფლება გონს არ მოეგო და არ დაიწყო დათმობები თავისივე ინტერესებიდან გამომდინარე. თუ ხელისუფლებამ დაიწყო დათმობები და 60 და 70 პროცენტის მაგივრად დაკმაყოფილდა მისთვის ყველაზე მეტი ხმებით, თუ ხელისუფლება ნორმალურად მოიქცა, შანსი აქვს, ყველაზე მეტი ხმა მიიღოს პარლამენტში, მაგრამ ეს იქნება 30 პროცენტი და მეტი არა. სხვა პარტიები უფრო ნაკლებს მიიღებენ. ყველაზე მეტ ხმას ხელისუფლება მიიღებს. ნაციონალურ მოძრაობას შანსი ექნება, მისთვის შესაფერ პოლიტიკურ პარტიასათნ ერთად მთავრობა ჩამოაყალიბოს, ანუ ქვეყანა დემოკრატიული მმართველობის სიტემაზე გადაიყვანოს. ეს არის ის მაქსიმუმი, რაც შეიძლება მან შეირგოს. სხვა არჩევანი კი არის ის, რომ ან საერთოდ წავიდეს არა მხოლოდ ხელისუფლებიდან, არამედ მსუბუქად რომ ვთქვა, ციხეში. მე მაინც მგონია, რომ ყველაზე უარესი, რაც შეიძლება საქართველოში მოხვდეს ხელისუფლებისთვის, ეს მაინც არის ეგვიპტე და არა ლიბია. ამიტომ ხელისუფლებამ არჩევანი უნდა გააკეთოს. რა ურჩევნია — 30 პროცენტით დარჩეს პარლამენტში და მართოს ქვეყანა დემოკრატიულ ინსტიტუტებთან ერთად და მიიღოს გარანტიები, ვიდრე არაფერი არ დათმოს და საბოლოო ჯამში ყველაფერი დათმოს.

***— ხელისუფლება წავა დათმობაზე?***

— სააკაშვილი არ წავა, მაგრამ მის გარემოცვას გონიერება უნდა ეყოს, რომ სააკაშვილი ითრევს მათ უფსკრულში. სააკაშვილს თვალები უბნელდება, როდესაც ხედავს, რომ შეიძლება დათმობა მოუწიოს, მაგრამ ვილაცამ უნდა შემოულაწუნოს. იმედი მაქვს მისი გარემოცვის, რომ გონს მოეგებიან.

***— ვინ გეგულებათ ასეთ ფიგურად ხელისუფლებაში?***

— ძნელი სათქმელია. იქ, ახლა ტიპური კრიმინალური ბანდის ფსიქოლოგიაა. ძნელია გამორჩევა. მე ვერ ვხედავ მერაბიშვილში დემოკრატიულ მმართველს. მერაბიშვილი უფრო რაფინირებული ავტორიტარული მმართველია და არა ცანცარა, როგორც სააკაშვილი. უფრო დალვინებული ავტორიტარული მმართველია. მერაბიშვილი დღეს ეყრდნობა პოლიციას, უფრო ზუსტად — უშიშროებას, ამიტომ ის ჩაუშესკუს რეჟიმს შექმნის, რაც მხოლოდ ხანმოკლედ გაუხანგრძლივებს ხელისუფლებას სიცოცხლეს. ეს კიდევ უფრო დაამძიმებს ქვეყანას, მას დასავლეთში არ ექნება პოპულარობა. მერაბიშვილს პოპულარობა შეიძლება ჰქონდეს პოლიციაში და რუსეთში. ხელისუფლებაში კიდევ არის სხვა ფრთები, მაგალითად, ჟვანიას ყოფილი ფრთა, მაგრამ ისინი ძალიან კორუმპირებულები არიან. ეჭვი მეპარება, რომ მაჭავარიანი მმართველობით გამოირჩეოდეს ან ცისკარიში. რაც შეეხება „თავისუფლების ინსტიტუტიდან“ გამოსულ ფრთას, რომლებიც „ტაბულას“ ირგვლივ არიან შეკრული ან ილიას უნივერსიტეტის ირგვლივ, რომლის სახე არის გიგა ბოკერია, მათთან შეიძლება მოიაზრებოდეს გიგი უგულავა. ეს ის ჯგუფებია, რომლებიც სააკაშვილის გარშემო დაფარფატებენ. მეტ-ნაკლებად დემოკრატიაზე პრეტენზია უნდა ჰქონდეს უგულავა-ბოკერიას ფრთას, მაგრამ მათ ისე შეირცხვინეს თავი, რომ რამდენად ენდობა საზოგადოება და შექმნიან კი დემოკრატიულ ინსტიტუტებს, საეჭვოა.

## ევროსაბჭოს სესიაზე საქართველოს შესახებ მომზადებულ რეზოლუციას განიხილავენ



საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია სტრასბურგში ევროსაბჭოს საგაზაფხულო სესიის მუშაობაში მიიღებს მონაწილეობას.

როგორც საქართველოს პარლამენტში აღნიშნავენ, აღნიშნული სესია მნიშვნელოვანია იმით, რომ ევროსაბჭოს მონიტორინგის კომიტეტის წარმომადგენლების კასტრიოტ ისლამის და მარკ იენსენის მიერ საქართველოს შესახებ მომზადებულ რეზოლუციას განიხილავენ.

საპარლამენტო დელეგაცია სტრასბურგში დღეს მიემგზავრება.

ქართველი დეპუტატების განცხადებით, მათ ხელთ არსებული ინფორმაციის თანხამად რეზოლუცია საკმაოდ პოზიტიურია.

მედიანიუსი

## ედპ-ს წარმომადგენლებმა 9 აპრილს დაღუპული გმირების სახელზე ნერგები დარგეს

„ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლებმა 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული ქართველი თანამემამულეების ხსოვნის საპატივსაცემოდ, ვეფხვისა და მოყმის ძეგლთან 60-მდე ნერგი დარგეს და ტერიტორია გაამწვანეს.

ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლების განცხადებით, ეს ნერგები მათ დაღუპული გმირების სახელზე დარგეს.

როგორც ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლები აცხადებენ, „ეროვნულ - დემოკრატიული პარტია“ ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში 22 წლის წინ უშუალოდ მონაწილეობდა.

— 9 აპრილი, ეს არის ქვეყნის თავისუფლებისთვის და ქვეყნის ერთიანობისთვის ბრძოლის სიმბოლო. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია უშუალოდ მონაწილეობდა ამ პროცესებში და დღეს ჩვენ ახალგაზრდა თაობა ამ ტრადიციებს ვაგრძელებთ. ჩვენ დღევანდელი აქციით პატივი მივაგეთ ტრაგიკულად დაღუპული ქართველების ხსოვნას, — აცხადებენ „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ ახალგაზრდა ფრთის წარმომადგენლები.

ინტერპრესნიუსი

## ისევე, როგორც 20 წლის წინ, ქართველ საზოგადოებას ერთ მუშტად შეკვრა სჭირდება



ისევე, როგორც 20 წლის წინ, ქართველ საზოგადოებას ისევ ჭირდება ერთ მუშტად შეკვრა, იმისთვის, რომ ქვეყანა ერთიანი და ძლიერი გახდეს, — ამის შესახებ განცხადება „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ 9 აპრილის მემორიალთან გააკეთა.

9 აპრილს „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი და სახალხო კრების წარმომადგენლები პარლამენტთან მივიდნენ და 9 აპრილს გარდაცვლილთა მემორიალთან, მათ ხსოვნას პატივი მიაგეს, რის შემდეგაც ნინო ბურჯანაძემ აღნიშნა, რომ 9 აპრილი მისთვის არის ორი ძლიერი განცდა — სიამაყის განცდა, რადგან ამ დღეს ერთ მუშტად იყო შეკრული მთელი ქართული საზოგადოება და ცარიელი ხელებით ებრძოდა საბჭოთა კავშირის ძალებს, მეორეს მხრივ კი, არის დიდი ტკივილი, რადგან დატრიალდა ტრაგედია.

ბურჯანაძის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ამ დღიდან გავიდა უკვე 22 წელი, სამწუხაროა, რომ ქართველ ხალხს კვლავ არ აქვს შესრულებული ის ამოცანები და მიზნები, რაც იყო დასახული. კერძოდ, მისი განცხადებით საქართველო კვლავ არ არის ერთიანი, არ არის დამოუკიდებელი. საქართველოს მოქალაქე არ არის თავისუფალი და ქვეყანაში არ არის დემოკრატია.

ინტერპრესნიუსი

## აშშ-ის ანგარიში მკაფიო გზავნილია მათთვის, ვინც საქართველოში სინამდვილის შელამაზებას ცდილობს

ექსპერტ სოსო ცისკარიშვილის შეფასებით, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული ანგარიში, რომელიც საქართველოში ელიტური კორუფციის არსებობას ეხება, მკაფიო გზავნილია ხელისუფლების იმ წარმომადგენლებისათვის, რომლებიც რეალობის შელამაზებას ცდილობენ.

როგორც ექსპერტმა „მედიანიუსს“ განუცხადა, მიუხედავად შეერთებული შტატების საკმაოდ კრიტიკული შეფასებისა, საქართველოს ხელისუფლება ელიტური კორუფციის აღმოსაფხვრელად ქმედით ნაბიჯებს მაინც არ გადადგამს, რადგან მმართველი გუნდი ამას არ აღიარებს.

— აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში ძალიან მკაფიო გზავნილია მათთვის, ვინც საქართველოში სინამდვილის შელამაზებას ცდილობს და ვისაც სიცრუე უზნეობის გამოხატულებად არ წარმოუდგენია. ინფორმაცია, რომელიც აშშ-ს სახელმწოფო დეპარტამენტმა გაავრცელა, ეყრდნობა იმ რეალობას, რაც ქვეყანაში არსებობს და არა იმ ვირტუალურ გარემოს, რომელსაც ხელისუფლება ხატავს. ცხადია, ეს დოკუმენტი ვერ იქნება კმაყოფილების საბაბი სახელისუფლებო გუნდისთვის, მაგრამ ისინი აქაც იპოვიან მათთვის „სასარგებლო“ ფრაზებს, რაც მმართველი გუნდის მიერ კონტროლირებადი მედიასაშუალებებით გავრცელდება. ამ შემთხვევაშიც, ინფორმაცია მოსახლეობისათვის დამახინჯებული იქნება, — განაცხადა ცისკარიშვილმა და დასძინა, ნებისმიერ შემთხვევაში, ჩანს, რომ პრეზიდენტ ობამას განცხადებები იმის თაობაზე, რომ ამერიკის მთავარი პარტნიორი არის ხალხი და არა ამა თუ იმ ქვეყნის ხელისუფლება, არ არის ლიტონი სიტყვები და, როგორც ჩანს, შეერთებული შტატები თვალის დახუჭვას აღარ აპირებს არც ერთი იმ ხელისუფალის ქმედებებზე, რომელიც ცდილობს, რომ ამერიკელთა ერთგულებით ის უმსგავსობა გადაფაროს, რასაც საკუთარი ხალხის წინააღმდეგ სჩადის.

— ჩემი აზრით, ელიტურ კორუფციას საქართველოს ხელისუფლება ვერ შეელევა, რადგან უკვე წლების განმავლობაში იძახის, რომ არ იცის, რა არის ელიტური კორუფცია. ნაკლი, რომელსაც არ აღიარებენ, გამოსწორებადი არ არის. უპირველეს ყოვლისა, ხმამაღლა უნდა ვთქვათ, თუ რა გვტკივა, რომ სწორი მკურნალობა შევძლოთ. არ მგონია, რომ ხელისუფლებას დარჩენილი ჰქონდეს რაიმე რესურსი საკუთარი პრაქტიკის საწინააღმდეგო ნაბიჯების გადასადგმელად, — აღნიშნა ცისკარიშვილმა.

ცნობისთვის: „მაღალი დონის კორუფცია საქართველოში კვლავ პრობლემად რჩება„, - ამის შესახებ ნათქვამია აშშ ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ 8 აპრილს გამოქვეყნებულ ყოველწლიურ ანგარიშში ადამიანის უფლებების შესახებ.

ანგარიშის თანახმად, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი მიიჩნევს, რომ წვრილმანი კორუფციის დონე საქართველოში 2003 წლის, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ შემცირდა, თუმცა კვლავ არსებობს ელიტური კორუფცია.

აშშ-ს დეპარტამენტის დამკვირვებლების აზრით, საქართველოში ოფიციალური ანტიკორუფციული კამპანია სისხლის სამართლებრივი დევნისკენ უფროა მიმართული, ვიდრე პრევენციისკენ და ის უფრო არასტრუქტურირებულ ხასიათს ატარებს, ვიდრე სისტემურსა და ყოვლისმომცველს. დამკვირვებლების შეშფოთების საგანს ასევე წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის დონე სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში, საკუთრების უფლებები და ელიტური კორუფცია.

მედიანიუსი

## კადიროვი მრავალცოლიანობის დაკანონების ინიციატივით გამოდის



ჩეჩნეთის რეპუბლიკის ლიდერის რამზან კადიროვის მოსაზრებით, მრავალცოლიანობის დაკანონება არის უფრო სამართლიანი და ჯანმრთელი ფორმა ოჯახების არსებობისათვის.

თუმცა რამზან კადიროვმა ხაზი გაუსვა, რომ მას ქვეყნის მაღალჩინოსნებთან აღნიშნულ საკითხზე საუბარი არ ჰქონია.

„ინტერფაქსთან" ინტერვიუში, კადიროვმა აღნიშნა, რომ მისი აზრით, მრავალცოლიანობის დაკანონება ბევრად უფრო ჯანმრთელი და სამართლიანი ფორმაა ოჯახების არსებობისათვის, ვიდრე სასიყვარულო სამკუთხედი. გარდა ამისა, მისი აზრით, ეს უკეთესია ვიდრე ოჯახის მიტოვება, საყვარლის გაჩენა და მისთვის საჩუქრების მირთმევა, რაც ცოლისათვის განსაკუთრებით დამამცირებელია.

ამავე ინტერვიუში, კადიროვმა უარყო მასზე გავრცელებული ჭორები, რომ ის ოჯახის გაფართოვებას აპირებს. მისი განცხადებით, ის არანაირი სამძებრო სამუშაოებით არ არის დაკავებული, რადგან მას ჰყავს პატივცემული მეუღლე, მისი შვილების დედა, მედნი მუსაევნა.

შეგახსენებთ, რომ 2009 წლის აპრილში, რუსეთის ფედერაციის საზოგადოებრივ პალატაში, მრავალცოლიანობის დაკანონებასთან დაკავშირებით, საზოგადოებრივი მოსმენების ჩატარების ინიციატივით გამოვიდნენ.

**მედიანიუსი**

## აშშ-ს ფედერალური სამსახურები დახურვას გადარჩნენ

აშშ-ის კანონმდებლებმა მიიღეს გადაწყვეტილება ფედერალური ბიუჯეტის შეკვეცის შესახებ. შესაბამისად ორშაბათს ფედერალური სტრუქტურები მუშაობას ჩვეული განრიგით აგრძელებენ. იტყობინება „ამერიკის ხმა."

პრეზიდენტმა ობამამ განაცხადა, რომ პარასკევს ღამე ამერიკის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც 2011 წლის ბიუჯეტს 38 მილიარდი დოლარი ჩამოეჭრება. ბიუჯეტზე კენჭის ყრა მომავალ კვირას ჩატარდება.

რესპუბლიკელთა ლიდერი ჯო ბოენერი ამბობს, რომ ბიუჯეტის ირგვლივ დავა დადებითი შედეგით დასრულდა და იქვე დასძინა, რომ ფედერალური ბიუჯეტის შეკვეცა ამერიკაში სამუშაო ადგილების შექმნას შეუწყობს ხელს. როგორც სენატის ლიდერი ჰარი რიდი აცხადებს, ქვეყნის კეთილდღეობისთვის დემოკრატებმა კომპრომისზე წასვლა ამჯობინეს.

შეგახსენებთ, რომ ეს კომპრომისი რომ არა, თითქმის 800, 000 ფედერალური სტრუქტურების თანამშრომელს შეუწყდებოდა სამუშაო და კონფლიქტის ზონებში მყოფ სამხედრო ძალებს შეუჩერდებოდა ხელფასების გაცემა.

**მედიანიუსი**

## შტეფან კოჰენის ქართველმა მეგობარმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა

თბილისში 26 წლის ირაკლი ქუთათელაძემ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ის რამდენიმე თვის წინ თბილისში, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში" მოკლული საფრანგეთის მოქალაქე შტეფან კოჰენის მეგობარი იყო.

ქუთათელაძე მისმა მეგობრებმა საკუთარ ბინაში ჩამომხრჩვალი იპოვეს.

ახალგაზრდა ერთოთახიან ბინაში მარტო ცხოვრობდა. ის წარმოშობით აჭარიდან იყო და მშობლები არ ყავდა. მისი მეზობლები ამბობენ, რომ თვითმკვლელობა ქუთათელაძემ მანმადე ორჯერ სცადა. მაშინ მან წამლები დალია.

ირაკლი ქუთათელაძემ ამა წლის იანვარში ტელეკომპანია „იმედს" ექსკლუზიური ინტერვიუ მისცა, სადაც კოჰენის მკვლელობის საკუთარ ვერსიას ყვებოდა.

ირაკლი ქუთათელაძე ვარაუდობდა, რომ მკვლელი მარტო არ მოქმედებდა და მისი მეგობრის მკვლელობი ჰომოფობთა დანაშაულებრივი ჯგუფის დაგეგმილი და განხორციელებული იყო.

თავად ქუთათელაძეს ფრანგ შტეფან კოჰენთან ერთწლიან „ლავსთორი" აკავშირებდა. ირაკლი თავის არატრადიციულ სექსუალურ ორიენტაციას არ მალავდა. არც შტეფანი მალავდა იმას, რომ გეი იყო. კოჰენის და ქუთათელაძის ურთიერთობა ონლაინ სივრცეში დაიწყო, შემდეგ კი რეალურ ცხოვრებაში გაგრძელდა. კოჰენი თბილისში მივლინებით ხშირად ჩამოდიოდა და მეგობრის ნახვას მხოლოდ ამ პერიოდში ახერხებდა.

ცნობისთვის: საფრანგეთის მოქალაქე შტეფან კოჰენი ამა წლის 27 იანვარს სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში" საკუთარ ნომერში მოკლული იპოვეს. ის ფრანგული კომპანის „სიტრას" ინჟინერი იყო.

კოჰენი თბილისში მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე ჩამოვიდა. მის კომპანიას თბილისის მერიასთან ერთად, სატრანსპორტო მარშრუტების რეგულაციის პროექტი უნდა განეხორციელებინა.

მკვლელობაში ეჭვმიტანილი არასრულწლოვანი პოლიციამ იმ დღესვე დააკავა. გამოძიება საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

**მედიანიუსი**

## სასამართლომ პირი ერთი და იგივე დანაშაულისათვის ორჯერ გაასამართლა

სახალხო დამცველის 2010 წლის ანგარიშის მიხედვით, სასამართლომ პირი ერთი და იგივე დანაშაულისათვის ორჯერ გაასამართლა.

სახალხო დამცველი განმარტავს, რომ იარაღის უკანონო ტარებისათვის გ. ფ. მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236 ე მუხლისმეორე ნაწილით, ორი ეპიზოდისთვის. განაჩენის მიხედვით პირველი ეპიზოდიჩადენილ იქნა 2002 წლის აგვისტოში, ხოლო მეორე 2006 წლის 17 დეკემბერს. აღსანიშნავია, რომ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, ორივე შემთხვევის დროს ამოღებული ტყვიის მასრები გასროლილი იყო ერთი და იგივე ცეცხლსასროლი იარაღიდან 9 მმ მაკაროვის კონსტრუქციის პისტოლეტიდან. 2006 წელს დაკავებისას, სწორედ აღნიშნული იარაღი იქნა ამოღებული მსჯავრდებულის ჩხრეკის შედეგად. საქმეში არსად არ მოიპოვება დადასტურება იმისა, რომ იარაღის ტარება შეწყდა 2002 წლის აგვისტოდან 2006 წლის დეკემბრამდე. ამ ფაქტის დადასტურების გარეშე სახეზეა ერთი დენადი და არა ორი დამოუკიდებელი დანაშაული. როდესაც გ. ფ. ს ერთ, დროში დენად ქმედებას მისცეს ორი სამართლებრივი შეფასება, ამით დაირღვა ერთი და იგივე დანაშაულისთვის ორჯერმსჯავრდების აკრძალვის პრინციპი. რეალურად ერთი ქმედებისთვის ორი სამართლებრივი შეფასებით შესაძლებელი გახდა პირის ორმაგი დასჯადობა და ამითდაირღვა ერთი და იგივე ქმედებისთვის ორჯერ მსჯავრდების აკრძალვის კონსტიტუციური გარანტია.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ გ. ფ. ს საქმეში დარღვეულია ორჯერ მსჯავრდების აკრძალვის კონსტიტუციური გარანტია და პრინციპი. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეოთხე ნაწილის მიხედვით არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის.„

**ინტერპრესნიუსი**

## ზვიად გამსახურდიამ საქართველოში დაუკრა

**ეკა ირემაშვილი**

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას შვილიშვილმა ზვიად გამსახურდია (უმცროსმა) შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის დიდ დარბაზში კონცერტი გამართა, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის 20 წლის იუბილეს მიეძღვნა. კონცერტს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც დაესწრო.

საიუბილეო კონცერტში მონაწილეობდნენ ევგენი მიქელაძის სახელობის საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრის სოლისტი ზვიად გამსახურდია (ვიოლინო), ხოლო სადირიჟორო პულტთან იდგა მაესტრო ვახტანგ მაჭავარიანი. დირიჟორი საქართველოში სპეციალურად ამ კონცერტისთვის ჩამოვიდა.

საღამოზე შესრულდა ვახტანგ მაჭავარიანის სიმფონიური სურათი „ნაცარქექია", იან სიბელიუსის კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის, ფერენც ლისტის სიმფონიური პოემა „პრელუდები", ხოლო ამავე კომპოზიტორის სიმფონიური პოემა „პრომეთეოსი" საქართველოში პირველად აჟღერდა.

ზვიად გამსახურდია (უმცროსი) შვეიცარიის ქალაქ ბაზელში 1992 წელს დაიბადამას შემდეგ, რაც მისი მშობლები იძულებული გახდნენ, წასულიყვნენ შვეიცარიულ ემიგრაციაში საქართველოს პირველი პრეზიდენტის დამხობის გამო. ვიოლინოზე დაკვრა 6 წლის ზვიადმა დაიწყო დორნახის მუსიკალურ სკოლაში. იგი სწავლობდა ემილი ჰაუდენშილდთან ბაზელის კონსერვატორიაში. 2007 წლიდან პროფესორ იოსიფ რისინის სტუდენტია ჯერ ციურიხის, შემდეგ კი კარლსრუეს კონსერვატორიაში. სხვადასხვა დროს ზვიადს ასწავლიდნენ აღიარებული პედაგოგები — ჰელმუტ ცეჰეტმაირი, ანა ჩუმაჩენკო, ზახარ ბრონი და მიხაილ ვაიცნერი. ზვიად გამსახურდიამ მოიპოვა პირველი პრიზი შვეიცარიის ნაციონალურ კონკურსში, ასევე კივანისის საერთაშორისო ორგანიზაციის პრიზი. 2007 წელს მას მიენიჭა იურა-ს საერთაშორისო ფესტივალის მეორე პრიზი. 12 წლის ასაკში შედგა ზვიადის, როგორც სოლისტის დებიუტი ორკესტრთან ერთად. იგი ხშირად უკრავს აგრეთვე თავისი ძმის, დემეტრეს საფორტეპიანო აკომპანიმენტით შვეიცარიაში, გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიასა და საქართველოში. 2009 წლის მაისში იგი, როგორც სოლისტი, სიბელიუსის კონცერტის შესრულებით წარდგა ბაზელის შტატ-კაზინოს საკონცერტო დარბაზში. ზვიადი ასევე გახლავთ სიმებიანი კვარტეტის პრიმარიუსი და ბაზელის ახალგაზრდული სიმფონიური ორკესტრის კონცერტმაისტერი.

ზვიად გამსახურდია (უმცროსის) კონცერტამდე კი კონსერვატორიამ საფორტეპიანო მუსიკის საღამოს უმასპინძლა. საღამოს სოლისტი ნინო გურევიჩი გახლდათ. ორმოქმედებიან საკონცერტო პროგრამაში წარმოდგენილი იყო შუბერტის სონატა დო მინორი, შოპენის პოლონეზ-ფანტაზია, შუმანის „იუმორესკა" და ლისტის „მეფისტო-ვალსი".

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღეს და 9 აპრილის ტრაგედიას ახალბედა კომპოზიტორმა და პოეტმა რუსთაველის გამზირზე რუსული აგრესიისადმი პროტესტის ნიშნად სიმღერა „მოძახილი" წარმოადგინეს. სიმღერა ორმა ახალბედა მომღერალმა, 17 წლის გიორგი გოგოლაურმა და 18 წლის ლადო დონლევანმა შეასრულეს. ამ სიმღერით მათ ოკუპანტებს საქართველოს მტრობისთვის მოსალოდნელ სასჯელზე მიუთითეს. ამ სიმღერის ავტორებმა რუსეთის ხელისუფლებას კიდევ ერთხელ შეახსენეს, რომ საქართველოს მტრობა არავის შერჩენია და გამონაკლისები არც ისინი იქნებიან. გიორგი გოგოლაურმა რუსეთის აგრესიის საპროტესტოდ ლექსი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ დაწერა, მისმა მეგობარმა ლადო დონლევანმა კი ეს ლექსი დაახლოებით ერთი თვის წინ წაიკითხა და სიმღერის ჩაწერის იდეა გაუჩნდა.

ახალბედა პოეტისა და კომპოზიტორის ნამუშევარი უკვე გამოჩნდა ინტერნეტსივრცეში. იგი ატვირთულია იუთუბიზე და გოგოლაურისა და დონლევანის შემოქმედება 1.600-ზე მეტმა მომხმარებელმა შეაფასა.

## ქართული საგალობლები სამების საკათედრო ტაძარში გამოიფინა

**ეკა ირემაშვილი**

ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა სამების საკათედრო ტაძრის ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის საგამოფენო დარბაზში საეკლესიო საგალობლების ხელნაწერები გამოფინა, სადაც წარმოდგენილი იყო XVII-XVIII საუკუნეებში გადაწერილი დიდმარხვისა და ზიარების საგალობლები, საწელიწდოები, ექვთიმე კერესელიძის, ფილიმონ ქორიძის, მაქსიმე შარაძის მიერ გადაწერილი საგალობლები. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო XIX-XX საუკუნეებში მოღვაწე ქართველ სასულიერო და საერო პირთა ფოტოებიც.

აღნიშნული ხელნაწერები მოიცავს როგორც ტექსტებს, ისე ნოტებსა და ნევმებს. ამ ექსპოზიციით ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი წარმოაჩენს ქართული საეკლესიო საგალობლების განვითარების ხანგრძლივ და საინტერესო ისტორიას. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ მასალებში დიდი რაოდენობით არის სასულიერო ხასიათის ტექსტები, მათ შორის ჰიმნოგრაფია, რომელიც შეიცავს მკვლევრებისთვის საჭირო დიდძალ ინფორმაციას. საყურადღებოა ისიც, რომ საგალობლები არა მხოლოდ ტექსტებით, არამედ სამუსიკო ნიშნებითაც არის წარმოდგენილი, რომელსაც ნევმები ეწოდება. სწორედ მათი მეშვეობით არის შესაძლებელი ქართული გალობის აღდგენა.

მგალობლებმა წმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში წმინდა ექვთიმე კერესელიძის ხატი მიაბრძანეს. სწორედ ექვთიმე კერესელიძემ შემოუნახა ისტორიას საგალობლების ხელნაწერების დიდი ნაწილი. გამოფენას რუსთავის მთავარეპისკოპოსი, მეუფე იოანე გამრეკელიც ესწრებოდა. საკვირაო წირვის დასრულების შემდეგ კი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მგალობლები დალოცა.

ქართული საგალობლების გა-



მოფენის პარალელურად, სამების ტაძართან არსებულ ახალგაზრდულ ცენტრში თანამედროვე ქართველი მხატვრის დავით ბაძაღუას ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვაც მოეწყო. ექსპოზიცია 16 აპრილამდე გაგრძელდება. გაყიდული ნამუშევრებიდან შემოსული თანხის ნაწილი გადაირიცხება ხელოვნების, კულტურისა და მეცნიერების აღორძინებისა და განვითარების სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდში. დავით ბაძაღუა ხშირად აწყობს საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვებს. მან შარდენის ქუჩაზეც მოაწყო საკუთარი ნამუშევრების გამოფენა და დამთვალიერებლის დიდი ინტერესიც დაიმსახურა.

საქართველოს ეროვნული მუზეუმი კი უკვე ზრუნავს სააღდგომო განწყობის შესაქმნელად. თბილისის ისტორიის მუზეუმში თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის საღვთისმეტყველო ინსტიტუტის ხელოვნებათმცოდნეობისა და ხატწერის, რესტავრაციისა და გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტის სტუდენტებთან ერთად ნამუშევართა გამოფენა მოეწყობა, რომელიც 24 აპრილამდე გაგრძელდება. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იქნება ხატები, ნაქარგები, თექაზე და მძივქარგულობით შესრულებული ნამუშევრები, საეკლესიო დანიშნულების ნივთები და სამოსის დეტალები.

პირველი ქარგვის ჯგუფი 1983 წელს სიონის საკათედრო ტაძრის მრევლში სრულიად საქართველოს პატრიარქის ლოცვა-კურთხევით შეიქმნა, ორი წლის შემდეგ კი საპატრიარქოში ხალხური რეწვის განყოფილება ჩამოყალიბდა, რომელსაც ხელსაქმის დავიწყებული დარგების აღდგენა და გავრცელება დაევალა. უკვე ათი წელია სასულიერო აკადემიაში, იმჟამინდელი რექტორის, მიტროპოლიტ აბრაამ დიდის ინიციატივით, შეიქმნა და დღესაც მოქმედებს ნაქარგობის სახელოსნო ეთერ უროტაძის ხელმძღვანელობით, ასევე თექის, ფარდაგისა და ხალიჩის სახელოსნო სილვა წერეთლის ხელმძღვანელობით, რომელთა ფუნქციონირების შედეგად შეიქმნა წარმოდგენილი ნამუშევრების ნაწილი.

ეროვნული მუზეუმის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია:

— დამთვალიერებლისთვის ეს იშვიათი და სააღდგომო განწყობის შემქმნელი გამოფენაა, სადაც ნამუშევრების მრავალსახეობა გვიჩვენებს, რამდენად მაღალპროფესიულად მიმდინარეობს სემინარიასა და აკადემიაში არსებული სახელოსნოების სტუდენტთა მუშაობა. ჩანს, რომ ახალგაზრდა ხელოვანთა მიერ ათვისებულია ტრადიციული ხალხური რეწვის საფუძვლები, ხდება გამოცდილების შენახვა და იმპროვიზირება, რაც მთავარია, ამ ნამუშევართა უმეტესობას საავტორო ხელწერის ნიშნები ახასიათებს.

## ბრიტანელი ექიმების ვარაუდით, ბანანს ინსულტის რისკის შემცირება შეუძლია

ბრიტანელი მეცნიერების ვარაუდით, დღეში სამი ცალი ბანანის მოხმარება ინსულტის რისკს 21 პროცენტით ამცირებს.

ბანანი ინსულტის რისკს მნიშვნელოვნად აქვეითებს და 21 პროცენტით ამცირებს სისხლისმიმოქცევის დარღვევებსა და სისხლში თრომბების წარმოქმნას. თუმცა, ამ შემთხვევაში ლაპარაკია მხოლოდ მდედრობითი სქესის წარმომადგენლებზე.

გარდა ამისა, ბრიტანელი ექიმების თქმით, ქალბატონებს გულის დაავადებების თავიდან აცილებაში თხილის, რძის, თევზის, ისპანახისა და ოსპის მოხმარებაც დაეხმარებათ.

როგორც ცნობილია, კალიუმს შეუძლია თავის ტვინის სისხლძარღვებში წარმონაქმნების ჩამოყალიბებას შეუშალოს ხელი. ამ მიკროელემენტს, ასევე, სისხლის წნევის დაბლა დაწევა და ორგანიზმში წყლის ბალანსის რეგულირებაც შეუძლია.

მდედრობითი სქესის წარმომადგენლებში კალიუმის ყოველდღიური მოხმარების ნორმა 3500 მილიგრამს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ ყოველდღიური ნორმის თუნდაც ნახევრის 1600 მილიგრამის მოხმარება ხუთჯერ ამცირებს ინსულტის რისკს.

ცნობისათვის: ერთი ცალი ბანანი დაახლოებით 500 მილიგრამ კალიუმს შეიცავს. ორგანიზმში კალიუმის ნაკლებობას გაღიზიანების, არარეგულარული გულისცემის, გულისრევის შეგრძნებისა და საჭმლის მომნელებელი ორგანოების მუშაობის დარღვევის გამოწვევა შეუძლია.

**მედიანიუსი**

# შვედეთის დედოფალი პაპარაცი ფოტოგრაფისგან გაქცევის მცდელობისას დაშავდა

შვედეთის დედოფალი სილვია, მეფე კარლ XVI გუსტავის მეუღლე ნიუ იორკში პაპარაცების მომაბეზრებელი ყურადღებისაგან თავის დაღწევის მცდელობისას დაშავდა.



67 წლის დედოფალი უმცროს ქალიშვილთან, პრინცესა მადლენთან ერთად საყიდლებზე იმყოფებოდა. პრინცესა მადლენი ნიუ იორკში ცხოვრობს.

შვედმა ფოტოგრაფმა, რომელიც დედოფალს კვალდაკვალ მიჰყვებოდა, ყურადღება არ მიაქცია დაცვის რეკომენდაციას და დედოფალს ძალიან მიუახლოვდა.

ფოტოგრაფის ყურადღებით მობეზრებულმა დედოფალმა და პრინცესამ მაღაზიიდან სათადარიგო კარით გასვლა სცადეს და კარში გასვლისას დედოფალი წაიქცა.

დაცემის შედეგად მან მაჯა და კოჭი დაიზიანა. მოგვიანებით პრესაში გამოჩნდა დედოფალ სალვიას ფოტოსურათი ფეხზე არტაშანითა და ხელში ხელჯოხით. შვედური ბულვარული გამოცემის „აფტონბლადეტის" რედაქტორმა, რომლის სასარგებლოდაც პაპარაცი მოქმედებდა, ამ ინციდენტთან დაკავშირებით თავისი ღრმა სინანული გამოხატა.

მიუხედავად ამ ტრავმისა, შვედეთის დედოფალი არტაშანითა და ხელჯოხით გამოცხადდა ცერემონიალზე, სადაც იგი ჰუმანიტარული საქმიანობისათვის, კერძოდ „მესამე სამყაროს" ქვეყნებში ბავშვების დახმარებისათვის დააჯილდოვეს. დედოფალი ორგანიზაცია „ადამიანის ჯანმრთელობისა და უფლებებისათვის" ჯილდოთი დააჯილდოვეს.

შვედეთის სამეფო ოჯახის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ინციდენტი ორშაბათს მოხდა და დედოფალს თავისი სამუშაო პროგრამა და დღის განრიგი არ შეუცვლია.

# გარდაიცვალა „12 განრისხებული მამაკაცის" ავტორი

ნიუ იორკში 86 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი რეჟისორი სიდნი ლიუმეტი. კინოკარიერის განმავლობაში მან 40-ზე მეტი ფილმი გადაიღო, მათ შორის „სერპიკო", „მკვლელობა აღმოსავლეთის ექსპრესში", „ეშმაკის თამაშები". ლიუმეტი სხვადასხვა ჟანრში მუშაობდა და ჰოლივუდის ერთ-ერთ ყველაზე ნაყოფიერ რეჟისორად ითვლებოდა.



იგი მუშაობას 80 წლის ასაკშიც აგრძელებდა.

„ნებისმიერი ფილმის მიზანი გართობაა, — ამბობდა რეჟისორი, — მაგრამ ფილმები, რომლებიც მე მწამს, ცოტა უფრო მეტს აკეთებენ".

რეჟისორმა სახელი თავისი პირველივე ფილმით გაითქვა. 1957 წელს გადაღებულ სურათში „12 განრისხებული მამაკაცი" ნაფიცმა მსაჯულებმა მამის მკვლელობაში ეჭვმიტანილი ლათინოამერიკელი ახალგაზრდის ბედი უნდა გადაწყვიტონ.

11 მათგანი დარწმუნებულია, რომ ახალგაზრდამ ნამდვილად მოკლა მამა, მაგრამ მეთორმეტეს, ვის როლსაც ჰენრი ფონდა თამაშობს, ეჭვი ეპარება და ამბობს, რომ საბრალდებო დასკვნას ვერ დაეთანხმება.

სამოციანი წლების შემდეგ ამ სიუჟეტმა თეატრის სცენაზე, კინოსა და ტელევიზიაში არაერთ დადგმას და ეკრანიზაციას გაუძლო.

ლიუმეტი რამდენჯერმე იყო ნომინირებული ოსკარზე, მათ შორის ფილმებისათვის „12 განრისხებული მამაკაცი", „ძაღლური შუადღე", „ტელექსელი", „ვერდიქტი", მაგრამ ოქროს ქანდაკება მხოლოდ 2005 წელს მიიღო. ამერიკის კინოაკადემიამ იგი კინემატოგრაფის განვითარებაში შეტანილი წლილისათვის დააჯილდოვა.

# ისლანდიელებს ვალის გასტუმრება არ სურთ

ისლანდიაში მოსახლეობამ კვლავაც არ მოისურვა ბრიტანკთისთვის და ჰოლანდიისათვის იმ ვალის დაბრუნება, რომელიც მთავრობამ ისლანდიის ბანკის გაკოტრების შემდეგ აიღო. ამას მოწმობს შაბათს გამართული რეფერენდუმის წინასწარი შედეგები.




ქვეყნის პრემიერ მინისტრმა იოაჰანა სიგურდარდოტირმა რეფერენდუმის წინასწარ შედეგებს, რომლის მიხედვითაც მოსახლეობის 57%-მა ვალის გადახდის წინააღმდეგ მისცა ხმა, „იმედგაცრუების ღირსი" უწოდა.

დიდი ბრიტანეთისა და ჰოლანდიის მთავრობები რამდენიმე წელია რაც ისლანდიასთან მოლაპარაკებას აწარმოებენ და 5 მილიარდი ევროს დაბრუნებას ითხოვენ. ეს თანხა ისლანდიის მთავრობამ თავის იმ მოქალაქეებს დაუბრუნა, რომლებსაც ფული 2008 წელს გაკოტრებული ბანკის „ლანდესბანკის" „აისსეივის" ანგარიშებზე ჰქონდათ შეტანილი.

ისლანდიელებმა ვალის დაბრუნებაზე მეორედ თქვეს უარი. გასულ წელლს ანალოგიურ რეფერენდუმში ვალის დასაბრუნებლად თანხის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფის წინააღმდეგ ხმა მოსახლეობის 90%-მა მისცა.

2008 წლის ოქტომბერში ფინანსური კრიზისის დროს ისლანდიის სამივე ბანკი გაკოტრდა.

ისლანდიის ხელისუფლებმა საკუთარ მოქალაქეებს ზარალი აუნაზღაურეს, მაგრამ უცხოელმა მეანაბრეებმა ფული დაკარგეს.

ისლანდიის მთავრობა ჰოლანდიასა და ბრიტანეთს ვალის გადახდას ჯერ კიდევ 2009 წელს დათანხმდა, მაგრამ 2010 წელს ქვეყნის პრეზიდენტმა ოლაფ რაგნარ გრიმსონმა ვეტო დაადო ამ გადაწყვეტილებას, რამაც რეფერენდუმის გამართვა გამოიწვია.

ევროკომისიის წარმომადგენლებმა ამ საკითხთან დაკავშირებით თავის დროზე განაცხადეს, რომ უარყოფითმა გადაწყვეტილებამ ევროკავშირში ისლანდიის შესვლა სათუო შეიძლება გახადოს, გარდა ამისა, მსოფლიო სავალუტო ფონდისა და ევროკავშირის მიერ ფინანსური დახმარების გამოყოფას შეუშალოს ხელი.

# ნატომ ლიბიაში კადაფის ტანკები გაანადგურა

ლიბიაში კოალიციის თვითმფრინავებმა მოამარ კადაფის 17 ტანკი გაანადგურეს. ქალაქებში მისრატსა და აჯდაბიაში გრძელდება ბრძოლები კადაფის მომხრეებსა და ამბოხებულებს შორის.



ნატოს წარმომადგენლების თქმით, 15 ტანკი მისრატში გაანადგურეს, ორი — ქვეყნის დასავლეთით, ქალაქ ბრეგას მახლობლად.

შაბათს კადაფის ერთგულმა ჯარებმა აჯდაბიას მიმართულებით რეიდი განახორციელეს, ქალაქს ჯერ საარტილერიო ცეცხლი გაუხსნეს, შემდეგ კი გარეუბნებში რამდენიმე საათის განმავლობაში ბრძოლა მიმდინარეობდა.

მიმომხილველების თქმით, სამთავრობო ჯარების იერიშმა ამბოხებულებს მოუმზადებლებს მოუსწრო. შეტაკების შედეგად რვა მეამბოხე დაიღუპა.

ლიბიის სამთავრობო ტელევიზიამ აჩვენა კადრები, რომელიც ტელევიზიამ პირდაპირ ეთერად გამოაცხადა. კადრში მოამარ კადაფის სამხედროებმა ქალაქის კარიბჭეზე თავიანთი დროშა აღმართეს.

ბრძოლები გრძელდებოდა აგრეთვე მისრატთან, ლიბიის დასავლეთით.

გავრცელებული ცნობების თანახმად, ლიბიაში კადაფთან და ოპოზიციასთან მოსალაპარაკებლად აფრიკის ხუთი ქვეყნის ლიდერებისაგან შემდგარი დელეგაცია მიემართება. მას სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტი ჯეიკობ ზუმა ხელმძღვანელობს. იგი უნდა ეწვიოს როგორც ტრიპოლის, ასევე ბენგაზის და მიზნად შეიარაღებული დაპირისპირების შეწყვეტას ისახავს.

ნატოს წარმომადგენლებმა რამდენიმე დღის წინ განაცხადეს, რომ ალიანსი ღრმა მწუხარებას გამოხატავს იმ მსხვერპლის გამო, რაც მეამბოხეთა სატანკო კოლონის განადგურებას მოჰყვა.

კოალიციის საჰაერო თავდასხმის შედეგად არანაკლებ 4 ადამიანი დაიღუპა. როგორც ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდრეს ფონ რასმუსენმა განაცხადა, არაერთი სამხილი არსებობს იმისა, რომ კადაფი ტანკებს მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ იყენებდა.

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, უილიამ ჰეიგის თქმით, შეცდომები ხშირად ხდება ხოლმე, მაგრამ ალიანსი მზად უნდა იყოს უდანაშაულო ადამიანების დაღუპვის გამო ბოდიში მოიხადოს.

მეამბოხეთა შეიარაღებული ძალების სარდალმა აბდელფატაჰ იუნისმა ბიბისის ინტერვიუში განაცხადა, რომ აფრთხილებდა ნატოს სატანკო კოლონის გადაადგილების შესახებ. ამასთან იუნისმა განაცხადა, რომ ეს ინციდენტი კოალიციურ ჯარებთან მეამბოხეთა თანამშრომლობაზე ზეგავლენას არ მოახდენს.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

# პოლონეთმა სმოლენსკის კატასტროფის წლისთავი აღნიშნა

ერთი წლის წინ სმოლენსკის მახლობლად მომხდარი ავიაკატასტროფის შედეგად დაღუპული პოლონელი მოქალაქეების ოჯახის წევრები, აგრეთვე პოლონეთის პრეზიდენტის მეუღლე ანა კომოროვსკა ტუ-154 თვითმფრინავის კატასტროფის ადგილს სამგლოვიარო ცერემონიალში მონაწილეობის მისაღებად ეწვივნენ.



პოლონეთის პრეზიდენტის, ლეხ კაჩინსკის თვითმფრინავი სმოლენსკის მახლობლად, აეროდრომე „სევერნისთან" 2010 წლის 10 აპრილს ჩამოვარდა. სპეციალური გამოძიების თანახმად, ძლიერი ნისლის დროს იგი ხის კენწეროებს წამოედო.

თვითმფრინავში 96 ადამაინი იმყოფებოდა, პოლონეთის სახელმწიფო დელეგაციის 88 წარმომადგენელი და ეკიპაჟის რვა წევრი.

ისინი კატინისაკენ მიემართებოდნენ, სადაც 1940 წელს ნკვდ-ს თანამშრომლების მიერ დახვრეტილი პოლონელი ოფიცრების მემორიალურ ღონისძიებაში უნდა მიეღოთ მონაწილეობა.

შაბათს პოლონეთში ტრაგედიის მსხვერპლთა პატივსაცემად სამგლოვიარო ღონისძიებები და მღვდელმსახურება არის გაიმართა.

სმოლენსკში დაღუპულთა ახლობლებმა თვითმფრინავის ნამსხვრევებთან ერთად აღავლინეს ლოცვა. ჟურნალისტები ახლოს არ მიუშვეს. ლიტურგიის შემდეგ სამგლვოიარო მიტინგი გაიმართა.

პოლონეთის არმიის წარმომადგენელმა დაღუპულთა გვარები წაიკითხა.

ისევე როგორც ერთი წლის წინ, პოლონეთის დელეგაციეს ვიზიტის წინ სმოლენსკში კვლავაც გაფუჭდა ამინდი. მიტინგზე ანა კომოროვსკას გამოსვლას ნისლი, ძლიერი ქარი და თოვა ახლდა.

მიტინგის შემდეგ პოლონეთის პირველი ლედი კატინის მემორიალს ეწვია, სადაც გვირგვინებით შეამკო როგორც დახვრეტილი პოლონელი ოფიცრების, ასევე მეორე მსოფლო ომში დაღუპული წითელარმიელების საფლავები.

ამ ვიზიტთან დაკავშირებით პოლონეთის მედიაში ავიაკატასტროფის ადგილზე მემორიული დაფის შეცვლის საკითხის განხილვა დაიწყო.

ამ ადგილას პოლონურენოვანი ფირფიტის ნაცვლად ამჟამად დგას სხვა ფირფიტა, პოლონურ და რუსულ ენებზე შესრულებული ტექსტით, მაგრამ ტექსტის ახალი ვარიანტით. სადაც არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ ავიაკატასტროფაში დაღუპულები კატინის ტყეში პოლონელი სამხედრო ტყვეების საბჭოთა გენოციდეს 70 წლისთავთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე მიდიოდნენ.

რუსეთის მხარემ განაცხადა, რომ თავდაპირველი ტექსტი მათთან შეთანხმებული არ ყოფილა და ტექსტი მხოლოდ პოლონურად იყო შესრულებული. სმოლენსკის გუბერნატორის პრესსამსახურის წარმომაგენლებმა განაცხადეს, რომ მანამდე პოლონეთის მხარე მემორიული დაფის შეცვლას დათანხმდა.

# ჰოლანდიაში ექვსი მოქალაქის მკვლელის ვინაობა დაადგინეს

ჰოლანდიის ხელისუფლებმა დაადგინეს იმ მამაკაცის ვინაობა, რომელმაც შაბათს ქალაქ ალფენ ან დენ რეინში სავაჭრო ცენტრში სროლა ატეხა.

მან ექვსი ადამიანი მოკლა, 15 დაჭრა, შემდეგ კი თავი მოიკლა. პროკურორის თქმით, თავდამსხმელი 24 წლის ტრისტან ვან დერ ვლისი აღმოჩნდა. 2003 წელს პოლიცია მის მიმართ იარაღის უკანონო შენახვის საქმეს იძიებდა, მაგრამ ბრალდების წაყენებამდე გამოძიება არ მისულა.

პროკურორის თქმით, მას სუთი სახის იარაღის შენახვის უფლება ჰქონდა, თან სამი იარაღი ჰქონდა.

ჰოლანდიის მედიაში გავრცელებული ცნობების თანახმად, თვითმხილველებმა განაცხადეს, რომ თავდამსხმელი ავტომატურ იარაღს იყენებდა. იგი ტყავის ქურთუკში და სამხედრო ყაიდის შარვალში იყო გამოწყობილი. სროლის დროს სავაჭრო ცენტრში პანიკა დაიწყო. მაღაზიაში იმ დროს მყოფმა ადამიანებმა განაცხადეს, რომ თავდამსხმელმა ყველას განურჩევლად სროლა დაუწყო. ქალაქი ალფენ ან დენ რეინი ამსტერდამიდან 21 კმ-ის მოშორებით სამხრეტ-დასავლეთით მდებარეობს და მასში 70 ათასამდე ადამიანი ცხოვრობს.



ქალაქის მერის თქმით, ოთხი დაჭრილი მძიმე მდგომარეობაში იმყოფება, ხუთი — კრიტიკულში.

ამ ქალაქში ბოლო ორი კვირის განმავლობაში სროლა მეორედ ატყდა. ორ აპრილს ქალაქის იმავე რაიონში ორი ადამიანი მოკლეს.

ადგილობრივი ხელისუფლების თქმით, ამ ორ ინციდენტს შორის რაიმე კავშირი არ არსებობს.

# თოჯინების თეატრი დაანგრიეს

ეკა ირემაშვილი

გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების სახელმწიფო თეატრის შენობა ალმაშენებლის გამზირზე დაანგრიეს. დედაქალაქის მერია ალმაშენებლის გამზირის რეაბილიტაციას აწარმოებს, ამ პროექტის ფარგლებში კი თოჯინების თეატრის უძველესი შენობა, როგორც ჩანს, არ ჩაჯდა.

თეატრის ხელმძღვანელმა თემურ ბადრიაშვილმა „ახალ თაობას“ განუცხადა, რომ თეატრი ერთი წუთითაც არ შეწყვეტს ფუნქციონირებას და ახალ თეატრალურ სეზონს სხვა შენობაში გახსნის.

თბილისის თოჯინების ქართული თეატრი 1934 წელს გიორგი მიქელაძის ინიციატივით დაარსდა. მისი გარდაცვალების შემდეგ კი თეატრს მისივე სახელი ეწოდა. თეატრის ჩამოყალიბებაში აქტიურად მონაწილეობდნენ მეთოჯინეები, რეჟისორები და მსახიობები. პირველი სპექტაკლი თოჯინების თეატრში 1934 წლის 26 მაისს იქნა წარმოდგენილი. „ჭუჭრუტანაში გავძვრები, ჩემსას კი მაინც გავხდები“ — ასე ეწოდებოდა პირველ წარმოდგენას, რომელიც თოჯინების თეატრმა შექმნა და პატარა მაყურებელს შესთავაზა.

თოჯინების თეატრის დაარსებიდან 70 წლის იუბილეზე კი თეატრს სახელმწიფო თეატრის სტატუსი მიენიჭა. ამჟამად თეატრის რეპერტუარში ათეულობით თოჯინური სპექტაკლია, რომლებსაც რეჟისორები სხვადასხვა ცნობილი ქართული თუ უცხოური ზღაპრების მიხედვით დგამენ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უკვე გააფორმა მემორანდუმი თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრებთან, რომელიც თეატრს მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს და ხელს უწყობს მოზარდის გემოვნების ჩამოყალიბებასა და პიროვნულ განვითარებას. მემორანდუმის ფარგლებში საბავშვო თეატრები ვალდებული არიან, სკოლის მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი სპექტაკლები, რომლებიც მოსწავლეებს გაუღმავებს ინტერესსა და სწრაფვას ხელოვნებისა და კულტურისადმი.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, სამინისტრომ ვალდებულება იკისრა, ხელი შეუწყოს თეატრებში მიმდინარე რეპერტუარის თაობაზე სკოლების ინფორმირებას და ასევე უზრუნველყოს საჯარო სკოლებსა და თეატრებს შორის ეფექტური კომუნიკაციის დამყარება. თეატრებმა კი, თავის მხრივ, უნდა მოამზადონ მოსწავლეების სასკოლო პროგრამისა და მათი ასაკის შესაბამისი სპექტაკლები, შექმნან მოსწავლეთათვის კომფორტული და საინტერესო გარემო, მოსწავლეებს შესთავაზონ შეღავათიანი საფასური სპექტაკლზე დასასწრებად და ასევე, სკოლის სურვილისამებრ, უზრუნველყონ თემატური შეხვედრები თეატრის დასსა და მოსწავლეებს შორის.

**თოჯინების თეატრის ხელმძღვანელი თემურ ბადრიაშვილი აცხადებს:**

— მართალია, თოჯინების თეატრი დაინგრა, მაგრამ დამშვიდდით, არავინ ჩვენს თეატრს არ ერჩის და არანაირი საფრთხე არ გვემუქრება. თოჯინების თეატრი ერთი წუთითაც არ შეწყვეტს მუშაობას. მართალია, ალმაშენებელზე მდებარე ჩვენი თეატრი დაინგრა, სამაგიეროდ, აშენდება თანამედროვე, კეთილმოწყობილი შენობა, რომელშიც ჩვენი თეატრი განთავსდება. ჩვენ დროებით შევიცვლით შენობას, სადაც სპექტაკლებს ვითამაშებთ ბავშვებისთვის. ვიცით, როგორი დიდი მოთხოვნილებაა ჩვენი თეატრის სპექტაკლებზე. უკვე დავასრულეთ წლევანდელი თეატრალური სეზონი, ვუმასპინძლეთ სკოლებსაც აბონემენტების საშუალებით. ახლა კი ახალი თეატრის მოლოდინში ვართ. ვეცდებით, ყველაფერი შევინარჩუნოთ და გვინდა, არავინ და არაფერი დაზარალდეს.

თუ სად გადავა თოჯინების თეატრი ახალი შენობის აშენებამდე, ჯერჯერობით უცნობია.

# შორენა ბეგაშვილს ეროტიკული ლექსები მიუძღვნეს

ეკა ირემაშვილი

მას შემდეგ, რაც მსახიობმა შორენა ბეგაშვილმა ქართველი საზოგადოებისთვის სექსის სწავლება გადაწყვიტა და გადაცემა „ღამე შორენასთან“ გააკეთა, უდავოდ დაიმკვიდრა სექსსიმბოლოს ტიტული. მისი სითამამე კიდევ ერთი მამაკაცის სამიზნე გახდა. ამჯერად საუბარი არ არის თავდავიწყებულ სიყვარულზე. შორენას მომხიბვლელობამ და სილამაზემ პოეტ ალექსანდრე (ჯემალ) ჯღარკავას ეროტიკული ლექსების წერის მუზა გაუღვიძა.



„შორენა შიშველ-ჩახდილი“ — ასე ჰქვია წიგნს, რომელიც შორენა ბეგაშვილს ეძღვნება და მასში პოეტის ეროტიკული ლექსებია გაერთიანებული. თავად მსახიობი და ტელეწამყვანი ამ კრებულს არ იცნობს და არც უკვირს, რომ მისი სილამაზე ვილაცისთვის შემოქმედებითი მუზის, თუნდაც ეროტიკული ლექსების შექმნის საბაბი გახდა.

ლამაზმანი უკვე იმასაც მიეჩვია, რომ მისით ძალიან ბევრი ცდილობს რეკლამის გაკეთებას, აღარ სწყინს მის მიმართ გამოვლენილი შური და ბოლმა, ალარც ის უკვირს, რომ ვიღაცას მხოლოდ მისი შიშველი სხეულის ყურება აკმაყოფილებს და უზომო სიამოვნებას ჰგვრის.

ალექსანდრე (ჯემალ) ჯღარკავას მიერ გამოცემულ წიგნთან დაკავშირებით მსახიობი აცხადებს, რომ ამ წიგნს არ იცნობს და, როგორც კი მოიცლის, შეეცდება, გაეცნოს. „ადამიანები ჩემი სახელით პიარს იკეთებენ და რა ვქნა?!“ — ასეთია შორენას კომენტარი.

შორენა ბეგაშვილი ამჟერად დუტასთან ერთად გადაცემა „იღბლიანი ბორბლის“ წამყვანია, სადაც მოთამაშეებიც არ აკლებენ კომპლიმენტებს, ლექსებსაც უძღვნიან და ხატავენ კიდეც. გადაცემის წამყვანობის პარალელურად, მსახიობი მუშაობს რამდენიმე ახალ როლზე და, რაც მისთვის ამ ეტაპზე ყველაზე მთავარია, ახლა ძალიან ბედნიერია, იმიტომ რომ შეყვარებულია, თუმცა, თავისი რჩეულის ვინაობას მსახიობი მკაცრად ასაიდუმლოებს.

# ვინ მიიღებს 3000 ლარს?

ეკა ირემაშვილი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ გიორგი შერვაშიძის სახელობის პრემიაზე კონკურსი გამოაცხადა. კონკურსის შესახებ აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე გიორგი ბარამიამ ფართო საზოგადოებას საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე ამცნო.



— გიორგი შერვაშიძის სახელობის პრემია აფხაზეთის მთავრობის უმაღლესი ჯილდოა ლიტერატურის, მეცნიერების, პუბლიცისტიკის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგებში. ყველა გამარჯვებული შერვაშიძის სახელობის პრემიის ლაურეატის წოდებას, ასევე დიპლომსა და 3000 ლარის ოდენობის ჯილდოს მიიღებს, — განაცხადა კონკურსთან დაკავშირებით აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე გიორგი ბარამიამ.

კონკურსში მონაწილეობის უფლება ყველა მსურველს აქვს. მათ ნაწარმოებები და განაცხადები პირველ ივნისამდე აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროში უნდა წარადგინონ.

— კონკურსი ორ წელიწადში ერთხელ ტარდება და დაარსების ანუ 1995 წლის შემდეგ პრემია უკვე 43-მა ადამიანმა მიიღო. რაც შეეხება თავად გიორგი შერვაშიძეს, იგი აფხაზი თავად მიხეილ შერვაშიძის უკანასკნელი შვილი იყო, რომელიც თავის პუბლიცისტურ ნაწარმოებებში რუსული იმპერიალიზმის წინააღმდეგ ილაშქრებდა და ქართველებისა და აფხაზების ძმობას ქადაგებდა, — აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბრისას აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარემ.

კონკურსში გამარჯვებულებს სპეციალური კომისია 23 ნოემბერს, გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულზე გამოავლენს.

# უნიკალური ნახატის რესტავრაცია დაიწყო

ეკა ირემაშვილი

საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში უნიკალური გრაფიკული ნამუშევრის პრეზენტაცია შედგა. უნიკალურ ნამუშევარზე თბილისის ისტორიული უბანი, ორთაჭალა, თითქმის პირველადი სახითაა შემორჩენილი. ტილო მუზეუმში სულ რამდენიმე საათით გამოიფინა. ნახატის ავტორი ცნობილი ქართველი მხატვარი ვალერიან სიდამონ-ერისთავია. ნამუშევარი თბილისის ორთაჭალის უბნის დაგეგმარებას წარმოადგენს და 1932 წელს მიხეილ ზანდუკელის დაკვეთით შეიქმნა. ეს თავისებური გეგმა თბილისში საკურორტო ზონის მოწყობას ისახავდა მიზნად. ნახატი წლების მანძილზე ინახებოდა თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტზე. ამჟამად იგი სარესტავრაციოდ გადაეცა საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმს. აღნიშნული ნახატი რესტავრაციის შემდეგ ისევ კანონიერ მფლობელს დაუბრუნდება.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ზუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების
დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფ. ვაზიანში, თბილისიდან 30 კმ-ში 2000 კვ.მ ხეხილიანი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი (შეიძლება გაყოფაც 1000-1000 კვ.მ-ად), სასმელი და სარწყავი წყლით. ფასი 1 კვ.მ. 2 დოლარი. ტელ:. 53-15-87; 890-53-02-41.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38; 895-293-299; 890-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

● იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერშტადტ“. ფასი შეთანხმებით. ტელ: 899-97-37-72 ნარგიზა.

● სწრაფად, უსაფრთხოდ, უმტკივნეულოდ უოპერაციოდ, ასაკის მიუხედავად განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას (ნევრიტს), ოსტეოქონდროზს, სახსრების, კუნთების, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, პროსტატიტს და შარდსასქესო სისტემის სხვა დაავადებებს, რადიკულიტს, სისხლძარღვების შევიწროვებას და სხვა. ტელ: 899-97-85-46. რეაბილიტოლოგი ბ-ნი ლევანი.

## SMS-განცხადებები - 3090

### იყიდება

● იყიდება „ნისან პატრული“, 2,8 ტურბო დიზერი, 1996-წლიანი, იდეალურ მდგომარეობაში. ტელ: 899 51 50 50, გივი; 899 90 11 95, გიორგი.

● იყიდება გაზგასამართი 5-ტონიანი მონობლოკი, იდეალურ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. ტელ: 899 51 50 50, გივი; 899 90 11 95, გიორგი.

● იყიდება ბათუმში ახლად აშენებულ სახლში 60 კვ.მ. ბინა, ევრორემონტით, ზღვის ხედით, მე-10 სართულზე, ვახტანგ გორგასლის 195. ტელ: 877 46 46 68.

● იყიდება 1-ოთახიანი ბინა, ფართი - 30 კვ.მ., საშუალო რემონტით, იზოლირებული, რეესტრში გატარებული, 2 დიდი აივნით. ბოგდან ხმელნიცკის ქ. 48, კორპ. 10, ბინა 16.

### ქირავდება

● ქირავდება მოქმედი მაღაზია, მუშაობს 1995 წლიდან. ფართით დაინტერესებულმა პირებმა დარეკეთ ტელ: 899 77 24 31, მედიკო.

● ქირავდება 9,5 კვ.მ. ფართი, ცაბაძის ქ. 11-ში (დინამოს სტადიონთან), ტელეფონით და სველი წერტილებით. ტელ: 91 32 32; 895 48 48 44.

# ტიტველმა ბრიტანელმა ჯარისკაცმა სამი მძარცველი დაიფრინა

დიდი ბრიტანეთის არმიის ჯარისკაცმა უეინ ომაჰონიმ სამ ნიღბიან ბოროტმოქმედს თავისი მანქანის გატაცების საშუალება არ მისცა, თანაც ეს დედიშობილამ მოიმოქმედა.

ეს შემთხვევა ქალაქ მანჩესტერში მოხდა. ბოროტმოქმედებმა 41 წლის სამხედრო მოსამსახურის სახლში დილით ადრე შეაღწიეს. პატრონი შინ დახვდათ და ამიტომ მძარცველებმა გაქცევა ამჯობინეს. ერთ-ერთმა მათგანმა, დანით შეიარაღებულმა მძარცველმა მოასწრო და ხელს მანქანის გასაღები გააყოლა.

პატრონი მძარცველს უკან გამოუდგა, სპორტული მანქანის სით ლეონის გვერდითი მინა ჩაამსხვრია.

პოლიციამ თავდასხმის თვითმხილველებს მოწმედ გამოსვლა და გამოძიების დახმარება სთხოვა.

შაბათს ადრე დილით სახლის პატრონი უეინი და მისი მეგობარი ქალი ჯემა შემოსასვლელში ხმაურმა გააღვიძა. მძარცველებს შემოსასვლელი კარი ლამის ჩამოეხსნათ და სახლში ისე შესულიყვნენ. ისინი სამნი იყვნენ. როდესაც მიხვდნენ, რომ პატრონი შინ იყო, ორმა გაქცევა ამჯობინა, მესამე კი მისი მანქანი საჭეს მიუჯდა.

„იგი დანით დამემუქრა, ამიტომ სხვა გზა არ მქონდა, გვერდითა მინა ჩავამსხვრიე და საჭესთან მჯდარ მამაკაცს მანამ ვურტყამდი, სანამ მანქანიდან არ გადმოვიდა. — განაცხადა შემდეგ უეინმა, — პრობლემა ისაა, რომ ამ დროს, რბილად რომ ვთქვათ, მთლად ჩაცმული არ ვიყავი, რადგან დედიშობილა ძილი მიყვარს."

„არ ვიცი, რა იფიქრეს მეზობლებმა, — აგრძელებს იგი, — დილაადრიან ფანჯრებს მიაწყდნენ. ყველდღე ვერ ნახავ, თუ როგორ მისდევს შიშველი მამაკაცი საკუთარ მანქანას ყვირილით და დილის ექვს საათზე მუშტებს ურტყამს მას".

უეინ ომაჰონი ორი წელი ერაყში მსახურობდა, შემდეგ ავღანეთში უნდა გამგზავრებულიყო, მაგრამ კვიპროსში წვრთნების დროს მხარი დაუშავდა.

ბრიტანეთის პოლიციამ დანით შეიარაღებული მძარცველის დაწვრილებითი პორტრეტი შეადგინა. მძარცველმა გაქცევა მაინც მოახერხა.

გამომძიებლებშ იმედოვნებენ, რომ თვითმხილველთა ჩვენებების მიხედვით მძარცველთა პოვნას შეძლებენ.

# სამგლოვიარო განცხადებები

## ვერიკო რობაქიძის მოსაგონარი

ჩვენო ძვირფასო და გამორჩეულო მეგობარო ვერიკო!

ვინ ჩასწვდება ღვთის ნებას, რატომ წაგიყვანა ასე ადრე შენს საყვარელ მშობლებთან და ახლობელ ადამიანებთან, რატომ იყო ეს აუცილებელი. ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ შენნაირი ადამიანების ამქვეყნიური სიცოცხლე სხვების ცხოვრებასაც აზრს და მნიშვნელობას აძლევს.

ჩვენ გვჯერა, ახლა სამოთხის ბაღებს ატკბობს შენი გალობა; ჩვენც ისევ ჩაგვესმის შენი განუმეორებელი ხმა. ძნელია, ვუსმენდეთ შენს ხმას და ველარ გხედავდეთ; შენი ხელით თექაზე გაცოცხლებული ფიროსმანის ნახატები მანდაც მორთავენ ზეციურ სანახებს. ჩვენ კი შენი აქ არყოფნით გული გვტკივა და ამავე დროს ამაყებიც ვართ, შენნაირი მეგობარი რომ გვყავდა.

ჩვენო ვერიკო! როგორ აკლიხარ შენს ძვირფას დებს, განა ჩვენ შევძლებთ მათ უშენობა შევუმსუბუქოთ?

მაგ სიმაღლიდან კიდევ თუ ვჩანვართ, შენ და კარგი ქართველების ზეციური დასი მეოხედ ეყავით საქართველოს და შენს ოჯახს, ჩვენ კი აქედან ვილოცებთ შენი ნათელი სულისთვის. ღმერთმა სასუფეველში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*შენი მეგობრები*

გიზო ცინცაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**გელა გურამის ძე ჩიქვილაძე**



შვილები ლუარა, გულინა, ინეზა, ნატო, დონი, მურმანი, და დარეჯან სამხარაძე-შველიძე, სიძეები ჯემალ აბულაძე, როლანდ ფორჩხიძე, რამაზ მუჯირი, მურმან ჯანელიძე, რძლები მაია ბოჭორიშვილი, ნანა ისაკაძე, შვილიშვილები ინგა, ზემფირა, ეკა, ნათია, თამრიკო, მაია, მაკა, გია, ნიკა, მიშა, მათე, დონი, შვილთაშვილები ნათია, მარიამ, ეკა, ზურიკო, გიორგი, ძმისშვილები, დისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნინო ბესარიონის ასული სამხარაძე-ფანჩულიძე**

პანაშვიდი: 12, 13 აპრილს, 16 საათზე.

დაკრძალვა: 14 აპრილს, ხუთშაბათს, 14 საათზე თერჯოლის რ-ნი, სოფ. ძევრი

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## ადვილად თუ პატიობთ წყენას




***1. ქალ-ვაჟი წაკამათდა და ერთმანეთი ენატრებათ. შერიგდებიან?***

ა. დიახ. ბ. არ ვიცი. გ. არა

***2. გამყიდველი მაღაზიაში წყრომით გესაუბრებათ. თქვენი რეაქცია:***

ა. თუ კიდევ გაიმეორებს, მიზეზს ვკითხავ. ბ. ალბათ დაიღალა. გ. ამ მაღაზიაში აღარ მოვალ.

***3. თქვენი შეყვარებული დისკოთეკაზე სიმპათიურ გოგონას (ვაჟს) ეარშიყება. როგორ მოიქცევით:***

ა. ეარშიყოს რა! ბ. დარწმუნებული ვარ მასში. გ. შურს ვიძიებ.

***4. პირველი სიყვარული გაგახსენდათ.***

ა. მსიამოვნებს გახსენება. ბ. განსხვავებული გრძნობა მიჩნდება. გ. არასდროს ვყოფილვარ შეყვარებული

***5. შეყვარებულმა ღალატი აღიარა, მაგრამ ამბობს, რომ ეს არაფერს ნიშნავს. თქვენი რეაქცია:***

ა. იმაზეა დამოკიდებული, აგრძელებს თუ არა მასთან შეხვედრებს. ბ. ველარ ვენდობი. გ. მწყინს, მაგრამ მიხარია რომ აღიარა.

***6. თუ ვინმეს წაეჩხუბე, პირველი ვინ იწყებს შერიგებას?***

ა. ვერ ვიტან სიტყვას „მაპატიე". ბ. მე არა. გ. სიტუაციას გააჩნია.

***7. წვეულებაზე დაგაგვიანდა, უშენოდ დაიწყეს მოლხენა. თქვენი რეაქცია:***

ა. არ მესიამოვნება, მაგრამ ჩემი ბრალია. ბ. მეწყინება. გ მეორე დღესვე საქმის გარჩევას დავიწყებ.

**პასუხები შეაფასეთ: ა — 1 ქულა. ბ. — 2 ქულა. გ. — 3 ქულა**

**პასუხები**

**7-11 ქულა:** გწყინთ, როდესაც ვინმე ტკივილს გაყენებთ, მაგრამ გული მალე გიბრუნდებათ. წყენა გავიწყდებათ.

**12-16 ქულა:** ცდილობთ თავს მოერიოთ და წყენა არ გაიყოლოთ, მაგრამ არც განგებ მიყენებულ ტკივილებს ივიწყებთ და პატიობთ ადვილად.

**17-21 ქულა:** გულთან ყველაფერი ძალიან ახლო მიგაქვთ, წყენას გულში იხვევთ, არ შეიმჩნევთ, მაგრამ შურისძიებაზე დაიწყებთ ფიქრს.

# ქვიშის ქარიშხალმა გერმანიაში მასობრივი ავტოავარია გამოიწვია

გერმანიის ჩრდილოეთით ძლიერმა ქვიშის ქარიშხალმა ხილვადობა იმდენად შეამცირა, რომ ერთ-ერთ ავტობანზე ავტომობილების მასობრივი შეჯახება გამოიწვია.




ამ რეგიონისათვის არნახული სიძლიერის ქარმა მეკლენბურგის ფედერალურ მხარეში, ქალაქ როსტოკის მახლობლად 19 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ოთხივე ზოლი დაფარა. ხილვადობა მკვეთრად დაეცა, რამაც ავტომატისტრალზე სატრანსპორტო ქაოსი გამოიწვია.

შედეგად მოძრაობის ორივე მიმართულებით 80-მდე მსუბუქი და სამი სატვირთო ავტომობილი დაეჯახა ერთმანეთს. დაჯახების შემდეგ 20 მანქანას ცეცხლი წაეკიდა. მათგან ერთი სატვირთო მანქანა ადვილაალებადი მასალებით იყო დატვირთული. მასობრივი ავარიის მიზეზად რამდენიმე ფაქტორის დამთხვევა იქცა, კერძოდ, მშრალი ამინდი, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დაწყება, რის შედეგადაც სავარგულები მოიხსნა და ძლიერი ქარი, რომელმაც გრუნტი და ქვიშა ჰაერში აიტაცა. ავარიის შედეგად რვა ადამიანი დაიღუპა, 51 დაშავდა. მსხვერპლის რიცხვი საბოლოო არ არის.

ერთ-ერთი თვითმხილველის თქმით, მის წინ მოულოდნელად შავი ქვიშის კედელი აღიმართა, ველარაფერს ხედავდა და წინ მიმავალ ავტომობილს დაეჯახა. „ამის აღწერა ძნელია, მსგავსი მანამდე არაფერი მენახა. ვფიქრობ, მომხდარის გასაანალიზებლად დრო მჭირდება. მე მგონია, რომ დღეს მეორედ დავიბადე" — ამბობს იგი.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

## 11 — 17 აპრილი

## ამინდის პროგნოზი



**სოხუმი**

11.04 წვიმა, დღისით — 8-9, ღამით — 4-5
12.04 წვიმა, დღისით — 8-9, ღამით — 4-5
13.04 მზე, წვიმა, დღისით — 9-10, ღამით — 1-2
14.04 წვიმა, დღისით — 15-16, ღამით — 5-6
15.04 წვიმა, დღისით — 10-11, ღამით — 6-7
16.04 მზე, ღრუბელი, დღისით — 18-19, ღამით — 12-13
17.04 მზე, დღისით — 22-23, ღამით — 14-15

**ზუგდიდი**

11.04 წვიმა, დღისით — 11-12, ღამით — 6-7
12.04 წვიმა, დღისით — 9-10, ღამით — 5-6
13.04 წვიმა, დღისით — 10-11, ღამით — 2-3
14.04 მზე, წვიმა, დღისით — 17-18, ღამით — 8-9
15.04 წვიმა, დღისით — 13-14, ღამით — 8-9
16.04 მზე, ღრუბელი, დღისით — 20-21, ღამით — 12-13
17.04 მზე, დღისით — 24-25, ღამით — 15-16

**ბათუმი**

11.04 წვიმა, დღისით — 10-11, ღამით — 6-7
12.04 წვიმა, დღისით — 6-7, ღამით — 2-3
13.04 წვიმა, დღისით — 7-8, ღამით — 3-4
14.04 მზე, ღრუბელი, დღისით — 15-16, ღამით — 8-9
15.04 წვიმა, დღისით — 13-14, ღამით — 8-9
16.04 მზე, ღრუბელი, დღისით — 17-18, ღამით — 14-15
17.04 მზე, დღისით — 21-22, ღამით — 15-16

**ქუთაისი**

11.04 წვიმა, დღისით — 12-13, ღამით — 7-8
12.04 წვიმა, დღისით — 10-11, ღამით — 5-6
13.04 წვიმა, დღისით — 10-11, ღამით — 2-3
14.04 მზე, ღრუბელი, დღისით — 17-18, ღამით — 10-11
15.04 წვიმა, დღისით — 15-16, ღამით — 10-11
16.04 მზე, ღრუბელი, დღისით — 20-21, ღამით — 12-13
17.04 მზე, დღისით — 24-25, ღამით — 15-16

**გორი**

11.04 მზე, ღრუბელი, დღისით — 11-12, ღამით — 5-6
12.04 წვიმა, დღისით — 9-10, ღამით — 3-4
13.04 წვიმა, დღისით — 6-7, ღამით — -2 -1
14.04 მზე, დღისით — 13-14, ღამით — 5-6
15.04 წვიმა, დღისით — 15-16, ღამით — 7-8
16.04 წვიმა, დღისით — 15-16, ღამით — 9-10
17.04 მზე, დღისით — 20-21, ღამით — 12-13

**თბილისი**

11.04 მზე, წვიმა, დღისით — 18-19, ღამით — 7-8
12.04 მზე, წვიმა, დღისით — 16-17, ღამით — 4-5
13.04 წვიმა, დღისით — 12-13, ღამით — 2-3
14.04 მზე, ღრუბელი, დღისით — 17-18, ღამით — 7-8
15.04 წვიმა, დღისით — 17-18, ღამით — 8-9
16.04 წვიმა, დღისით — 18-19, ღამით — 12-13
17.04 მზე, ღრუბელი, დღისით — 21-22, ღამით — 12-13

**გურჯაანი**

11.04 მზე, წვიმა, დღისით — 16-17, ღამით — 7-8
12.04 წვიმა, დღისით — 15-16, ღამით — 8-9
13.04 წვიმა, დღისით — 10-11, ღამით — 1-2
14.04 მზე, ღრუბელი, დღისით — 13-14, ღამით — 6-7
15.04 წვიმა, დღისით — 17-18, ღამით — 10-11
16.04 წვიმა, დღისით — 16-17, ღამით — 8-9
17.04 მზე, დღისით — 20-21, ღამით — 11-12

**მანგლისი**

11.04 მზე, ღრუბელი, დღისით — 15-16, ღამით — 5-6
12.04 წვიმა, დღისით — 12-13, ღამით — 2-3
13.04 წვიმა, დღისით — 8-9, ღამით — 0-1
14.04 მზე, ღრუბელი, დღისით — 13-14, ღამით — 5-6
15.04 წვიმა, დღისით — 13-14, ღამით — 6-7
16.04 წვიმა, დღისით — 14-15, ღამით — 8-9
17.04 მზე, ღრუბელი, დღისით — 17-18, ღამით — 10-11

**დმანისი**

11.04 მზე, ღრუბელი, დღისით — 13-15, ღამით — 3-4
12.04 წვიმა, დღისით — 10-11, ღამით — 0-1
13.04 წვიმა, დღისით — 6-7, ღამით — -2 -1
14.04 მზე, ღრუბელი, დღისით — 11-12, ღამით — 3-4
15.04 წვიმა, დღისით — 12-13, ღამით — 4-5
16.04 წვიმა, დღისით — 13-14, ღამით — 6-7
17.04 მზე, ღრუბელი, დღისით — 15-16, ღამით — 8-9

*გ.თ.*

# სკანვორდი



1. ...ნორისი; 2. სოფიკო ჭიაურელის სცენური სახე; 3. შინაური ცხოველი; 4. მდგომარე ანუ...; 5. ერთგვარი წვრილი ხმა სიმღერაში; 6. ლოდსატყორცნი მანქანა; 7. ლეილა აბაშიძის კინოროლი; 8. ნაგანი (კუთხურად); 9. სახლ-კარი ლათინურ ამერიკაში; 10. მაია ასათიანის ტელეშოუ; 11. სანელებელი; 12. ფრანგული ვაზის ჯიში; 13. დიდი ჩაქუჩი; 14. ახლო ნათესავი; 15. ბევრი ენის მცოდნე; 16. საჩიხიანი ქუდი; 17. სამკითხაო კარტი; 18. მარცვალთა რაოდენობაზე დაფუძნებული ლექსთწყობა; 19. ... თმოგველი; 20. ეკიპაჟის ერთობლივი მუშაობა გემზე; 21. „არჩევანის" მომდევნო სიტყვა; 22. ცხოველური უჯრედების ნივთიერება, რომელშიც სასიცოცხლო პროცესები მიმდინარეობს; 23. ... ჩოხელი; 24. ბატონი (ინგლისურად); 25. სატანვარჯიშო იარაღი; 26. მირეი ...; 27. ამერიკული მღრღნელი ცხოველი; 28. ქართული ტელეკომპანია; 29. ქალბატონი (ინგლისურად); 30. მდინარის ქვიანი ნაპირი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. კოკი; 2. ემუ; 3. მარტვილი; 4. ცა; 5. მოტოროლა; 6. გოია; 7. ბენფიკა; 10. ხალი; 11. ჰამილტონი; 12. საფიჩხია; 13. ბორა; 16. ქვისლი; 18. ენოლოგი; 19. ოპიუმი; 21. ტიბრი; 24. ნამჯა.

**თარაზულად:** 1. კალიოპე; 3. მარიცა; 8. ბოჟოლე; 9. კოხი; 14. ქლესა; 15. ჯოკერი; 17. ფოთი; 20. ლოლიტა; 22. ლანჩა; 23. ტოსკა; 25. ფხა; 26. სარი; 27. ალია; 28. მეუნარგია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. გეთი; 2. ლიბია; 3. ერატო; 4. შევრო; 5. კახიძე; 6. დეპოზიტი; 8. გრავიტაცია; 10. ვინჩესტერი; 11. კორსანტია; 14. ეფექტი; 15. გულაბი; 16. კიოტო.

**თარაზულად:** 1. გოგლიძე; 4. შოკოლადი; 7. თაობა; 9. ვოლვო; 12. ძეწკვი; 13. სასკო; 14. ასკილი; 17. ტალინი; 18. ელექტრონიკა; 19. სარბაზი; 20. კოპიჭი.

# რეგულარულის დასრულებამდე 1 ტური დარჩა

**საქართველოს ვაჟ კალათბურთელთა მე-29 ეროვნული ჩემპიონატის რეგულარული სეზონის დასრულებამდე 1 ტური დარჩა, მაგრამ ბევრი რამ უკვე ნათელია. გასარკვევი მხოლოდ ის დარჩა, თუ ვინ შეავსებს საპლეიოფო 7 გუნდს.**

### შსს — არმია 72:81
(26:11, 8:21, 22:29, 15:28

**შსს:** წივწივაძე (11), კოტონი (17), ლეჟავა (12), დ.ბარბაქაძე, ტუჯანი (1); ლაფანაშვილი, ნიკოლაძე, ი.ბერიშვილი (8), მარკოიშვილი (8), იმნაძე (8), შერმადინი (7)

**არმია:** ტუღუში (22), ბოისა (7), ბაბიაშვილი (18), საყვარელიძე (7), შარაბიძე (12ქ. 14მ.); ბაქრაძე (5), მინაშვილი (8), პირველაშვილი (2), ბ.ბერიშვილი

ამ გუნდების მატჩს მიმდინარე სეზონში განსაკუთრებული დატვირთვა აქვს და სპორტის სასახლე ყოველთვის გადაჭედილია. წინა მატჩებისგან განსხვავებით, ამჯერად, ტრიბუნები ბოლომდე არ შევსებულა, მაგრამ შეხვედრას მაინც ბევრი გულშემატკივარი დაესწრო და ბოლომდე შევსებას ცოტა დააკლდა. ქომაგთა შორის აშკარა იყო არმიელთა გულშემატკივრების უპირატესობა, რომლებიც მთელი შეხვედრის განმავლობაში თავის გუნდს თითქმის შეუსვენებლად ქომაგობდნენ და იქნებ მათი „ბრალის" არის, რომ „არმიამ" ბოლოს იძალა.

ამ სეზონში ეს გუნდები ორჯერ — პირველი წრესა და საქართველოს თასის ფინალში უკვე შეხვდნენ ერთმანეთს და ორივე მატჩი არმიელთა გამარჯვებით დასრულდა. ამიტომაც იყო, შსს ყველანაირად ცდილობდა, ერთხელ მაინც დაემარცხებინა მეტოქე, რადგან ამ სეზონში მათთან ჭიდილი შესაძლოა, აღარც მოუწიოთ.

შეხვედრა შსს-ს უპირატესობით დაიწყო, რაც ანგარიშშიც გამოიხატა. პირველი მეოთხედი შსს-მ 15 ქულის სხვაობით, 26:11 მოიგო და რევანშის აღებაზე სერიოზული განაცხადი გააკეთა.

მე-2 მეოთხედში სიტუაცია შეიცვალა. ზვიად ბაბიაშვილისა და ვახტანგ მინაშვილის აქტიური თამაშის შედეგად, უპირატესობას „არმია" დაეუფლა და ანგარიშში სხვაობა სამ ქულამდე (32:35) შეამცირა.

მართალია, მე-3 მეოთხედში გიორგი შარაბიძემ და გივი ბაქრაძემ ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე ორჯერ დაიყვანეს, მაგრამ შსს-მ მაინც შეძლო უპირატესობის შენარჩუნება.

შეხვედრის ბედი მე-4, დასკვნით მეოთხედში გადაწყდა. შსს-ს უპირატესობამ ათ ქულას (64:54) მიაღწია, მაგრამ ეროვნული ნაკრების წევრების, უკანახაზელების — კოტე ტუღუშისა და ანატოლი ბოისას აქტიური თამაშის შემდეგ, „არმიამ" ანგარიში ჯერ გაათანაბრა, შემდეგ კი სულაც დააწინაურდა და საბოლოოდ, 82:71 იმარჯვა.

ამ შეხვედრაში, ყველაზე მეტი — 22 ქულა კოტე ტუღუშმა დააგროვა. ორმაგი დუბლის ავტორი გახდა გიორგი შარაბიძე, რომლის ანგარიშზეც 12 ქულა და 14 მოხსნაა.

შსს-ს მხრიდან, ყველაზე მეტი — 17 ქულა, უკანახაზელმა, ტროი კოტონმა დააგროვა.

### სსაუ — ენერჯი ინვესტი 85:75
(24:14, 15:25, 23:18, 23:1§

**სსაუ:** არწივიძე (3), ნანიტაშვილი (1), ჩაჩანიძე (15), გემაზაშვილი (9), ხანიაშვილი (26); ტეტელაშვილი (3), ბააკაშვილი (5), სიგუა (9), მუმლაძე (14)

**ენერჯი:** აბაიშვილი (12), გივი ბერუაშვილი, მაჭავარიანი (12), გუგავა (18ქ. 12მ.), ლამუ (20ქ. 12მ.); თვარაძე, არაბული (10), აბულაძე (3)

სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, „ენერჯი ინვესტს" მეოთხედფინალში გასასვლელად გამარჯვება ჰაერივით სჭირდებოდა და უმოტივაციო სტუდენტებთან, რომელთაც მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი დაკარგული აქვთ, მიზნის მიღწევა არ უნდა გასჭირვებოდათ. ამის მიუხედავად, აგრარელებმა მაინც შეძლეს ქვემოქართლელთა დამარცხება — 85:75

ამ შეხვედრაში საუკეთესო იყო სსაუ-ს ფორვარდი გიორგი ხანიაშვილი, რომლის ანგარიშზეც 26 ქულაა. ქვემოქართლელთა მხრიდან, ორმაგი დუბლის ავტორები გახდნენ ცენტრალური თავდამსხმელები, სამუელ ლამუ (20ქ. 12მ.) და დავით გუგავა (18ქ. 12მ.), თუმცა, მარტო მათთმა მცდელობამ გასული სეზონის ჩემპიონი მარცხისგან მაინც ვერ იხსნა.



### ბათუმი — ქუთაისი 65:80
(29:26, 19:24, 24:15, 11:15

**ბათუმი:** ნინუა (1), მიქელაძე (5), სანაძე (19), კეშელავა (18), ყველაშვილი (15); რამიშვილი (5), ელიაშვილი (2), სიხარულიძე

**ქუთაისი:** კვიმსაძე (16), ცეკვავა (4), დიდია (14), გ.ბარბაქაძე (31ქ. 12მ.), ბოლქვაძე (4); ბაბუნაშვილი, ლომინაშვილი (4), ბ.კოლუაშვილი (5), ქორიძე (2)

8 საუკეთესო გუნდს შორის მოსახვედრად იბრძვის „ბათუმი", რომელიც საკუთარ მოედანზე „ქუთაისს" მასპინძლობდა. რაც შეეხებათ ქუთათურებს, მათი მიზანი რეგულარულ ჩემპიონატში მე-3 ადგილის დაკავება იყო და ეს ამოცანა წარმატებით გადაჭრეს — მეტოქე 80:65 დაამარცხეს და მე-3 ადგილი ვადაზე ადრე გაინაღდეს.

მართალია, ბოლო ტურში მათი დაწევის შანსი შსს-სა აქვს, მაგრამ თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, პირად შეხვედრებში მეტოქესთან უპირატესობა გააჩნია.

ამ შეხვედრაში საუკეთესო იყო სტუმართა ფორვარდი, გიორგი ბარბაქაძე, რომელმაც 31 ქულითა და 12 მოხსნით ორმაგი დუბლი შეასრულა.

მასპინძელთაგან თავი ფორვარდმა დუდა სანაძემ გამოიჩინა, რომლის ანგარიშზეც 19 ქულაა.

### თსსუ — სოხუმი 71:75
(18:1§, 21:29, 17:17, 13:18

**თსსუ:** როჯერსი (8), ფაიქრიძე, ჭოჭუა (19), ბექაური (10), დვალიშვილი (11ქ. 13მ.); გულისაბედაშვილი (8), ჩაჩიბაია (3), როდუმტა (12)

**სოხუმი:** ჰარისი (18), ფარლალავა (20), კვეტენაძე, კანკია (5), რ.დამუსი (8); შანიძე (14), სორდია (3), კ.დამუსი (7)

მატჩი უაღრესად დაძაბული გამოდგა. მართალია, თავიდან სტუდენტები დაწინაურდნენ, მაგრამ ზღვისპირელებმა შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა და საბოლოოდ, 4 ქულის სხვაობით — 75:71 გაიმარჯვეს.

ამ შეხვედრაში საუკეთესო იყო „სოხუმის" უკანახაზელი ლაშა ფარლალავა, რომლის ანგარიშზეც 20 ქულაა.

სტუდენტების მხრიდან, თავი მიხეილ ჭოჭუამ გამოიჩინა, რომელმაც 19 ქულა დააგროვა. ორმაგი დუბლის ავტორი გახდა ჭოჭუას თანაგუნდელი აკაკი დვალიშვილი, რომლის ანგარიშზეც 11 ქულა და 13 მოხსნაა.

### დინამო — სტუ 65:97
(11:22, 23:29, 14:27, 1§:2§

**დინამო:** ეძგვერაძე (2), ივანეიშვილი (5), თვაური (2), გ.კოლუაშვილი (14), თავამაიშვილი (7); პატარაია (11), გლუნჩაძე (2), შალიკიანი (5), ცაგარეიშვილი (2), ალხანაიძე (5), გულდედავა (4), ჩაველაშვილი (6)

**სტუ:** ჩიკვილაძე (31), გასიტაშვილი (5), ლომოური (14), ლაშქარაძე (5), ახალკაცი (10); ჭოხონელიძე (4), ვ.ბერუაშვილი (15), თევზაძე (2), კობიძე (5), ჯანგველაძე (2), მჭედლიშვილი (4)

ყველაზე ადვილად პროგნოზირებადი მატჩი ტურში და ასეც მოხდა. სტუ-მ დიდი ანგარიშით იმარჯვა და საუკეთესო 8 გუნდში მოხვედრის შანსი შეინარჩუნა.

როგორც ყოველთვის სტუდენტთაგან საუკეთესო ბექა ჩიკვილაძე იყო, რომელმაც გუნდს 31 ქულა შესძინა, დინამოელთაგან კი 14 ქულით გიორგი კოლუაშვილი გამოირჩა.

**სატურნირო მდგომარეობა:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.არმია | 19 | 17 | 21664:1301 | 36 |
| 2.თსუ | 19 | 16 | 31787:1527 | 35 |
| 3.ქუთაისი | 18 | 14 | 51547:1378 | 33 |
| 4.შსს | 19 | 13 | 61663:1451 | 32 |
| 5.სოხუმი | 19 | 12 | 71549:1415 | 31 |
| 6.თსსუ | 19 | 7 | 121414:1405 | 26 |
| 7.ენერჯი | 19 | 7 | 121331:1455 | 26 |
| 8.სტუ | 19 | 6 | 131514:1627 | 25 |
| 9.ბათუმი | 19 | 6 | 131456:1576 | 25 |
| 10.სსაუ | 19 | 5 | 141348:1574 | 24 |
| 11.დინამო | 20 | 2 | 181367:1931 | 22 |

# საქართველო მომავალი მეტოქეების შესახებ ივლისის ბოლოს გაიგებს

ფიფამ მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო და 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპების წილისყრა ოცდაათ ივლისს ბრაზილიაში, კერძოდ კი, რიო-დე-ჟანეიროში, გაიმართება. როგორც წესი, აქამდე სულ ზამთარში ტარდებოდა წილისყრა და რატომ გადაწყვიტა ფიფა-მ ასე ნაადრევად ჩატარება, ამის ახსნისთვის თავი დიდად არ მოუკლავს.

ასეა თუ ისე, საქართველოს ნაკრები ოცდაათ ივლისს შეიტყობს მუნდიალის შესარჩევში ჯგუფის მეტოქეებს.

სამაგიეროდ, საინტერესოა ის ფაქტი, რომ ევროპის ზონაში მუნდიალის შესარჩევის წილისყრაზე, კალათები 13 აპრილს, ფიფა-ს რეიტინგის მიხედვით გადანაწილდება და ამ ეტაპზე ჩანს, რომ საქართველო, სავარაუდოდ, მე-4 კალათაში მოხვდება (სულ 6 კალათაა). სადღეისოდ (ანუ, მარტის რეიტინგით), საქართველოს ნაკრები ევროპაში 36-ე პოზიციაზეა და 27-ეულში თუ მოხვდა, მაშინ მე-3 კალათა გარანტირებულია. მე-5 კალათაში დაქვეითება გამორიცხულია, რადგან მარტში ხორვატიასთან მოგება და ისრაელთან მარცხი „ჯვაროსნებს" რამდენიმე საფეხურით დააწინაურებდა. თუმცა, უდიდესი ალბათობით, 27-ე ადგილამდე ვერ ააღწევდა და ამიტომაც, საქართველო მე-4 კალათაში იქნება.

წარმოგიდგენთ კალათებს 9 მარტის რეიტინგის მიხედვით, რომელიც, რა თქმა უნდა, საკმაოდ სახეშეცვლილი იქნება:

**პირველი კალათა:** ესპანეთი, ჰოლანდია, გერმანია, ინგლისი, ხორვატია, პორტუგალია, საბერძნეთი, იტალია, ნორვეგია.

**მეორე კალათა:** რუსეთი, სლოვენია, საფრანგეთი, სერბეთი, სლოვაკეთი, შვეიცარია, ჩერნოგორია, დანია, შვედეთი.

**მესამე კალათა:** ჩეხეთი, თურქეთი, უკრაინა, ირლანდია, უნგრეთი, ბელარუსი, ჩრდილოეთ ირლანდია, ბულგარეთი, შოტლანდია.

**მეოთხე კალათა:** რუმინეთი, ლიტვა, ბოსნია, ისრაელი, ავსტრია, ბელგია, სომხეთი, პოლონეთი, საქართველო.

**მეხუთე კალათა:** ალბანეთი, ლატვია, ფინეთი, ესტონეთი, მაკედონია, მოლდოვა, კვიპროსი, აზერბაიჯანი, ისლანდია.

**მეექვსე კალათა:** უელსი, ლუქსემბურგი, ყაზახეთი, ფარერები, ლიხტენშტაინი, მალტა, ანდორა, სან-მარინო.

ევროპას 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე 13 ადგილი აქვს. 53 ნაკრები 9 ჯგუფად გადანაწილდება (8 ექვსგუნდიანი და ერთი ხუთგუნდიანი), პირველადგილოსნები პირდაპირ აიღებენ ბრაზილიის საგზურს, 9 მეორეადგილოსნიდან 8 საუკეთესო კი შინ-სტუმრად მატჩებით გაარკვევს დანარჩენ ოთხ ადგილს, ანუ მეორეადგილოსნებიდან უარესი მაჩვენებლის მქონე ნაკრები უშანსოდ რჩება. სწორედ ასეთი სისტემა იყო მუნდიალ-2010-ის შესარჩევში.

უკვე გაირკვა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი ცამეტ ივნისს დაიწყება და ცამეტ ივლისს დასრულდება. აქვე გეტყვით, თუ როგორ

გაგრძელება მე-15 გვერდზე

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ვულვზი-ევერტონი ........ 0:3
ბლექბერნი-ბირმინგემი ........ 1:1
ბოლტონი-ვესტ ჰემი ........ 3:0
მანჩესტერი-ფულემი ........ 2:0
სანდერლენდი-ვესტ ბრომვიჩი ........ 2:3
ტოტენჰემი-სტოკი ........ 3:2
ჩელსი-უიგანი ........ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 32 | 20 | 9 | 3 | 70:32 | 69 |
| 2.არსენალი | 30 | 17 | 8 | 5 | 59:29 | 59 |
| 3.ჩელსი | 31 | 17 | 7 | 7 | 55:25 | 58 |
| 4.სიტი | 31 | 16 | 8 | 7 | 50:27 | 56 |
| 5.ტოტენჰემი | 31 | 14 | 11 | 6 | 44:36 | 53 |
| 6.ლივერპული | 31 | 13 | 6 | 12 | 42:38 | 45 |
| 7.ევერტონი | 33 | 10 | 14 | 8 | 45:41 | 44 |
| 8.ბოლტონი | 32 | 11 | 10 | 11 | 46:43 | 43 |
| 9.ნიუკასლი | 31 | 10 | 9 | 12 | 48:46 | 39 |
| 10.ვესტ ბრომ. | 32 | 10 | 9 | 13 | 46:59 | 39 |
| 11.ფულემი | 32 | 8 | 14 | 10 | 36:36 | 38 |
| 12.სტოკი | 32 | 11 | 5 | 16 | 39:42 | 38 |
| 13.სანდერლ. | 33 | 9 | 11 | 13 | 37:48 | 38 |
| 14.ბირმინგემი | 30 | 7 | 14 | 9 | 30:41 | 35 |
| 15.ბლექბერნი | 32 | 9 | 8 | 15 | 40:52 | 35 |
| 16.ას. ვილა | 31 | 8 | 10 | 13 | 39:53 | 34 |
| 17.ბლექპული | 31 | 9 | 6 | 16 | 45:63 | 33 |
| 18.ვესტ ჰემი | 32 | 7 | 11 | 14 | 38:56 | 32 |
| 19.ვულვზი | 32 | 9 | 5 | 18 | 36:56 | 32 |
| 20.უიგანი | 31 | 6 | 13 | 12 | 29:49 | 31 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბარნსლი-ბრისტოლი ........ 4:2
დერბი-ქოვენთრი ........ 2:2
დონკასტერი-კარდიფი ........ 1:3
იფსვიჩი-კრ.პალასი ........ 2:1
ლესტერი-ბარნლი ........ 4:0
მილუოლი-ლიდსი ........ 3:2
სკანთორპი-ქპრ ........ 4:1
უოტფორდი-ჰალი ........ 1:2
შეფილდი-მიდლსბრო ........ 1:2
სუონსი-ნორვიჩი ........ 3:0

**იტალია-სერია ა**

ინტერი-კიევო ........ 2:0
უდინეზე-რომა ........ 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 31 | 19 | 8 | 4 | 54:22 | 65 |
| 2.ინტერი | 32 | 19 | 6 | 7 | 58:35 | 63 |
| 3.ნაპოლი | 31 | 19 | 5 | 7 | 50:30 | 62 |
| 4.უდინეზე | 32 | 17 | 5 | 10 | 57:34 | 56 |
| 5.ლაციო | 31 | 16 | 6 | 9 | 39:29 | 54 |
| 6.რომა | 32 | 15 | 8 | 9 | 49:44 | 53 |
| 7.იუვენტუსი | 31 | 13 | 9 | 9 | 47:38 | 48 |
| 8.პალერმო | 31 | 13 | 4 | 14 | 45:50 | 43 |
| 9.ფიორენტინა | 31 | 10 | 12 | 9 | 37:33 | 42 |
| 10.კალიარი | 31 | 12 | 6 | 13 | 37:36 | 42 |
| 11.ბოლონია | 31 | 11 | 10 | 10 | 34:40 | 40 |
| 12.ჯენოა | 31 | 10 | 9 | 12 | 29:34 | 39 |
| 13.კიევო | 32 | 8 | 12 | 12 | 30:34 | 36 |
| 14.კატანია | 31 | 9 | 8 | 14 | 29:40 | 35 |
| 15.პარმა | 31 | 7 | 11 | 13 | 30:43 | 32 |
| 16.სამპდორია | 31 | 7 | 11 | 13 | 25:34 | 32 |
| 17.ლეჩე | 31 | 8 | 7 | 16 | 33:52 | 31 |
| 18.ჩეზენა | 31 | 7 | 7 | 15 | 27:43 | 30 |
| 19.ბრეშა | 31 | 7 | 8 | 16 | 27:39 | 29 |
| 20.ბარი | 31 | 4 | 8 | 19 | 19:46 | 20 |

*ბოლონიას დაკლებული აქვს 3 ქულა*

**იტალია. სერია ბ**

ალბინოლეფე-ტორინო ........ 1:2
ასკოლი-სასუოლო ........ 0:0
ვარეზე-გროსეტო ........ 3:1
კროტონე-ფროსინონე ........ 4:1
პადოვა-პორტოგრუარო ........ 3:1
პიაჩენცა-პესკარა ........ 0:2
რეჯინა-ჩიტადელა ........ 0:1
სიენა-ვიჩენცა ........ 2:0
ტრიესტინა-ლივორნო ........ 0:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ბილბაო-რეალი ........ 0:3
მალიორკა-სევილია ........ 2:2
ბარსელონა-ალმერია ........ 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 31 | 27 | 3 | 1 | 85:16 | 84 |
| 2.რეალი | 31 | 24 | 4 | 3 | 72:22 | 76 |
| 3.ვალენსია | 30 | 17 | 6 | 7 | 46:35 | 57 |
| 4.ვილიარეალი | 30 | 16 | 6 | 8 | 48:31 | 54 |
| 5.სევილია | 31 | 13 | 7 | 11 | 48:46 | 46 |
| 6.ბილბაო | 31 | 14 | 3 | 14 | 47:45 | 45 |
| 7.ესპანიოლი | 30 | 14 | 1 | 15 | 38:43 | 43 |
| 8.ატლეტიკო | 30 | 12 | 6 | 12 | 45:41 | 42 |
| 9.მალიორკა | 31 | 11 | 6 | 14 | 33:42 | 39 |
| 10.ლევანტე | 30 | 11 | 5 | 14 | 33:40 | 38 |
| 11.ოსასუნა | 30 | 9 | 8 | 13 | 36:36 | 35 |
| 12.ხიხონი | 30 | 8 | 11 | 11 | 28:35 | 35 |
| 13.სოსიედადი | 30 | 11 | 2 | 17 | 40:51 | 35 |
| 14.ხეტაფე | 30 | 9 | 7 | 14 | 41:49 | 34 |
| 15.დეპორტივო | 30 | 8 | 10 | 12 | 25:40 | 34 |
| 16.რასინგი | 30 | 9 | 9 | 12 | 30:44 | 33 |
| 17.სარაგოსა | 30 | 7 | 9 | 14 | 29:43 | 30 |
| 18.მალაგა | 30 | 8 | 5 | 17 | 39:62 | 29 |
| 19.ერკულესი | 30 | 8 | 5 | 17 | 28:48 | 29 |
| 20.ალმერია | 31 | 5 | 11 | 15 | 32:54 | 26 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

სელტა-ვალიადოლიდი ........ 1:2
კარტახენა-უელვა ........ 1:3
რაიო-ალბასეტე ........ 3:3
ტენერიფე-უესკა ........ 0:1
ელჩე-ტარაგონა ........ 1:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ჰამბურგი-დორტმუნდი ........ 1:1
ჰანოვერი-მაინცი ........ 2:0
ნიურნბერგი-ბაიერნი ........ 1:1
შტუტგარტი-კაიზერი ........ 2:4
სალკე-ვოლფსბურგი ........ 1:0
ფრაიბურგი-ჰოფენჰაიმი ........ 3:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 29 | 20 | 6 | 3 | 59:18 | 66 |
| 2.ლევერკუზ. | 28 | 17 | 7 | 4 | 57:34 | 58 |
| 3.ჰანოვერი | 29 | 17 | 2 | 10 | 42:40 | 53 |
| 4.ბაიერნი | 29 | 15 | 7 | 7 | 61:35 | 52 |
| 5.მაინცი | 29 | 14 | 3 | 12 | 43:37 | 45 |
| 6.ნიურნბერგი | 29 | 12 | 7 | 10 | 43:38 | 43 |
| 7.ჰამბურგი | 29 | 12 | 6 | 11 | 44:45 | 42 |
| 8.ფრაიბურგი | 29 | 12 | 5 | 12 | 38:41 | 41 |
| 9.შალკე | 29 | 11 | 6 | 12 | 34:33 | 39 |
| 10.ჰოფენჰაიმი | 29 | 9 | 10 | 10 | 44:42 | 37 |
| 11.კიოლნი | 28 | 9 | 5 | 13 | 38:49 | 35 |
| 12.კაიზერი | 29 | 9 | 7 | 13 | 40:46 | 34 |
| 13.ვერდერი | 29 | 8 | 10 | 11 | 39:55 | 34 |
| 14.აინტრახტი | 29 | 9 | 6 | 14 | 29:39 | 33 |
| 15.შტუტგარ. | 29 | 8 | 6 | 15 | 49:54 | 30 |
| 16.ვოლფსბურ. | 29 | 6 | 10 | 13 | 32:42 | 28 |
| 17.ზ. პაული | 28 | 8 | 4 | 16 | 29:49 | 28 |
| 18.გლადბახი | 28 | 6 | 5 | 17 | 38:62 | 23 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

მიუნხენ 1860-კოტბუსი ........ 4:0
ობერჰაუზენი-ფორტუნა ........ 1:2

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ბორდო-არლე ........ 0:0
ვალანსიენი-ნანსი ........ 1:1
კაენი-პსჟ ........ 1:2
ლორიენი-სოშო ........ 1:1
მონაკო-ლილი ........ 1:0
ბრესტი-რენი ........ 2:0
ოსერი-სენტ ეტიენი ........ 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლილი | 30 | 16 | 10 | 4 | 52:29 | 58 |
| 2.მარსელი | 29 | 15 | 9 | 5 | 42:24 | 54 |
| 3.რენი | 30 | 14 | 9 | 7 | 32:23 | 51 |
| 4.ლიონი | 29 | 13 | 11 | 5 | 49:28 | 50 |
| 5.პსჟ | 30 | 13 | 10 | 7 | 44:31 | 49 |
| 6.მონპელიე | 29 | 11 | 9 | 9 | 25:30 | 42 |
| 7.სტ.ეტიენი | 30 | 10 | 11 | 9 | 38:36 | 41 |
| 8.ბორდო | 30 | 9 | 13 | 8 | 37:34 | 40 |
| 9.ლორიანი | 30 | 10 | 10 | 10 | 36:35 | 40 |
| 10.სოშო | 30 | 11 | 6 | 13 | 43:37 | 39 |
| 11.ბრესტი | 30 | 10 | 8 | 12 | 31:34 | 38 |
| 12.ნანსი | 30 | 10 | 7 | 13 | 31:42 | 37 |
| 13.ტულუზა | 29 | 11 | 4 | 14 | 29:31 | 37 |
| 14.მონაკო | 30 | 7 | 14 | 9 | 29:29 | 35 |
| 15.კაენი | 30 | 9 | 8 | 13 | 33:43 | 35 |
| 16.ნიცა | 29 | 8 | 11 | 10 | 21:30 | 35 |
| 17.ვალანსიენი | 30 | 7 | 14 | 9 | 35:33 | 35 |
| 18.ოსერი | 30 | 6 | 16 | 8 | 34:36 | 34 |
| 19.ლანსი | 29 | 6 | 10 | 13 | 28:43 | 28 |
| 20.არლე | 30 | 1 | 10 | 19 | 16:57 | 13 |

**ჰოლანდია. ეკრედივიზიონი**

ვენლო-ნაიმეგენი ........ 1:4
დენ ჰააგი-ვიტესი ........ 1:0
ექსელსიორი-გრააფსხაპი ........ 0:0
ტილბურგი-ერაკლესი ........ 2:6

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ტვენტე | 29 | 19 | 6 | 4 | 56:28 | 63 |
| 2.პსვ | 29 | 18 | 7 | 4 | 72:28 | 61 |
| 3.აიაქსი | 29 | 17 | 7 | 5 | 59:26 | 58 |
| 4.დენ ჰააგი | 30 | 16 | 6 | 8 | 59:43 | 54 |
| 5.ალკმაარი | 30 | 15 | 8 | 7 | 45:35 | 53 |
| 6.გრონინგენი | 29 | 15 | 5 | 9 | 57:45 | 50 |
| 7.როდა | 29 | 12 | 11 | 6 | 54:41 | 48 |
| 8.უტრეხტი | 29 | 11 | 8 | 10 | 45:38 | 41 |
| 9.ერაკლესი | 30 | 11 | 7 | 12 | 58:53 | 40 |
| 10.ნაიმეგენი | 30 | 9 | 12 | 9 | 49:50 | 39 |
| 11.ბრედა | 30 | 11 | 5 | 14 | 40:51 | 37 |
| 12.ჰერენვენი | 29 | 9 | 8 | 12 | 52:48 | 35 |
| 13.ფეინოორდი | 29 | 9 | 7 | 13 | 37:48 | 34 |
| 14.გრააფსხაპი | 30 | 8 | 10 | 12 | 28:48 | 34 |
| 15.ვიტესი | 30 | 8 | 8 | 14 | 36:50 | 32 |
| 16.ექსელსიორი | 30 | 7 | 5 | 18 | 35:59 | 26 |
| 17.ვენლო | 30 | 5 | 2 | 23 | 27:66 | 17 |

# მორაგბეებმა სეზონი დაიწყეს

### ლოკომოტივი — არმია 26:16

**ლოკომოტივი:** კობერიძე, კავთიძე, ბერძენიშვილი, ხაჩირაშვილი (ხუციშვილი), ჟამუტაშვილი, კვინიხიძე, ღვინჯილია; ელოშვილი, ზარიძე, ვეფხვაძე, ოზგებაშვილი (გუნიავა), გუჯარაიძე, ნიშნიანიძე, ჩიტიძე, ბერიშვილი.

**4 ლელო:** ჩიტიძე (3), ვეფხვაძე

**3 რეალიზაცია:** კვინიხიძე

**არმია:** ბაირამაშვილი, ხარაზიშვილი, ნუცუბიძე (ზაბახიძე), ნადარეიშვილი, კალმახელიძე, ელიზბარაშვილი, სამხარაძე; ნატრიაშვილი, ბრეგვაძე, შენგელია (ქორიძე), ჟღენტი, ცხადაძე (კაკოვინი), გურჩაძე (კობახიძე), ბიწაძე, დარასელია.

**1 ლელო:** ცხადაძე

**1 რეალიზაცია:** ნუცუბიძე

**3 ჯარიმა:** ნუცუბიძე

ამ გუნდების ჯახი ერთი კვირის წინ საქართველოს თასის მეოთხედფინალში დაიწყო და საქართველოს ჩემპიონატის პირველ ტურში გაგრძელდა. თუ სათასო მატჩში „არმიამ" 11:9 იმარჯვა, ამჯერად, საქართველოს ჩემპიონმა უფრო მეტად მონდომა, ნაკლები შეცდომა დაუშვა და 26:16 იმარჯვა.

მატჩი ახლაც საინტერესოდ წარიმართა. ანგარიში „არმიამ" გახსნა — კალმახელიძემ კონტრშეტევა თავისი ნახევრიდან წამოიწყო, მას მხარი დარასელიამ აუბა, „ლოკომოტივმა" მეტოქის იერიში ჩათვლის მოედნიდან ორიოდე მეტრში შეაჩერა, მაგრამ დაჯარიმდა და ნუცუბიძემ ზუსტად დაარტყა. მალე ჩემპიონმა ცენტრის სიახლოვეს დანიშნული ჯარიმა აუტში გაიტანა, საკუთარი მოწოდება მოიგო, რამდენიმე დარტყმა განახორციელა და ჩიტიძემ ჩათვლის მოედნის ხაზი გადაკვეთა — 5:3. კვინიხიძეს გარდასახვა გაუფუჭდა.

ორიდე წუთში „არმიამ" კარგი იერიში განახორციელა. ბურთი ჯერ მარჯვენა ფრთაზე გათამაშდა, შემდეგ ხარაზიშვილმა ხაზი ლამაზად გაჭრა, რომელიც რის ვაი-ვაგლახით შეაჩერეს, მაგრამ იერიშის მიმართულებამ მარცხენა ფლანგზე გადაინაცვლა და ცხადაძემ ლელო გაიტანა, ნუცუბიძემ კი რეალიზაცია გამოიყენა.

ამის შემდეგ, ბურთი „ლოკომოტივმა" იგდო ხელთ და მეტოქის 22-ში დამკვიდრდა. თავიდან „არმიამ" გაძლო, მაგრამ მერე მცველებს ენერგია გამოეცალათ, ელოშვილმა ხაზი გაჭრა და თითქოს ლელოც უნდა გასულიყო, მაგრამ შეაჩერეს. შეტევაში ვეფხვაძე ჩაერთო და არმიელებმა მისი იერიში ველარ მოიგერიეს, კვინიხიძემ კი, გარდასახვა ზუსტად შეასრულა და „ლოკომოტივი" დააწინაურა. შესვენებამდე სამიოდე წუთი რჩებოდა, როცა „არმიამ"□ ბურთის მეტოქის ნახევარზე შეკავება მოახერხა, მეტოქე აიძულა დაჯარიმებულიყო და ნუცუბიძემ ჯარიმით, ზედ შესვენების წინ, „არმია" დააწინაურა — 13:12.

მე-2 ტაიმი კურიოზულად დაიწყო — აუტში გადატანილი ბურთი „დაიკარგა" და თამაში დაახლოებით 10 წუთი შეწყდა. მორაგბეები რომ არ გაციებულიყვნენ, ვარჯიშს შეუდგნენ, მერე ბურთებიც გამოჩნდა და თამაში განახლდა.

მე-2 ნახევრის დაახლოებით თხუთმეტმა წუთმა ლოკომოტიველთა ნახევარზე ჩაიარა და ისინი ორჯერ დაჯარიმდნენ. პირველ ჯერზე ნუცუბიძეს მიზანმა უმტყუნა, მაგრამ მეორე მცდელობა ზუსტი აღმოჩნდა და „არმია" 16:12 დაწინაურდა.

ეს იყო და ეს — ამის შემდეგ „ლოკომოტივი" თამაშს სრულად აკონტროლებდა. მართალია, რამდენიმე შეცდომა დაუშვეს, მაგრამ მეტოქემ ამით ვერ ისარგებლა.„ლოკომოტივი" საკუთარ თუ მეტოქის დერეფნებს ერთმანეთის მიყოლებით იგებდა და იერიშებს განაგრძობდა. „არმია" შეტევებს მხოლოდ ჯარიმის ხარჯზე აჩერებდა და მსაჯმაც, 67-ე წუთზე, ბიძინა სამხარაძეს ყვითელი ბარათი უჩვენა. 10 წუთით კაცნაკლულად დარჩენილმა არმიელებმა, მეტოქის მიძალებას ველარ გაუძლეს, 73-ე წუთზე გატყდნენ და რამდენიმე მოკლე დარტყმის შემდეგ, ჩიტიძემ თავისი მეორე ლელო გაიტანა, რითაც „ლოკომოტივი" დაწინაურდა, კვინიხიძე კი ზუსტი რეალიზაციით ეს უპირატესობა სამ ქულამდე გაზარდა. სანამ მეტოქის შემადგენლობა შეივსებოდა, „ლოკომოტივმა" კიდევ ერთი სწრაფი შეტევის განხორციელება მოასწრო, ასეთ ტემპში ვერავინ დაინახა, ჩიტიძემ რაქიდან თავისუფალი ბურთი როგორ აიტაცა, ხაზი გაჭრა და სეზონის პირველი ჰეთ თრიქი შეასრულა. კვინიხიძის რეალიზაცია ამჯერადაც ზუსტი იყო — 26:16.

დარჩენილ დროში „არმიამ" გაიბრძოლა, მეტოქე, გუნიავას სინბინის შემდეგ კაცნაკლული დარჩა, მაგრამ შეტევა შედეგიანი არ აღმოჩნდა და ჩემპიონმა პირველი გამარჯვება მოიპოვა.

### ლელო — არმაზი 36:12

**ლელო:** ყიასაშვილი, ჯოგლიძე (გო.ჭინჭარაული), კორკელია, ანდღულაძე (ლომინაძე), გუგავა, ხმალაძე, კაჭარავა (გი.ჭინჭარაული); სანიკიძე (კვერნაძე), გაბელია, სუჯაშვილი (პატარაია), აზალაძე, ქოიავა (სურგულაძე), მძინარიშვილი, დაუშვილი, სარდანაშვილი (ხორბალაძე)

**6 ლელო:** გუგავა (2), კაჭარავა, კორკელია, მძინარიშვილი, გიორგი ჭინჭარაული

**3 რეალიზაცია:** ყიასაშვილი

**არმაზი:** კოტორაშვილი, გაბროშვილი, კაიფაჯიანი, მჟავანაძე (ჩხაიძე), ხუციშვილი, კიკნაძე, მისრიაშვილი; ბუკია, სოსელია, ესართია, ჭელიძე (თაგაური), ბაბალაშვილი (ჯიშკარიანი), კანდელაკი, მინაშვილი, რამიშვილი (ჩომახაშვილი).

დედაქალაქურ დერბიში საქართველოს თასის მფლობელმა „ლელომ" „არმაზს" უმასპინძლა და დამაჯერებლადაც მოიგო.

„ლელომ" მეტოქეს ყველა კომპონენტში აჯობა და მეტოქეც იოლად დაამარცხა. „ლელომ" გაშლილი, კომბინაციაზე აგებული რაგბი ითამაშა და მიმდინარე ჩემპიონატის პირველი ლელო მე-6 წუთზე ლექსო გუგავამ გაიტანა. რეალიზაცია არაზუსტი აღმოჩნდა, მაგრამ ნომინალურმა მასპინძლებმა იერიშები განაგრძეს და ხუთ წუთში ლელო გიორგი კაჭარავამ მიითვალა, რასაც ირაკლი ყიასაშვილმა ზუსტი რეალიზაცია მიაყოლა. 27-ე წუთზე, თავი „ლელოს" კიდევ ერთმა უკანახაზელმა, გიგა კორკელიამ გამოიჩინა და ყიასაშვილის გარდასახვა ახლაც ზუსტი აღმოჩნდა. დაცვაში ჩამჯდარ „არმაზს" კონტრშეტევის შანსი ტაიმის ბოლოსლა მიეცა, მაგრამ არასწორი გადაწყვეტილების გამო, ის ლოგიკურ დასასრულამდე არ მივიდა, ტაიმის ბოლო წუთზე კი, „ლელომ" თავისი მე-4 ლელო გაიტანა. ეროვნული ნაკრების უკანახაზელმა გუგავამ პირველი დუბლი მიითვალა, რეალიზაცია არაზუსტი აღმოჩნდა და ტაიმი 24:0 დასრულდა.

მე-2 ნახევრის დასაწყისში, „არმაზმა" სიტუაციის შეცვლა სცადა და დაახლოებით, 10-15 წუთი მეტოქის ნახევარზე გაატარა, ოღონდ საქმე გართულებებამდე არ მისულა. ერთი ეგ იყო, „ლელოს" გოდერძი ჯოგლიძე დაემტვრა, რომელიც სახიფათო გარღვევებით გამოირჩეოდა და შესაცვლელი გახდა.

ტაიმის შუაწელს ლელოელებმა უპირატესობა დაიბრუნეს, მეტოქის აუტი მოიგეს, მოლით შეუტიეს და ვახტანგ მძინარიშვილმა ლელო მიითვალა, ყიასაშვილმა კი რეალიზაცია გამოიყენა.

შეხვედრის დასრულებამდე ხუთ წუთზე ოდნავ მეტი რჩებოდა, როდესაც „ლელომ" შერკინებიდან მოკლე ფრთაზე შეუტია, ხორბალაძემ გიორგი ჭინჭარაულთან გაითამაშა და ალამთან მე-6 ლელო დაიდო. რეალიზაცია არაზუსტი იყო და ანგარიში 36:0 დარჩა.

ამის შემდეგ „ლელო" მოეშვა, „არმაზმა" მიცემული შანსით ისარგებლა და იერიშებზე გადავიდა. ახლა მან შეუტია მოლით და ჯგუფური ლელო გაიტანა, რასაც კიკნაძის რეალიზაცია მოჰყვა. არმაზელებმა ანგარიშის შელამაზების შანსი იგრძნეს, რის შედეგადაც, თაგაურმა გამოიჩინა თავი, ხაზი გაჭრა და თავისი გუნდის მეორე ლელო გაიტანა. კიკნაძის გარდასახვა ამჯერად არაზუსტი იყო და თამაშიც „ლელომ" 36:12 მოიგო.

ამავე დღეს, „შევარდენის" სანაკრებო ბაზაზე, „ყოჩებმა" „აკადემიას" უმასპინძლა. ამ გუნდებს შორის გამართული თასის მეოთხედფინალური შეხვედრა ფრედ, 9:9 დასრულდა და „ყოჩები" ნახევარფინალში მხოლოდ უკეთესი სარეიტინგო მდგომარეობის გამო გავიდა. აკადემიელებმა ამჯერად უკეთ ითამაშეს, მეტოქე 19:15 დაამარცხეს და ერთი კვირის წინანდლისთვის შური იძიეს.

ქუთაისის „აიამ" რუსთავის „ხარებს" ამჯერად ფოთში უმასპინძლა და ერთი კვირის წინანდელზე მოკრძალებული ანგარიშით დაამარცხა — 35:0 (ერთი კვირის წინათ, „აიამ" ვანში 50:0 იმარჯვა).

# საქართველო მომავალი მეტოქეების შესახებ ივლისის ბოლოს გაიგებს

დასაწყისი მე-14 გვერდზე

ნაწილდება საგზურები 2014 წლის მუნდიალზე, კონტინენტების მიხედვით:

**ევროპა** — 13 ადგილი;

**სამხრეთ ამერიკა** — 5 ადგილი (მათ შორის, ბრაზილია). ანუ, სამხრეთ ამერიკის მე-6 გუნდი ჩრდილოეთ ამერიკის მე-4 გუნდს შეხვდება შინ-სტუმრად;

**აფრიკა** — 5 ადგილი;

**ჩრდილოეთ ამერიკა** — 3 ადგილი პლუს 1. ჩრდილოეთ ამერიკის მე-4 გუნდი სამხრეთ ამერიკის მე-6 გუნდს შეხვდება;

**აზია** — 4 ადგილი პლუს 1. აზიის მე-5 გუნდი ოკეანიის ზონის გამარჯვებულს შეხვდება;

**ოკეანია** — 0 პდუს 1. ანუ, ოკეანიის ზონიდან პირდაპირ მსოფლიოზე ვერავინ გადის. გამარჯვებული აზიის მე-5 გუნდს შეხვდება;

წინასწარი ინფორმაციით, ჩემპიონატი ბრაზილიის 12 ქალაქში ჩატარდება. ფიფა-ს დირექტივით, მხოლოდ ერთ ქალაქს შეუძლია ორი სტადიონით იყოს წარმოდგენილი მუნდიალზე, მაგრამ ორი უდიდესი ქალაქი, რიო-დე-ჟანეირო და სან-პაულუ მაინც ერთი სტადიონით დაკმაყოფილდებიან.

სადღეისოდ კი ასეა: შერჩეულია 12 სტადიონი და ყველა სხვადასხვა ქალაქში. ერთადერთი, შესაძლოა, სან-პაულუს ცნობილი „მორუმბის" სტადიონი დაამატონ და სხვა რომელიმე ქალაქის არენას ჩამოართვან მასპინძლობის უფლება.

**ჯერჯერობით კი ეს სტადიონებია:**

1.რიო-დე-ჟანეირო, „მარაკანა", 82238 მაყურებელი;
2.სან-პაულუ, „ნიუ კორინთიანსი", 48100;
3.ბრაზილია, „ესტადიო ნასიონალი", 71500;
4.ბელუ-ორიზონტი, „მინეირაო", 69960;
5.რესიფე, „სიუდად და კოპა", 46160;
6.კურიტიბა, „არენა დე ბაიშადა", 41375;
7.ფორტალეზა, „კასტელაო", 66700;
8.სალვადორი, „ბაია არენა", 55200;
9.ნატალი, „არენა დოს დუნასი", 45000;
10.პორტუ-ალეგრი, „ესტადიო ბეირა რიო", 62300;
11.კუიაბა, „არენა პანტანალი", 42500;
12.მანაუსი, „არენა ამაზონია", 50400;

ფინალი „მარაკანაზე" გაიმართება, რომელზეც 204000 მაყურებელიც დასწრებია 1950 წელს ბრაზილია-ურუგვაის ლეგენდარულ ფინალზე. თუმცა, მას შემდეგ „მარაკანას" ბევრჯერ ჩაუტარდა რეკონსტრუქცია და ახლა 82238 გულშემატკივარზეა გათვლილი.

## შედეგები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 18.ტილბურგი | 30 | 2 | 6 | 22 | 34:86 | 12 |

*ბრედას დაკლებული აქვს 1 ქულა*

**პორტუგალია. ა ლიგა**

სპორტინგი-აკადემიკა ... 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პორტუ | 25 | 23 | 2 | 0 | 58:9 | 71 |
| 2.ბენფიკა | 25 | 18 | 1 | 6 | 52:23 | 55 |
| 3.სპორტინგი | 26 | 11 | 9 | 6 | 36:26 | 42 |
| 4.ბრაგა | 25 | 12 | 4 | 9 | 41:30 | 40 |
| 5.ნაციონალი | 26 | 9 | 8 | 9 | 23:28 | 35 |
| 6.გიმარაეში | 25 | 9 | 7 | 9 | 28:32 | 34 |
| 7.ფერეირა | 25 | 8 | 9 | 8 | 24:31 | 33 |
| 8.მარიტიმუ | 26 | 8 | 8 | 10 | 32:27 | 32 |
| 9.რიუ ავე | 25 | 8 | 6 | 11 | 24:27 | 30 |
| 10.ლეირია | 25 | 8 | 6 | 11 | 20:30 | 30 |
| 11.ბეირა მარი | 25 | 6 | 11 | 8 | 29:30 | 29 |
| 12.ოლჰანენსე | 25 | 6 | 10 | 9 | 20:30 | 28 |
| 13.აკადემიკა | 26 | 7 | 7 | 12 | 30:41 | 28 |
| 14.სეტუბალი | 25 | 5 | 9 | 11 | 20:35 | 24 |
| 16.ნავალი | 25 | 4 | 8 | 13 | 23:43 | 20 |
| 15.პორტიმორ. | 25 | 4 | 7 | 14 | 23:41 | 19 |

**რუსეთი. პრემიერლიგა**

კრ.სოვეტოვი-ლოკომორივი ... 1:0
კრასნოდარი-ამკარი ... 1:0
დინამო-ყუბანი ... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.კრასნოდარი | 4 | 2 | 2 | 0 | 4:1 | 8 |
| 2.ზენიტი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| 3.ვოლგა | 3 | 2 | 0 | 1 | 5:1 | 6 |
| 4.რუბინი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:1 | 6 |
| 5.ყუბანი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:4 | 6 |
| 6.დინამო | 4 | 2 | 0 | 2 | 6:7 | 6 |
| 7.როსტოვი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:4 | 4 |
| 8.ცსკა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| 9.კრ.სოვეტ. | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| 10.ლოკომოტ. | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| 11.ნალჩიკი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| 12.ანჟი | 3 | 1 | 1 | 1 | 1:2 | 4 |
| 13.ამკარი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:4 | 4 |
| 14.ტერეკი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 3 |
| 15.სპარტაკი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:7 | 3 |
| 16.ტომი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:5 | 0 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

აბერდინი-ჰიბერნიანი ... 0:1
დანდი-სტ.ჯონსონი ... 2:0
კილმანროკი-ინვერნესი ... 1:1
ჰართსი-მოზერველი ... 0:0
სელტიკი-სტ.მირენი ... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სელტიკი | 30 | 23 | 4 | 3 | 65:18 | 73 |
| 2.რეინჯერსი | 29 | 22 | 2 | 5 | 64:27 | 68 |
| 3.ჰართსი | 32 | 18 | 6 | 8 | 46:30 | 60 |
| 4.დანდი | 32 | 14 | 10 | 8 | 44:37 | 52 |
| 5.კილმანროკი | 32 | 13 | 8 | 11 | 47:37 | 47 |
| 6.მოზერველი | 33 | 13 | 5 | 15 | 36:43 | 44 |
| 7.ინვერნესი | 31 | 9 | 10 | 12 | 40:39 | 37 |
| 8.ჰიბერნიანი | 32 | 10 | 6 | 16 | 35:50 | 36 |
| 9.სტ.ჯონსონი | 32 | 8 | 10 | 14 | 18:38 | 34 |
| 10.აბერდინი | 32 | 9 | 4 | 19 | 34:53 | 31 |
| 11.სტ.მირენი | 32 | 7 | 7 | 18 | 30:52 | 28 |
| 12.ჰამილტონი | 31 | 2 | 10 | 19 | 18:53 | 16 |

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ზალცბურგი-ლინცერი ... 0:1
ინსბრუკი-ნოიშტადი ... 1:0
მატერსბურგი-რიდი ... 2:2
რაპიდი-შტურმი ... 0:2

**ბელგია. პროლიგა**

**პლეი-ოფი**

კორტრაიკი-ბეერსხორი ... 1:1
ლოკერენი-გენტი ... 1:1
შარლერუა-ეუპენი ... 2:0
სტ.ტრუიდენი-სერკლი ... 1:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ბელინცონა-თუნი ... 1:1
ლუცერნი-სიონი ... 0:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ერჩიესი-ფენერბახჩე ... 1:3
ქონია-მანისა ... 0:0
ბუკა-ქარაბუქი ... 2:1

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

ლიბერეცი-სიგმა ... 3:0
სლოვაცკო-პრჟიბრჟამი ... 2:0
ტეპლიცე-ბოლესლავი ... 1:2

**პოლონეთი. ეკსტრაკლასა**

შლიონსკი-ვიძევი ... 2:2

*ვიძევის მეორე გოლი ნიკა ძალამიძემ გაიტანა*

ლეგია-ზაგლებიე ... 2:2
კრაკოვია-გდანსკი ... 3:0
რუხი-ბიტომი ... 0:2

**უკრაინა. ვიშა ლიგა**

სევასტოპოლი-ვოლინი ... 4:1
დნიპრო-ვორსკლა ... 2:0
შახტარი-ობოლონი ... 0:1
არსენალი-ტავრია ... 1:2

**დანია. სასლიგა**

სილკებორგი-მიდტიულანდი ... 1:0
კოპენჰაგენი-რანდერსი ... 3:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

გაისი-ტრელებორგი ... 4:0
გეფლე-ნორჩიოპინგი ... 2:0

**ნორვეგია. ტიპელიგა**

ბრანი-ფრედრიკსტადი ... 0:1

**ირლანდია. პრემიერლიგა**

სლიგო-სტ.პატრიკსი ... 2:0

**აშშ. მლს**

ვაშინგტონი-ლოს ანჯელესი ... 1:1
ჩივასი-კოლამბუსი ... 0:0
სან ხოსე-ტორონტო ... 1:1
ნიუ ინგლენდი-სოლტ ლეიკი ... 0:2

**არგენტინა. კლაუსურა**

კოლონი-ოლიმპო ... 0:2
არსენალი-ქილმესი ... 2:2
ურაკანი-რასინგი ... 0:0
რივერ პლეიტი-ბანფილდი ... 1:0

**კალათბურთი**

**ნბა. რეგულარული ჩემპიონატი**

ვაშინგტონი-ატლანტა ... 115:83

*ზაზა ფაჩულია: 2 მოხსნა*

მილუოკი-კლივლენდი ... 108:101
სან ანტონიო-იუტა ... 111:102
ჰიუსტონი-კლიპერსი ... 99:78
დენვერი-მინესოტა ... 130:106

**ჩოგბურთი**

**ატპ. ჰიუსტონი. თიხა**

კარლოვიჩი-სვიტინგი ... 6:7;3:6
კეუვასი-ნიშიკორი ... 3:6;5:7

**ვტა. მარბელა. თიხა**

აზარენკო-ერანი ... 6:2;6:1
კუზნეცოვა-ბეგუ ... 6:3;6:7;4:6

**ვტა. ჩარლსტონი. თიხა**

პენგი-ვესნინა ... 6:7;3:6
ვოზნიაცკი-იანკოვიჩი ... 6:4;6:4

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

რეინჯერსი-ნიუ ჯერსი ... 5:2
ბოსტონი-ოტავა ... 3:1
კაროლინა-ტამპა ბეი ... 2:6
კოლამბუსი-ბუფალო ... 4:5
ტორონტო-მონრეალი ... 1:4
ფილადელფია-აილენდერსი ... 7:4
ფლორიდა-ვაშინგტონი ... 1:0
სენტ ლუისი-ნეშვილი ... 2:0
კალგარი-ვანკუვერი ... 2:3(ოტ)
სან ხოსე-ფინიქსი ... 3:1
ლოს ანჯელესი-ანაჰაიმი ... 1:3

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## TV პროგრამა

**ოთშაბათი 11 აპრილი**

**06.30** დოკ. ფილმი "მსოფლიოს ქალაქები" **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ვ. სანაიას რეპორტაჟი **13.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **14.00** აქცენტები **15.00** სერ. **"ხუთი და"** **17.00** ან. ფილმი "გოძილა" **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფ. "აინშტაინის დაუმთავრებელი სიმფონია" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ხუთი და"** **22.00** აუდიტორია **23.00** თოქ-შოუ "არენა" **00.30** მხ. ფილმი **"პანამელი მკერავი"** (15) **02.25** მოამბე **02.45** ცხოვრება მშვენიერია

**08.00** დოკ. ფილმი **09.00** მხ. ფილმი **"ჯაშუში პარიეტი"** **11.00** ვ. სანაიას რეპორტაჟი **11.30** დოკ. ფილმი **12.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **13.30** ისტორია **14.00** რეგიონის დროით **14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **16.00** დოკ. ფილმი **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფილმი **"მხსნელი"** **22.00** თავისუფალი ტრიბუნა **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **01.00** მხ. ფილმი **"ბაგსი"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმღყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.20** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** იღბლიანი ბორბალი (გან.) **15.40** სერ. **"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"** **16.40** სერ. **"მორენას ვნება"** **18.45** სერ. **"დანიელა"** **19.45** სერ. **"ელენას მორჩენება"** **22.00** ნიჭიერი **00.00** საფეხბურთო ღამე **01.00** მხ. ფ. **"უცხო მტაცებლის წინააღმდეგ"** (18) **03.00** პატრული

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "ბეტმენი" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.40** პულსი **15.20** სერ.**"ორნახევარი კაცი"** **16.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **17.00** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.40** ქრონიკა **11.30** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **12.25** ტვ-მარკეტი **12.35** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **14.40** დღის შოუ **16.00** სერ. **"მონტეს ოჯახი"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** მუსიკალური ლიგა **23.00** მხიარულთა და საზრიანთა კლუბების ჩემპიონატი **00.50** მხ. ფ. **"ლამაზი ქალი"** (ჯ. რობერტსი) (სუბტ.) **03.15** მხ.ფ.**"შეხვედრა ვამპირთან"** (15) (ბ. პიტი) (სუბტ.) **06.30** სერ. **"ბოშები"**

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. **"ელისაბედი"** **10.30** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **11.50, 21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **12.30, 19.30** სერ. **"წყნარი ოკეანის მარგალიტი"** **14.50** ფერისცვალება **15.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"ლინდა და ბრიგადირი"** **18.00** დოკ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება** **08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00** პატრიარქის ქადაგება **10.35** კვირიაკე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 24.00** საგალობელი **12.05, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ. ფილმი **"ცხელი ზაფხულის სამი დღე"** **13.30** კონცერტი – ანს. "ურმული" **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.30** სპექტაკლი **"შეთქმულება"** **17.40** დოკ.ფ."ველური ბუნება" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.25** "განთიადის" არქივიდან **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.15** მხ. ფილმი **"უკანასკნელი ჯვაროსნები"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** დოკ. ფილმი "მონასტრის ღვინო" **22.20** პატრიარქი წმ. ივლიტასა და კვირიკეს ტაძარში **22.30** ერთსულოვანი ოჯახი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკ. ფილმი **"ბიმ²ინა"** **00.30** სუფთა დაფა

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**11 აპრილი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,704 |
| ევრო | 2,4135 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,7714 |
| რუსული რუბლი | 0,06 |

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 11-18, ღამით — 5-7

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 7-13, ღამით — 4-8

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 13-16, ღამით — 3-6

## ამინდის პროგნოზი 11 აპრილისთვის







ქართული ფლორის საოცრება

## „სალხინო“

უებარი წამალია

„სალხინო“ ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს“ ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

„სალხინოს“ შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

მის.: აღმაშენებლის 146. ტელ.: 14-41-58, 95-90-60.


## „ბაიერნმა“ ვან გაალი დაითხოვა

**ჰოლანდიელი სპეციალისტი ლუის ვან გაალი მიუნხენის „ბაიერნის“ მთავარი მწვრთნელი აღარაა. ასეთი რეაქცია ჰქონდა კლუბის ხელმძღვანელობას ბუნდესლიგის 29-ე ტურში „ნიურნბერგთან“ (1:1) ნათამაშევი ფრის შემდეგ, რომლის შემდეგაც „ბაიერნი“ სატურნირო ცხრილის მეოთხე საფეხურამდე დაეშვა.**



კიკერის ინფორმაციით, მიუნხენური კლუბის ხელმძღვანელობა — კარლ-ჰაინც რუმენიგე, კარლ ჰოფნერი, ული ჰიონესი და კრისტიან ნერლინგერი, მატჩის შემდეგ ჰოლანდიელს გაესაუბრნენ და გუნდიდან სასწრაფოდ გაშვების გადაწყვეტილება გააცნეს.

ვან გაალი „ბაიერნში“ 2009 წლის პირველი ივლისიდან მუშაობდა და მიმდინარე სეზონში ნაჩვენები ცუდი შედეგების გამო, დაკავებული პოსტი მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ უნდა გაეთავისუფლებინა, მაგრამ ბოლო დროს, ფეხბურთელები სულ უფრო და უფრო საშინელ თამაშს აჩვენებდნენ და მოვლენები რამდენიმე თვით დაჩქარდა.

დროებით, მთავარი მწვრთნელი ანდრიეს იონკერი იქნება, რომელსაც ჰერმან გერლანდი დაეხმარება.

გასულ წელს, ვან გაალი, ლამის მიუნხენის მეფედ იქცა. მან გუნდს ქვეყნის ჩემპიონობა და თასი მოაგებინა და ჩემპიონთა ლიგის ფინალში გაიყვანა, ახლა კი...

უკვე გადაწყვეტილი ამბავია, რომ ახალი სეზონიდან „ბაიერნის“ მთავარი მწვრთნელი, ამჟამად „ლევერკუზენის“ დამრიგებელი იუპ ჰაინკესი იქნება.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## ასტროპროგნოზი 11 აპრილისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

ეს დღე სიკეთეს მოგიტანთ

**ვერძი** — წარმატებული დღეა, დაჯილდოვდებით. **კურო** — საკუთარ თავს ჩაუღრმავდით, პასუხს ადვილად იპოვით. **ტყუპები** — გზიდან ფულს მიიღებთ, პრობლემები არ გაქვთ. **კირჩხიბი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ლომი** — ახალი პროექტი გაამართლებს, დიდი წინსვლა გელით. **ქალწული** — საკუთარ თავს კრიტიკულად შეხედეთ, მარტო სხვისი კრიტიკა არ გამოგადგებთ. **სასწორი** — სახლში სიახლეა, შეიძლება რემონტი წამოიწყოთ. **მორიელი** — მშვიდად იმოქმედეთ, ჭკუას მოუხმეთ. **მშვილდოსანი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მოერიდეთ მძიმე საკვებს. **თხის რქა** — რისკი არ არის გამართლებული, თავშეკავებულად იმოქმედეთ. **მერწყული** — ნუ ენდობით გადაუმოწმებელ ინფორმაციას, დაინდეთ ნერვები. **თევზები** — მოერიდეთ აზარტულ თამაშობებს, დღეს ილუზიები ნამდვილად არ გჭირდებათ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**


# 4 აპრილიდან

## იყიდება

100 წიგნი

„ახალი თაობის“ და „საოჯახო ბიბლიოთეკის“

## სუპერპროექტის

ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო




ტომი 2

## ფრანკო

გაზეთი და წიგნი ერთად — 8 ლარი


## იუმორი



— ადამიანის ორგანიზმში ყველაფერი ერთმანეთთან არის დაკავშირებული, ფეხებს დაისველებ — ყელი გიღალატებს, ყელს ჩაისველებ — ფეხები აღარ გემორჩილება...

* * *

ორი ტიპი არატრადიციული მედიცინის საოცრებებზე ლაპარაკობს.

— ჰოდა, უთხრა მკურნალმა ბავშვს, გადააგდე ყავარჯენი და გაიარეო და ბავშვმაც გაიარა.

— მართლა? რა სჭირდა?

— გაციებული იყო.

— ყავარჯნები რაღად უნდოდა?

— ბებიასთან მიჰქონდა...

* * *

ვერტმფრენი მიფრინავს. შტურმანი მეთაურს კარნახობს:

— კურსი ორი გრადუსი მარჯვნივ.

მეთაური ყურადღებას არ აქცევს. შტურმანმა გაიმეორა.

— მეთაურო, კურსი, ორი გრადუსი მარჯვნივ.

მეთაურმა კვლავ წაუყრუა. შტურმანმა რომ გაუმეორა, მეთაური აფეთქდა:

— ორი გრადუსი რა არის, კოლოს უნდა ავუქციოთ გვერდი?

ცოტა ხნის შემდეგ შტურმანის ხმა კვლავ გაისმა:

— ოცდაათი გრადუსი მარჯვნივ.

— არის, ოცდაათი გრადუსი მარჯვნივ, — პასუხობს მეთაური.

მცირე პაუზის შემდეგ კვლავ შტურმანის ხმა გაისმა:

— ახლა ოცდარვა გრადუსი მარცხნივ.

*გ.თ.*

## კროსვორდი



**თარაზულად:** 1. დიდი ზომის ქვეწარმავალი; 5. მრავალწახნაგა მყარი სხეული; 6. გაზაფხულის თვე; 7. ურწმუნო ანუ...; 8. ძროხის ბარკლის ქვედა ნაწილი; 10. ბადურა ბამბის ქსოვილი; 13. მგალობელი ფრინველი; 15. გეომეტრიული ფიგურა; 16. მდინარე ციმბირში; 17. სასწორის თეფში; 20. სამაგიდო თამაში; 21. მრავალუჯრიანი დგამი; 22. ფრანგი მწერალი (1694-1778); 23. პატარა თეთრი ნიშანი ხარის შუბლზე.

**შვეულად:** 1. უწესრიგობა, არეულობა; 2. გამოუსადეგარი, ურგები; 3. ერთგვარი კანფეტი; 4. მომწვანო, ყვითელი ფერის მწარე სითხე; 5. ყველასათვის სავალდებულო წესი; 9. ქვევხის ლულის დასამაგრებელი დაზგა; 11. ყვავილების ვაზა; 12. დანელიას ფილმი; 14. ერთწლოვანი ბალახოვან-ბუჩქოვანი მცენარე, იყენებენ მხალად; 18. მეფის მხლებლები; 19. ტაძარი თბილისში.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*